N 1 2022

მასწავლებელი

რა ვასწავლე ყველაზე მნიშვნელოვანი?

ამ ცოდნას რაში გამოიყენებს?

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„ინტეგრირებული გაკვეთილები“

მასწავლებელი

N1(75), 2022

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედაკლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მანანა ბოჭრიშვილი,
მაია ფირჩხაძე, თამთა კობახიძე,
მაია ჯალიაშვილი, მარიამ გოდუაძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
ქეთევან ოსიაშილი,
ნათია ფურცელაძე,
ლელა კოტორაშვილი,
თამთა დოლიძე, თემურ სუყაშვილი,
ინა იმედაშვილი, ბესო პაპასქუა,
დიანა ანფიმიადი, ნათია უჩავა,
ქრისტინა სურგულაძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

ეს ჟურნალ „მასწავლებლის“ 93-ე ნომერია. ჟურნალი არსებობის მეთოთხმეტე წელს ითვლის, ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“-ს კი საიუბილეო 10 წელი უსრულდება. როცა ამ წერილის წერა დავიწყე, მასზე უკვე 8373 სტატია, ბლოგი და სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი იყო გამოქვეყნებული.

ძნელია განათლების საკითხებზე წერა.

ჩვენ ვწერთ მასწავლებლისთვის და არამხოლოდ – ვწერთ მშობლებისთვის, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, განათლების მკვლევრებისთვის, საზოგადოებისთვის, რომელსაც განათლების საკითხები აინტერესებს. ვწერთ გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკებზე, განათლების მართვაზე, განათლების ფსიქოლოგიაზე, გამჭოლ კომპეტენციებზე, სამიზნე ცნებებზე, წიგნებზე, რომლებიც უნდა წავიკითხოთ, ფილმებზე, რომლებიც უნდა ვნახოთ, ვქმნით საგანმანათლებლო რესურსებს, გამოვცემთ წიგნებს მასწავლებლის ბიბლიოთეკისთვის... რაც მთავარია, ვწერთ ღირებულებებზე, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ადამიანისთვის, მით უფრო – მასწავლებლისთვის, რომელიც ცოდნის გამავრცელებელია. ამიტომაც არის ეს რესურსები დინამიკური, მრავალწახნაგოვანი და ამიტომაც აღმოჩნდა თავისი მრავალფეროვნებით გამძლე.

ჟურნალის ეს ნომერიც საინტერესო საკითხავი იქნება მკითხველისთვის. განსაკუთრებული ყურადღება შეფასების თემაზე შევაჩერეთ.

ხშირად კამათობენ იმის შესახებ, რამდენად ამართლებს განმსაზღვრელი შეფასება და რა უპირატესობა აქვს განმავითარებელს. ჟურნალის ამ ნომერში ჩვენი ავტორები გვესაუბრებიან განმავითარებელ შეფასებაზე, როგორც გაგების-გააზრების დონის განმსაზღვრელზე, რომელიც მასწავლებელს საკუთარ სასწავლო პრაქტიკასა და თითოეული ბავშვის მიღწევებზე, მათ საჭიროებებსა და ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების გზებზე დააფიქრებს.

როგორ შეარჩიოს და გამოიყენოს მასწავლებელმა განმავითარებელი ინსტრუმენტები სწორად, მიზნის შესაბამისად?

როგორია შეფასების დროს გარე შემფასებლის მიერ დადგენილი სტანდარტების, ინდიკატორებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება, როდესაც შედეგებზე მთავარ პასუხისმგებლობას სკოლა იღებს?

რის გაკეთება შეუძლია მასწავლებელს, რათა მოსწავლემ ლაღად იმოგზაუროს წარმოსახულ მიზანთა მშვენიერ სამყაროში? რით შეუძლია შეუწყოს ხელი შემოქმედებითად დამუხტული, თავისუფალი, უჩვეულო, არასტანდარტული სურვილებისა თუ ოცნებების დაბადებას?

რაში ეხმარება თვითშეფასება სპეციალურ მასწავლებელს, უადვილებს თუ არა საკუთარი პრაქტიკის ობიექტურ აღქმას და ანალიზს?

გარდა შეფასებისა და თვითშეფასებისა, ამ ნომერში ჩვენი ავტორები ისაუბრებენ იმაზე, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება საგნის სწავლების პარალელურად; იმაზე, რომ მოსწავლეთა ემოციური მდგრადობისადმი ყურადღების გამოჩენით ხელს შევუწყობთ სტრესის შემცირებას, შევასუსტებთ მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სტიგმას და თავს დავიზღვევთ მოსალოდნელი გართულებებისგან. შევეცდებით *ბიოჩიპების* შესახებ მოარული მცდარი წარმოდგენების გაფანტვას და გავიგებთ, როგორ ვესაუბროთ მოსწავლეებს ნანოტექნოლოგიებზე.

ბავშვზე კომპიუტერული თამაშების გავლენა ერთმნიშვნელოვანი არ არის. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ისინი კარგია და ბავშვმა შეიძლება ითამაშოს იმდენ ხანს, რამდენსაც მოისურვებს, თუმცა გაუმართლებელი იქნება იმის მტკიცებაც, რომ ცუდია და მათზე უარი უნდა ვთქვათ.

„ჩემი დაკვირვებით, ცხოვრების ხარისხიც დიდწილად მოსმენის კულტურაზე დგას. დაკვირვებიხართ, ვის უსმენთ დღის განმავლობაში? რას ისმენთ? როგორ ყღერს სიტყვები, რომლებითაც სათქმელს ვქსოვთ?“ – წერს ჩვენი ერთი ავტორი. მართლაცდა, დავკვირვებივართ?

ხშირად მიფიქრია ამაზეც: ამდენს ვსაუბრობთ, ვკამათობთ და დასკვნებიც გამოგვაქვს, ვსვამთ კითხვებს და ზოგჯერ პასუხებსაც ვპოულობთ; მაშ, რატომ ვუშვებთ შეცდომებს ასე ხშირად, მით უფრო – გამეორებით?

შეფასება

მანანა ბოჭორიშვილი

4 | განმავითარებელი შეფასება, როგორც კომპასი

განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შეამოწმოს მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. მასწავლებელს შეუძლია, დაფიქრდეს სასწავლო პრაქტიკაზე და თითოეული ბავშვის მიღწევებზე, იმაზე, თუ რა დაეხმარება მას თითოეული მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

მაია ფირჩხაძე

7 | ტაქსონომია თანამედროვე გაკვეთილზე

ტაქსონომიების მოდელების შესახებ მსჯელობისას სპეციალისტები ხშირად მიუთითებენ, რომ ეს მოდელები ვერ ასახავს იმ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, რომლებსაც მოსწავლეები შეიძენენ სწავლის პროცესში. მაგრამ მასწავლებელს შეუძლია განმავითარებელი ინსტრუმენტების სწორად შერჩევა/გამოყენება და მიზნის შესაბამისად იმ აქტივობების განხორციელება, რომლებიც დასახულ მიზანთან დააახლოებს.

თამთა კობახიძე

12 | თვითშეფასება სკოლაში

დასაშვებია შეფასების დროს გარე შემფასებლის მიერ დადგენილი სტანდარტების, ინდიკატორებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება, თუმცა პროცესის შედეგებზე მთავარ პასუხისმგებლობას სკოლა იღებს.

მოსაზრება

მაია ჯალიაშვილი

16 | ვინ გინდა გამოხვიდე

მასწავლებელმა ბიძგი უნდა მისცეს მოსწავლეს, რომ მან ლაღად იმოგზაუროს წარმოსახულ მიზანთა მშვენიერ სამყაროში, დაეხმაროს და ხელი შეუწყოს შემოქმედებითად დამუხტული, თავისუფალი, უჩვეულო, არასტანდარტული სურვილებისა თუ ოცნებების დაბადებაში.

თემურ სუყაშვილი

26 | პანდემია და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები ახალგაზრდებში

სხვადასხვა ტიპის რეგულაციისა და შეზღუდვის გამო სკოლა მხოლოდ საგნის სწავლების ადგილად იქცა. ასეთ ვითარებაში, საგნის სწავლების პარალელურად, მოსწავლეთა ემოციური მდგრადობისადმი ყურადღება შეამცირებს სტრესს, მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სტიგმას და დაგვაზღვევს მოსალოდნელი გართულებებისგან.

თამთა დოლიძე

36 | ლიდერობა და ლიტერატურა

ლიდერთა ნაწილს სოციალური პოზიცია აძლევს ჯგუფით მანიპულირების უფლებამოსილებას, ზოგი მათგანი კი არაორდინარული თვისებებისა თუ ქარიზმულობის წყალობით მოიპოვებს გავლენას სოციუმზე.

ქეთევან კობალაძე

49 | მასწავლებლობა, ანუ როგორ ჩავატაროთ საინტერესო გაკვეთილები

საკლასო ოთახის გარეთ გაკვეთილის ჩატარება ძალიან უცნაურია/განსხვავებულია, თანაც უმოკლესი გზაა მოსწავლეთა დასაინტერესებლად, გასახალისებლად და წასახალისებლად.



სარჩევი

27 ბესო პაპასქუა
ჩემი მასწავლებელი

28 დიანა ანფიმნიადი
აუტიზმი და იუმორი

29 ნათია უჩავა
ინტეგრირებული გაკვეთილის დღე

30 ქრისტინა სურგულაძე
მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს

რეკომენდაცია

ქეთევან ოსიაშვილი

33 კომპიუტერული თამაშები: ზიანი და სარგებელი

ბავშვზე კომპიუტერული თამაშების გავლენა ერთმნიშვნელოვანი არ არის. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ისინი კარგია და ბავშვმა შეიძლება ითამაშოს იმდენ ხანს, რამდენსაც მოისურვებს, თუმცა გაუმართლებელი იქნება იმის მტკიცებაც, რომ ცუდია და მათზე უარი უნდა ვთქვათ.

პროფესია მასწავლებელი

ინა იმედაშვილი

51 მასწავლებლის ერთი დღე, რომელიც მთელ ცხოვრებას უდრის

იარლიყების მიკერება ჩვეულებრივი ამბავია სკოლებში, მასწავლებლები ყოველთვის ჩურჩულებენ, რომელი კლასია წყალწაღებული და რომელი – „წყალმოტანილი“. ეს ჩემი კლასი კი უბრალოდ „რთული“ იყო.

საგანმანათლებლო რესურსი

თინათინ ზარდიაშვილი

22 ბიოჩიპი, ნანონაწილაკები, მომავლის მედიცინა

ბიოჩიპების შესახებ დამკვიდრებულმა მცდარმა წარმოდგენებმა გადამაწყვეტინა, მოსწავლეებთან ნანოტექნოლოგიებზე მესაუბრა. საკითხი მათ მაშინ გავაცანი, როცა მეთერთმეტე კლასში, ქიმიის კურსში ნახშირბადის ატომების თავისებურებებს სწავლობდნენ, თუმცა ამ თემის განხილვა შესაძლებელია საშუალო საფეხურზეც, ფიზიკის, ბიოლოგიის, კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილებზე.

ნათია ფურცელაძე

40 როგორ გამოვიყენოთ სკოლაში „დაკარგული სიტყვების ლექსიკონი“

თუ ოდესმე მოსწავლე გკითხავთ, რაში სჭირდება გრამატიკის სწავლა, მიუხედავად თქვენი მცდელობისა, მაინც მობეზრდება, ან ლექსიკონის გამოყენების მოლოდინი მოწყენილობით აავსებს, ან ვერა და ვერ შეელევა ბარბარიზმებს, შეგიძლიათ, „დაკარგული სიტყვების ლექსიკონიც“ დაიმგზავროთ გაკვეთილებზე.

ლელა კოტორაშვილი

46 ვიქტორინა ეფექტური მოსმენისთვის

ჩემი დაკვირვებით, ცხოვრების ხარისხიც დიდწილად მოსმენის კულტურაზე დგას. დაკვირვებიხართ, ვის უსმენთ დღის განმავლობაში? რას ისმენთ? როგორ ჟღერს სიტყვები, რომლებითაც სათქმელს ვქსოვთ?



სპეციალური მასწავლებელი

მარიამ გოდუაძე

20 სპეციალური მასწავლებლისთვის საჭირო დოკუმენტაცია – პროფესიული საქმიანობის ანალიზი

თვითშეფასება სპეციალური მასწავლებლისგან მოითხოვს რეფლექსიის უნარს. რეფლექსია კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია საკუთარი პრაქტიკის ობიექტურ აღქმასთან, გაანალიზებასა და კრიტიკულ ხედვასთან. ცვლილებები იმის აღმოჩენით იწყება, რა არის შესაცვლელი.

მანანა ბოჭორიშვილი

განმავითარებელი შეფასება, როგორც კომპასი

განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შეამოწმოს მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. მასწავლებელს შეუძლია, დაფიქრდეს სასწავლო პრაქტიკაზე და თითოეული ბავშვის მიღწევებზე, იმაზე, თუ რა დაეხმარება მას თითოეული მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

მასწავლებლები სასწავლო პროცესში ხშირად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, თუმცა ზოგჯერ არ გამოყოფენ მას ცალკე, როგორც კომპონენტს. ალბათ ამის გამოცაა, რომ პირად საუბრებში, სემინარებზე, კონფერენციებზე, როდესაც მასწავლებლებს ვეკითხებით, იყენებენ თუ არა განმავითარებელ შეფასებას, ისინი გვპასუხობენ: ვიყენებთ, მაგრამ ბევრი დრო მიაქვს... ასეთი პასუხი ყოველთვის საუბრის გაგრძელების სურვილს ბადებს იმის დასადგენად, მართლა არ იყენებს მას მასწავლებელი, თუ იყენებს და პრობლემა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის სახელდებაა... საუბრის გაგრძელება იმის გარკვევის საშუალებასაც იძლევა, რამდენად ინტენსიურად იყენებს მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს და ახდენს შეფასების შედეგებზე ადეკვატურ რეაგირებას.

2021 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მასწავლებელთა საგნობრივ ჯგუფებში მცირე ონლაინგამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ **მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას ძირითადად აღიქვამენ როგორც მოსწავლეთა დავალებებზე გაკეთებულ ზეპირ და წერილობით კომენტარს. სულ გამოიკითხა 620 მასწავლებელი. მათი 25,8% ამბობდა, რომ განმავითარებელ შეფასებას ინტენსიურად იყენებდა, 62,9% კი, მათივე თქმით – საშუალო ინტენსივობით.**

გამოკითხული მასწავლებლების 71% აღნიშნავდა, რომ ძირითადად იყენებდა ზეპირ კომენტარებს, 12,9% – წერილობითს, ხოლო 12,9%-ისთვის სტიკერები, ჯილდოები და ამგვარები იყო პრიორიტეტული, მათ ესეც განმავითარებელ შეფასებად მიაჩნდათ.

რეალობა მოწმობს, რომ ნებისმიერი აქტივობა თუ სწავლების სტრატეგია შეიძლება იქცეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად.

მაგალითად, თუ სწავლების ესა თუ ის სტრატეგია ეხმარება მოსწავლეებს:

1. გაიაზრონ, რისი გაგება უჭირთ და რატომ;
2. გააცნობიერონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები;
3. ნათელი წარმოდგენა შეექმნათ იმაზე, რა გზით უნდა წავიდნენ სასურველი შედეგის მისაღებად,

– ეს ყველაფერი შეიძლება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად იქცეს.

ერთი და იგივე აქტივობა ან სტრატეგია ზოგჯერ შეიძლება ემსახურებოდეს განმავითარებელი შეფასების პროცესს, ზოგჯერ კი – არა.

თქვენს პრაქტიკაში რამდენად ინტენსიურად იყენებთ განმავითარებელ შეფასებას?





განმავითარებელი შეფასება გვეხმარება, დროულად აღმოვაჩინოთ მოსწავლის სუსტი მხარეები და მიმართულება მივცეთ მას, სანამ ქულით შევაფასებთ (ამის საჭიროების შემთხვევაში).

მაგალითად, ზოგ შემთხვევაში კითხვების დასმა ქმნის განმავითარებელი შეფასების საფუძველს, ზოგ შემთხვევაში კი – არა. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გვაძლევს საშუალებას კითხვები, გავიგოთ მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონე.

მაგალითად, კითხვა „რას ეწოდება ჰომეოსტაზი?" არ ემსახურება განმავითარებელ შეფასებას, მაგრამ კითხვა: „იმსჯელეთ იმ ფიზიოლოგიურ მაჩვენებლებზე, რომლებიც იცვლება ინტენსიური ფიზიკური დატვირთვის დროს. რა ემართება ამ მაჩვენებლებს ფიზიკური დატვირთვის შეწყვეტიდან ერთი საათის შემდეგ?" – შეიძლება გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასების მიზნით. როცა მოსწავლეებმა ჰომეოსტაზის არსი იციან, ასეთი კითხვა დაგვანახებს, რამდენად ღრმად აქვთ გააზრებული საკითხი.

განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი შეიძლება იქცეს განმავითარებელი შეფასების პროცესის ნაწილად.

მაგალითად, სავსებით შესაძლებელია, ტესტზე მუშაობა ჩავრთოთ განმავითარებელი შეფასების პროცესში, თუ ტესტში ქულებს კი არ დავწერთ, არამედ მოსწავლეებს წყვილებად დავყოფთ და ვთხოვთ, პასუხები შეადარონ, აარჩიონ ის პასუხი, რომელიც, მათი აზრით, უფრო ადეკვატურია და ახსნან, რატომ ჩათვალეს ასე, – ეს უკვე შეიძლება განმავითარებელი შეფასების პროცესად ჩაითვალოს. **ამ პროცესის საფუძვლად სწორედ განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი იქცა.**

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მიზანმიმართულად მიაწოდოს მოსწავლეებს საიმედო უკუკავშირი.

მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში (B. W. Tuckman, 1999) ერთნაირი მიდრეკილების მქონე მოსწავლეებმა ჩააბარეს საგამოცდო ტესტი ერთსა და იმავე მასალაზე. ტესტირებამდე ამ ჯგუფებში მასწავლებელი სხვადასხვა სტილით მუშაობდა. **ერთ ჯგუფს** წინასწარ დაანონსებულ ყოველკვირეულ მოკლე ტესტზე ამუშავებდა და ყოველი ასეთი ტესტირების შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლისგან იღებდნენ საიმედო უკუკავშირს. **მეორე ჯგუფის** წევრებს საშინაო დავალებებს ასრულებინებდა, ხოლო **მესამე, საკონტროლო ჯგუფს** არც ტესტი და არც დავალება არ შეუსრულებია. ყველა ჯგუფი გავიდა საბოლოო გამოცდაზე. იმ ჯგუფის შედეგები, რომელიც მოკლე ტესტებზე მუშაობდა, 16%-ით უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე საშინაო დავალებაზე მომუშავე ჯგუფისა და 24%-ით უკეთესი, ვიდრე საკონტროლო ჯგუფისა. დაბალი მიღწევების მქონე მოსწავლეთა შორის განსხვავება კიდევ უფრო მკაფიო აღმოჩნდა ტესტებზე მომუშავე ჯგუფის სასარგებლოდ. გამოვიდა, რომ ყოველკვირეულ მოკლე ტესტებზე რეგულარულმა მუშაობამ და მასწავლებლის ასევე რეგულარულმა საიმედო უკუკავშირმა მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება გამოიწვია (J. Ruscio, 2001; B. Thorne, 2000). აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ ტესტირების განრიგი და თემატიკა. კვლევები მოწმობს, რომ როდესაც მასწავლებელი თუნდაც მცირე ტესტირებას გაუფრთხილებლად და შეუთანხმებლად ატარებს, იზრდება მოსწავლეთა ემოციური დაძაბულობა და ეს ნეგატიურად აისახება შედეგებზე.

რით ეხმარება განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს?

განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შეამოწმოს მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. მასწავლებელს შეუძლია, დაფიქრდეს სასწავლო პრაქტიკაზე და თითოეული ბავშვის მიღწევებზე, იმაზე, თუ რა დაეხმარება მას თითოეული მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

შეიძლება თუ არა, განმავითარებელი შეფასება გამოვიყენოთ სასწავლო პროცესში როგორც კომპასი?

ამ კითხვაზე საპასუხოდ განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები.

ამბავი პირველი (შემჩნევა): მესამე კლასის მასწავლებელმა სასკოლო სახელმძღვანელოში

მოცემული ეზოპეს იგავის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს მისცა წერითი დავალება – „წერილი ეზოპეს“. ნამუშევრების გადახედვისას მან **შეამჩნია**, რომ მოსწავლეთა ნაწილს არ ჰქონდა დაცული წერილის სტრუქტურა. სიტუაციის რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ასეთი მოსწავლეების წილი კლასში 30% იყო.

ამბავი მეორე (დაგეგმვა): მესამე კლასის მასწავლებელმა გადაწყვიტა, შემდეგ გაკვეთილზე ერთობლივი წერის სტრატეგია გამოეყენებინა და მოსწავლეებისთვის კიდევ ერთი წერილის დაწერა შეეთავაზებინა („კიდევ ერთი წერილი ეზოპეს“).

ამბავი მესამე (განხორციელება): მასწავლებელი კლასს კიდევ ერთხელ შეახსენებს შესწავლილ იგავს, აცნობს დავალებას. ერთობლივი წერის ფორმატში, წერის საფეხურების დაცვით (იდეები, შავი ვარიანტი და ა.შ.) ბავშვები წერენ წერილს.

ამბავი მეოთხე (გადამოწმება): მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, ერთობლივი ნამუშევრის მიხედვით შინ შეედგინათ წერილის საკუთარი ვერსია (რათა მეორე დღეს, ნამუშევრების გადამოწმებისას, დარწმუნებულიყო, რომ ყველა მოსწავლემ გაითვალისწინა წერილის სტრუქტურა).

ამ პროცესებს თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ თანმიმდევრულ ქმედებას, რომელსაც მიზანმიმართულად ახორციელებს მასწავლებელი და რომლის გეზურობა განპირობებულია განმავითარებელი შეფასებით:

1. **პრობლემის შემჩნევა;**
2. **პრობლემის აღმოსაფხვრელად აქტივობის დაგეგმვა;**
3. **დაგეგმილი აქტივობის განხორციელება;**
4. **შედეგების გადამოწმება.**

იმისთვის, რომ მასწავლებელს არსებითად ჰქონდეს გააზრებული განმავითარებელი შეფასების დანიშნულება, აუცილებელია, მას ჰქონდეს პასუხი კითხვაზე:

– რამდენად აუცილებელია, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი იძლეოდეს მოსწავლეთა გაგება-გააზრების შეფასების შესაძლებლობას?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ კონკრეტული სიტუაცია: მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს, მოსწავლეებს მათთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს სასწავლო მასალა. შესაბამისად, ბევრ დროს უთმობს გაკვეთილის დაგეგმვას. ახალი მასალის ახსნისას ის დეტალურ განმარტებებს აკეთებს და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები. პერიოდულად ეკითხება მოსწავლეებს, რამდენად კარგად გაიგეს საკითხი. ისინი უმეტესად პასუხობენ, რომ ყველაფერი გასაგებია.

აღსანიშნავია, რომ შემაჯამებელ ტესტირებამდე რამდენიმე დღით ადრე მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ განიხილავს ტესტირებაზე შეტანილი დავალებების მსგავს დავალებებს.

მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა დიდ ნაწილს შემაჯამებელ ტესტირებაში დაბალი შედეგები აქვს, რაც თავად მოსწავლეებისა და მათი მშობლების უკმაყოფილებას იწვევს. მოსწავლეები ხშირად ამბობენ, რომ მასწავლებელი მათ კარგად ვერ ასწავლის. მასწავლებელიც იმედგაცრუებულია, რადგან მიაჩნია, რომ მის მიერ გაწეული შრომა წყალში გადაიყარა და მოსწავლეებს უბრალოდ არ აინტერესებთ სწავლა.

სად არის პრობლემა?

აღწერილი მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ მასწავლებელი არ ახორციელებს განმავითარებელ შეფასებას. მის მიერ დასმული კითხვა („გაიგეთ, ბავშვებო?“) ვერ ჩაითვლება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად, რადგან არ იძლევა მოსწავლეთა **გაგება-გააზრების შეფასების შესაძლებლობას.** შესაბამისად, მასწავლებელს არ აქვს სრული ინფორმაცია მოსწავლეთა მიერ საკითხის ათვისების დონის შესახებ და არც მათ აძლევს საშუალებას, აქტიურად ჩაერთონ საკუთარი სწავლის შეფასების პროცესში. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სრულფასოვნად გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს, განახორციელოს საჭირო ინტერვენცია რეალურ დროში.

შევაჯამოთ:

- განმავითარებელი შეფასება ხდება უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს.
- განმავითარებელი შეფასება არის ინტერვენცია რეალურ დროში.
- განმავითარებელი შეფასება გვეხმარება, დროულად აღმოვაჩინოთ მოსწავლის სუსტი მხარეები და მიმართულება მივცეთ მას, სანამ ქულით შევაფასებთ (ამის საჭიროების შემთხვევაში).

გამოყენებული წყაროები:

1. ესგ 2018-2024
2. http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf
3. Trumbull, E., & Lash, A. (2013). Understanding formative assessment: Insights from learning theory and measurement theory. San Francisco: WestEd.
4. http://www.edutopia.org/blog/tech-friendly-formative-assessment-tools-monica-burns
5. Marzano, R. (2001). *Classroom Assessment and Grading the Work*. Alexandria, VA: ASCD.
6. Ruscio, J. (2001). Administering quizzes at random to increase students' reading. Teaching of Psychology, 28, 204-206.
7. Thorne, B. (2000). Extra credit exercise: A painless pop quiz. Teaching of Psychology, 27, 204-205.
8. Tuckman, B. W. (1999, August). A tripartite model of motivation for achievement: Attitude/drive/strategy. Paper presented at the Annual Meeting of the American Psychological Association. Boston.

მაია ფირჩხაძე

ტაქსონომია თანამედროვე გაკვეთილზე

XX საუკუნის შუა ხანებში, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფად მზარდი მოთხოვნების ფონზე, მსოფლიოში განათლების სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. გაჩნდა უამრავი ახალი მიდგომა, თეორია და სტრატეგია, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას. ასე გაჩნდა ბენჯამინ ბლუმის ტაქსონომიაც.

ტაქსონომია მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის კლასიფიკაციის პრინციპებს, მეთოდებსა და მიზნებს და გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნების კლასიფიკაციისთვის – სასწავლო პროგრამით გასათვალისწინებელი მიზნების უფრო ეფექტურად შესამუშავებლად და შესაფასებლად. იმ დროს ბლუმის ტაქსონომია სასწავლო მიზნების შემუშავების ამოსავალ წერტილად ჩაითვალა, რადგან სწავლის მიზნები კლასიფიცირებული იყო შესაბამისი განზომილების მიხედვით:

- შემეცნებითი დომენი: გამოყოფილია 6 დონე – ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება (ცოდნა – რაღაცის გახსენების შესაძლებლობა; გაგება – რაღაცის დამუშავების / საკუთარი სიტყვებით ამბის გადმოცემის შესაძლებლობა; გამოყენება – ცნებების, წესების, თეორიების კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენების შესაძლებლობა; ანალიზი – ინფორმაციის ელემენტების/ნაწილების შედარება-შეპირისპირების შესაძლებლობა; სინთეზი – ელემენტებისგან/ნაწილებისგან ახალი მთელის შედგენის შესაძლებლობა; შეფასება – გადაწყვეტილებების მიღების უნარი და საკუთარი პოზიციის წარდგენა);
- აფექტური დომენი: გათვალისწინებულია მიღების, რეაგირების, შეფასების, ორგანიზებულობისა და დახასიათების დონეები;
- ფსიქომოტორული დომენი: დადგენილია აღქმის, განწყობის, მექანიზმის, კომპლექსური რეაგირების, ადაპტაციისა და შექმნის დონეები.

ბლუმმა ტაქსონომიის შემოტანით იმ პერიოდის განათლების სისტემის ქაოსში ერთგვარი წესრიგის დამყარება სცადა და გარკვეულწილად გამოუვიდა კიდეც – ტაქსონომიის შემოღებამ გააფართოვა სწავლის მნიშვნელობა უბრალო დამახსოვრებიდან მოვლენის ანალიზამდე და შეფასებამდე, რაც იმ დროისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

თუმცა თანამედროვე განათლების მეცნიერებაში არსებობს თვალსაზრისი, რომ **ბლუმის ტაქსონომია არ იძლევა მოსწავლის აზროვნების შეფასების საშუალებას** (Hattie, 2016). ის აქცენტს სვამს კოგნიტიური უნარების მხოლოდ ნაწილზე და არ ასახავს მეტაკოგნიტიურ პროცესებს. გვიჩვენებს, რა იცის მოსწავლემ, მაგრამ ვერ პასუხობს კითხვას, რა და როგორ ისწავლა მან. მასში, როგორც თეორიაში, არ იკვეთება სწავლის შინაარსის დაძლევისა და მიზნების მიღწევის გზები (ასეთი დამოკიდებულების საფუძველი გახდა აზროვნების პირველ დონეზე – ცოდნაზე (დამახსოვრებაზე) აქცენტირება, რადგან ყველა დანარჩენი ოპერაციის საფუძვლად სწორად ის განიხილება). ამავე

ტაქსონომია მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის კლასიფიკაციის პრინციპებს, მეთოდებსა და მიზნებს და გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნების კლასიფიკაციისთვის – სასწავლო პროგრამით გასათვალისწინებელი მიზნების უფრო ეფექტურად შესამუშავებლად და შესაფასებლად. იმ დროს ბლუმის ტაქსონომია სასწავლო მიზნების შემუშავების ამოსავალ წერტილად ჩაითვალა, რადგან სწავლის მიზნები კლასიფიცირებული იყო.

ტაქსონომიების მოდელების შესახებ მსჯელობისას სპეციალისტები ხშირად მიუთითებენ, რომ ეს მოდელები ვერ ასახავს იმ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, რომლებსაც მოსწავლეები შეიძენენ სწავლის პროცესში. მაგრამ მასწავლებელს შეუძლია განმავითარებელი ინსტრუმენტების სწორად შერჩევა/ გამოყენება და მიზნის შესაბამისად იმ აქტივობების განხორციელება, რომლებიც დასახულ მიზანთან დააახლოებს.

დროს, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, აზროვნების დონეების კლასიფიცირებამ სასწავლო პროგრამების ფრაგმენტულობა გამოიწვია (Broudy, 1970; Curzon, Tummons, 2003). თანამედროვე ფსიქოლოგებისა და ნევროპათოლოგების აზრით კი, ამგვარი მიდგომა შორსაა სწავლის ნატურალიზაციისგან.

თავად ბენჯამინ ბლუმმა არაერთხელ შენიშნა, რომ „ის სწორად ვერ გაიგეს და რომ მისი სასწავლო მიზნების კლასიფიკაცია არ მიუთითებს კონკრეტულ მეთოდებზე და არ გულისხმობს მიზნების დეტალიზებას, ანუ ცალკეული მიზნის მისაღწევად მხოლოდ ერთი მეთოდის გამოყენებას (Bloom, 1994). ბლუმი ხაზს უსვამდა მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების აუცილებლობას, იმას, რომ ტაქსონომიისთვის კონკრეტული სასწავლო მიზნების შემთხვევაში უნდა მიემართათ და რომ მასწავლებელს მეთოდების ფართო სპექტრიდან თავისთვის საჭირო უნდა ამოერჩია და არა ცალსახად მზა (Bloom, 1994, p. 7).

მაგრამ ფაქტია, რომ ტაქსონომია ხელს უწყობს აზროვნების დაბადებას, რომლის საფუძველზეც შესასწავლი მასალის გაგებაც უნდა მოხდეს და გარკვეული სიცხადეც უნდა გაჩნდეს სასწავლო პროგრამების, მეთოდებისა და შეფასების სისტემის რთულ ურთიერთკავშირში. ამიტომ არის, რომ ის დღემდე წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაში ცნებების საერთო გაგებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ბლუმისა და მისი კოლეგების მიერ სასწავლო მიზნების პირველი ტაქსონომიის გამოქვეყნებიდან (1956 წ.) დღემდე 30-ზე მეტი მსგავსი სისტემა შეიქმნა, რაც ამ მოდელების აქტუალობასა და შედეგიანობაზე მიუთითებს. ამ მოდელებს შორის პოპულარობით გამოირჩევა:

- ანდერსონის ვერსია (ბლუმის ტაქსონომიის გადამუშავებული ვერსია) (Anderson et.al. 2001);
- კლოპფერის მოდელი (Klopfer, 1971);
- SOLO-ტაქსონომია (Struqture of the Observed Lerning Ourcome (SOLO) taxonomy), (Biggs, 1995);
- მარზანოს „ახალი ტაქსონომია“ (New Taxonomy) Marzano and Kendall, 2007);
- ფინკის ტაქსონომია (Fink, 2003) და სხვა.

დღეს ყველაზე ხშირად მიმართავენ ჯონ ბიგსის ე.წ. SOLO (Structure of Observed Learning Outcone) ტაქსონომიას (სწავლების შედეგზე დაკვირვების სტრუქტურა), რომელიც მოსწავლეს სწავლის პროცესის შესწავლაში ეხმარება (Biggs & Collis, 1982; Biggs, 1992). ბლუმისგან განსხვავებით, ბიგსმა აქცენტი ხუთ დონეზე დასვა:

- პრესტრუქტურული დონე – მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას **(მოსწავლეს არ აქვს იდეა);**
- უნისტრუქტურული დონე – მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება, იყენებს ტერმინოლოგიას, შეუძლია ტერმინის გახსენება, მარტივი ინსტრუქციის / ალგორითმის შესრულება; თავისი სიტყვებით გადმოცემა; დასახელება, ჩამოთვლა, იდენტიფიცირება **(მოსწავლეს აქვს ერთი იდეა);**
- მულტისტრუქტურული დონე – მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, ამ დროს მათ შორის მიმართებებს ვერ ამყარებს, შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, კლასიფიკაცია, პროცედურების შესრულება **(მოსწავლეს აქვს ბევრი იდეა, თუმცა ერთმანეთთან ვერ აკავშირებს);**
- მიმართებითი დონე – მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ნაწილებისგან ქმნის მთლიანს; შეუძლია შედარება და მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარება **(მოსწავლე ამყარებს კავშირს რამდენიმე იდეას შორის);**
- გაფართოებული აბსტრაქტული დონე – მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის წარმოდგენა აბსტრაქტულად, მისი აღქმა და სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა, იდეების ტრანსფერი სხვა სიტუაციაში, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, არგუმენტის მოყვანა **(მოსწავლეს შეუძლია იდეების ინტეგრირება).**

ამგვარი კლასიფიცირებით ერთგვარად დაიძლია ის სწორხაზოვნება, რითაც გამოირჩეოდა ბლუმის მოდელი: SOLO უფრო კოგნიტიური პროცესების გაძლიერებაზე ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე მისაღწევ მიზნებზე და ამ მოდელით მასწავლებელს მეტი შანსი აქვს, გააანალიზოს მოსწავლის პასუხები და გაიგოს,

რა სახის სირთულე დაძლია მან, როგორია მისი აზროვნების ხარისხი. უფრო ადვილი ხდება მოსწავლის დონის განსაზღვრა, სასწავლო პროცესის წარმართვა და ამ პროცესში მოსწავლის დახმარება.

> თუმცა ტაქსონომიის თითქმის ყველა მოდელს ჰყავს კრიტიკოსები, მათ შორის – SOLO მოდელსაც, რომლიც ასევე ბადებს კითხვებს, მაგალითად, ასეთს:
> - რამდენად საკმარისია ასეთი სტრუქტურირება იმისთვის, რომ სასწავლო პროგრამების კოგნიტიური მოთხოვნები გავაანალიზოთ? (Brabrand and Dahl, 2009)

> განათლების სპეციალისტების წინაშე კვლავ დადგა საკითხი:
> - როგორ მოვიქცეთ, გამოვიყენოთ თუ არა ტაქსონომიის მოდელები სწავლებაში?

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, მასში შესული ცვლილებების საფუძველზე, საშუალებას გვაძლევს, სწავლებაში ჩავრთოთ მრავალფეროვანი მიდგომები და სტრატეგიები, მეთოდები და მოდელები, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნების ფონზე საშუალებას აძლევს მასწავლებელს, სწავლებაში წარმატებას მიაღწიოს. ამგვარი მიდგომით ტაქსონომია კვლავ განიხილება ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის ერთ-ერთ საინტერესო გზად. ეს ბუნებრივიცაა, რადგან განათლება განვითარებადი დარგია და აქ, როგორც იტყვიან, ქაოსი, გამოწვევათა ფართო სპექტრი, მიზნის მიღწევის გზა უფროა, ვიდრე უკან გადადგმული ნაბიჯი. ამიტომაც არის, რომ ტაქსონომიას (თავისი მრავალი სისტემით) როგორც სასწავლო პროცესში ქაოსის დაძლევის ერთ-ერთ საინტერესო მოდელს დღემდე აქტიურად იყენებენ სწავლებაში (სხვა ქვეყნებთან ერთად – აშშ-შიც, როგორც დაწყებით, ისე საშუალო საფეხურზე) (Anderson, 2001; Schneider, 2014).

ტაქსონომიის სხვადასხვა მოდელი „გვაიძულებს“, დავფიქრდეთ დავალებების სიღრმეზე და შეგვახსენებს, რომ ტაქსონომია არ არის მზა რეცეპტი. ის შეიძლება გამოვიყენოთ ერთგვარ „ბიძგად“ აზროვნების გასააქტიურებლად, მიზნის შესაბამისი მეთოდებისა და შეფასებების მოსაძებნად, ცოდნის ზოგადი გაგების დონისა და უნარების შესამოწმებლად. შესაბამისად, შეგვიძლია მისი მოდელები წარმატებით გამოვიყენოთ გაკვეთილებზე.

განვიხილოთ კონკრეტული დავალებები ტრადიციული ბლუმის ტაქსონომიისა და SOLO ტაქსონომიის მიხედვით.

კლასი – VII, თემა – „პრეისტორიული ხანა“ (ისტ. საბ. 1; 2;4; 5; 6; 8)

მკვიდრი წარმოდგენები: ქვის ხანაში ძირითადად ქვის იარაღებს იყენებდნენ; ქვის ხანაში ადამიანები გვაროვნული თემის პირობებში ცხოვრობდნენ; ქვის ხანაში ადამიანები მონადირეობასა და შემგროვებლობას მისდევდნენ, მოგვიანებით კი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ისწავლეს; ქვის ხანის შესახებ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები მოგვითხრობს.

I – ნიმუში ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით:

დავალება 1. დონე – ცოდნა

- იპოვე და ამოიწერე ტექსტიდან (პარ. 2; 3; 4; გვ. 8-17) პრეისტორიულ ეპოქაში ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი არანაკლებ 3 ცვლილება;
- გამოიყენე სახელმძღვანელოს ტექსტი (პარ. 2; 3; 4; გვ. 8-17) და ჩასვი გამოტოვებული სიტყვები და თარიღები:

„პირველყოფილი ადამიანების ცხოვრებაში ..... ძირითადად ..... ათასწლეულებში ..... მოხდა. ცნობილმა მეცნიერმა გორდონ ჩაილდმა ამ გარდატეხას ..... უწოდა. წარმოიშვა ..... – ბინადარი და მესაქონლე – საზოგადოებები“.

ძვ.წ. VIII-VII; გარდაქმნები; ახალი ქვის ხანა; ნეოლითური რევოლუცია; მიწათმოქმედი; მომთაბარე...

დავალება 2. დონე – გაგება

- ქვის ხანაში ადამიანთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები (პარ. 2; 3; 4; გვ. 8-17) წარმოადგინე „ფიშბოუნის“ (ან სხვა ტიპის) კოგნიტიური სქემის სახით.

- იპოვე შესაბამისობა:

საზოგადო საკუთრება	ა. მამაკაცების საქმიანობა
კერძო საკუთრება	ბ. ქალების საქმიანობა
ნადირობა	გ. ცეცხლი; ნემსი; ქოხი; ირმის რქა
შემგროვებლობა	დ. ნაჯახი; შუბი; მშვილდ-ისარი
მიწათმოქმედება	ე. მინდორი; ტყე

დავალება 3.
დონე – გამოყენება

- სახელმძღვანელოს ტექსტის საფუძველზე იპოვე მიზეზშედეგობრივი კავშირი იმ ცვლილებებს შორის, რომლებიც პრეისტორიულ ეპოქაში მოხდა უძველესი ადამიანების ცხოვრებაში:

დავალება 4.
დონე – ანალიზი

- გააანალიზე უძველესი ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები („+“, „–“) და გამოიტანე დასკვნა, მოახდინა თუ არა გავლენა ამ ცვლილებებმა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე:

„+“	„–“
.....	.....
.....	.....
.....	.....
.....	.....

- დასკვნა: „ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა...“

დავალება 5.
დონე – სინთეზი

- გამოთქვი მოსაზრება, როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო უძველესი ადამიანის ცხოვრება ქვის ხანის შემდგომ ეპოქაში – ბრინჯაოს ხანაში?

დავალება 6.
დონე – შეფასება

- შეაფასე, რა გავლენა იქონია ქვის ხანაში მომხდარმა ცვლილებებმა ადამიანსა და იმდროინდელ საზოგადოებაზე.

II - ნიმუში SOLO ტაქსონომიის მიხედვით (ცხრილში მოცემულია მოსწავლის პასუხები და ქმედებები ორ განსხვავებულ სიტუაციაში, რომელთაგან მეორე კომპლექსური ტიპის დავალების ელემენტებს შეიცავს):

საკითხის მიმართება დონეებთან	რატომ გადავიდა ადამიანი შემგროვებლობიდან და ნადირობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე?	აწყვე უძველესი სოფელი ფაზლის გამოყენებით
პრესტრუქტურული დონე	შეიცვალა კლიმატური პირობები.	ვერც ერთ დეტალს ვერ იყენებს.
უნისტრუქტურული დონე	გარემო ვეღარ უზრუნველყოფდა ადამიანს საკვებით.	ფაზლის ასაწყობად იყენებს დეტალებს ერთი ნიშნის (ფერის ან ფორმის) მიხედვით
ფმულტისტრუქტურული დონე	დაიწყო დიდი გამყინვარება და ადამიანი იძულებული გახდა, ჩამოსულიყო ბარში და მიწათმოქმედებაზე გადასულიყო.	მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დეტალს (სახნისი და გუთანი; სახლი და ცეცხლი; ცხვარი და ძროხა).
მიმართებითი დონე	ეკოლოგიურმა კატასტროფამ ადამიანი აიძულა, მიწათმოქმედებასა და ბინადარ ცხოვრებაზე გადასულიყო.	მოსწავლე აწყობს სახლს.
გაფართოებული აბსტრაქტული დონე	ადამიანი იძულებული გახდა, ეკოლოგიური პრობლემებით გამოწვეული ცვლილებები დაეძლია, ამიტომ მთა და გამოქვაბული მიატოვა და ბარში, მიწათმოქმედებასა და მწარმოებლურ მეურნეობაზე გადავიდა.	მოსწავლე აწყობს ნეოლითური ხანის სოფელს.

როგორც ვხედავთ, SOLO-ს გამოყენების დროს უკეთესად ჩანს, როგორ ესმის მოსწავლეს იმის შინაარსი, რასაც სწავლობს და ის, თუ რა პრობლემებს შეიძლება წააწყდეს სწავლის პროცესში.

ტაქსონომიების მოდელების შესახებ მსჯელობისას სპეციალისტები ხშირად მიუთითებენ, რომ ეს მოდელები ვერ ასახავს იმ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, რომლებსაც მოსწავლეები შეიძენენ სწავლის პროცესში. მაგრამ მასწავლებელს შეუძლია განმავითარებელი ინსტრუმენტების სწორად შერჩევა/გამოყენება და მიზნის შესაბამისად იმ აქტივობების განხორციელება, რომლებიც დასახულ მიზანთან დააახლოებს. მაგალითად, მას შეუძლია, თემის შესწავლის დასასრულს შესთავაზოს მოსწავლეებს „გასასვლელი ბარათის“ შევსება (სურ. 1).



სურ. 1

მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს დააწერინოს შემაჯამებელი კომპლექსური ტიპის დავალებაც: „შექმენი / დაწერე / აღწერე / შენი / სხვისი / გვარის / ერთი თემის... ისტორია“ (სურ. 2).

შესაფერისი დავალებებისა და განმავითარებელი ინსტრუმენტების შეთავაზებით, ხელი შეუწყოს მოსწავლეს სწავლის მიზნების მიღწევასა და მეტა-კოგნიციაში.

სურ.2

ამგვარი დავალებებით მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლის მიერ ტაქსონომიების მოდელზე მუშაობისას დაგროვილი ცოდნა და უნარები ანუ ცნებების ზოგადი გაგების დონე გამოიყენოს როგორც საფუძველი ცნებების სიღრმისეული დამუშავებისთვის და მომდევნო ეტაპზე,

გამოყენებული წყაროები:

1. Bloom's Taxonomy: Improving Assessment and Teaching-Learning Process https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1161460.pdf
2. https://www.uky.edu/~rsand1/china2018/texts/Bloom%20et%20al%20-Taxonomy%20of%20Educational%20Objectives.pdf
3. TAXONOMY OF EDUCATIONAL OBJECTIVES The C.lassiiication of Educational Goals., Benjamin S. Bloom. – 1956.
4. A new method for non-parametric multivariate analysis of variance. Marti J. Anderson. https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/j.1442-9993.2001.01070.pp.x ლინკი მოცემულ დროზე: 28.06.2008
5. Using the Solo Taxonomy to Analyze Competence Progression of University Science Curricula, https://www.jstor.org/stable/40269200 ლინკი მოცემულ დროზე: 25.02.2009
6. ცოდნა და ღირებულებითი განათლება. შესავალი., ეკატერინე შავერდაშვილი და თამარ მოსიაშვილი, – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 2018., გვ. 12-13. https://cure.erasmus-plus.org.il/pluginfile.php/3656/mod_resource/content/2/VaKE%20Value%20and%20Knowledge%20Education%20%282%29.pdf
7. განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება. სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის., მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. – 2018, გვ.47-52
8. სოლო ტაქსონომია – სწავლებაზე დაკვირვების შესაძლებლობა. მანანა სეხნიაშვილი., ლინკი მოცემულ დროზე: 24. 07.202. http://mastsavlebeli.ge/?p=26826
9. ბლუმის ტაქსონომიიდან სოლო ტაქსონომიამდე. თინათინ ზარდიაშვილი. ლინკი მოცემულ დროზე: 13.12.2019. http://mastsavlebeli.ge/?p=24159

თამთა კობახიძე

თვითშეფასება სკოლაში

ბევრისთვის ალბათ სიახლე იქნება, რომ შიდა შეფასება და თვითშეფასება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ცნებებია და ერთი მეორეს ყოველთვის არ გულისხმობს. შიდა შეფასებად ძირითადად აღიქმება ის პროცესი, რომელიც დაგეგმილი და წარმართულია თავად ორგანიზაციის წევრების მიერ.

ჩვენ აქტიურად ვსაუბრობთ სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ, მიმოვიხილავთ ხარისხის განმარტებებს, მისი წარმოშობისა და განვითარების ეტაპებს. ამჯერად, სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესზე – შიდა შეფასებასა და თვითშეფასებაზე ვისაუბრებთ.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ სკოლის შეფასებას არცთუ მცირე ისტორიული საფუძველი აქვს. გარე შეფასების აუცილებლობაზე XIX საუკუნის ბოლოს აქტიურად დაფიქრდნენ ინგლისში, სადაც XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა კიდეც სკოლებში ინსპექტირების მსგავსი მაკონტროლებელი მექანიზმი და ორგანო. გერმანულენოვან სივრცეში პირველად შვეიცარიაში, XVIII საუკუნის ბოლოს (1771-1772), ციურიხში იყო კითხვარის მეშვეობით სკოლის შეფასების მცდელობა. აქ, ინგლისისგან განსხვავებით, პირველი აქცენტები შიდა შეფასებაზე დაისვა. საერთო ჯამში, მიუხედავად ევროპული გამოცდილებისა, სკოლის შეფასების სათავეებთან ამერიკის შეერთებული შტატები დგას. 1893 წელს გამოცემული Rice-ის წიგნი „The Public School System in the United States“ მრავალი სკოლის პრაქტიკის შეფასების პირველი ემპირიული მცდელობა გახლდათ. შტატების მიხედვით, სკოლებიდან ემპირიული მონაცემების აქტიური მოგროვება 1915 წლიდან დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შეფასების ეს პირველი მცდელობები დღეს ხშირად იქცევა კრიტიკის ობიექტად, მათში ერთმნიშვნელოვანად იკითხება საკუთარი სკოლების პრაქტიკის გაუმჯობესების, სუსტი მხარეების აღმოჩენის და შეფასების სათანადო მექანიზმების შექმნის სურვილი.

სკოლის გარე და შიდა შეფასება ერთმანეთისგან რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით განსხვავდება:

1. მიზანი;
2. შემფასებელი;
3. ჩართული პირები;
4. შედეგების გამოყენება.

ბევრისთვის ალბათ სიახლე იქნება, რომ შიდა შეფასება და თვითშეფასება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ცნებებია და ერთი მეორეს ყოველთვის არ გულისხმობს. შიდა შეფასებად ძირითადად აღიქმება ის პროცესი, რომელიც დაგეგმილი და წარმართულია თავად ორგანიზაციის წევრების მიერ. დასაშვებია შეფასების დროს გარე შემფასებლის მიერ დადგენილი სტანდარტების, ინდიკატორებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება, თუმცა პროცესის შედეგებზე მთავარ პასუხისმგებლობას სკოლა იღებს. შიდა შეფასების დროს სკოლის გუნდი (შეფასების წარმმართველი აქტორი) წარმოგვიდგება როგორც პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი, მოტივირებული ჯგუფი, თუმცა მისი მიზნები და ქმედებები გარე ფაქტორებითაა განპირობებული.

ლიტერატურაში ხშირად ბარიერებს ქმნის ტერმინების „შიდა შეფასება“ და „თვითშეფასება“ გამოყენება, თუ ამას სათანადო განმარტება არ ახლავს თან. გავრცელებულია ორგვარი მიდგომა: პირველი, როდესაც შიდა შეფასებას წარმოადგენენ ვრცელ პროცესად, რომლის ნაწილიცაა თვითშეფასება და მეორე, როდესაც თვითშეფასება სრულიად დამოუკიდებელ ქმედებათა ჯაჭვია, მიმართული პრობლემის იდენტიფიცირებისკენ ვიწრო ფოკუსით (მაგალითად, მასწავლებე-

ლი აფასებს საკუთარ პრაქტიკას კონკრეტულ კლასში).

სკოლის შიდა შეფასება თანდათან განვითარდა როგორც მნიშვნელოვანი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინსტრუმენტი, რომელსაც ორგანიზაციაში სოციალური ცვლილებების გამოწვევა შეუძლია, თუ პროცესი თვითშეფასებასაც მოიცავს და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვან ნაწილად წარმოგვიდგება. ორგანიზაციის შიგნიდან მოტივირებული, ხარისხისა და სისტემის განვითარებაზე ორიენტირებული ეს მიდგომა ანგლოამერიკული სივრცის გამოცდილებას ეფუძნება („HighStake-Testings" – გარე შეფასება, ინსპექტირება). შიდა შეფასება ანგარიშვალდებულებისა და ხარისხის განვითარების ფუნქციებსაც ითავსებს. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ შეფასებას შეუძლია შეითავსოს სხვადასხვა სტრატეგია და როგორც სისტემური პროცესი, შერეული ვარიანტის ფორმითაც წარმოგვიდგეს.

თვითშეფასების პროცესს აკვირდებიან დელეგირებისა და ცენტრალიზების თვალსაზრისითაც. როგორც ტერმინოლოგიიდან ჩანს, ეს ორი მიდგომა ადმინისტრაციის მხრივ პროცესში ჩარევის დონეებს აერთიანებს.

სკოლაში თვითშეფასების პროცესი მოიცავს სამ ფაზას, რომლებიც სამი ამოცანის გადაწყვეტას ითვალისწინებს: მიზნის ფორმულირებას, განხორციელებას, მეთოდის/მეთოდების შერჩევას. გერმანულენოვან სივრცეში თვითშეფასების პროცესი უმთავრესად სასწავლო პროგრამებსა და სასწავლო მუშაობაზეა ფოკუსირებული. მონაცემთა შეგროვების მეთოდებად დოკუმენტაციის ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები გამოიყენება. საინტერესო მონაცემებს გვაწვდის ამ სფეროში გამოქვეყნებული კვლევები. სკოლებში, რომლებშიც უკეთაა განვითარებული კომუნიკაციის კულტურა, მასწავლებელთა თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა ჯანსაღად აღიქმება, თვითშეფასების პროცესი სასკოლო კულტურაზე დადებით გავლენას ახდენს.

2013 წელს ჩატარებული კიდევ ერთი კვლევა სასკოლო კულტურაზე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გავლენას სკეპტიკურად უყურებს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სკოლაში მონაცემების შეგროვება და ანალიზი წარმატებით მიმდინარეობს, სირთულეს წარმოადგენს პრაქტიკაში მისი გადატანა, შედეგების იმპლემენტაცია და სათანადო აქტივობების დაგეგმვა. 2009 წელს ჩატარებული მეტაანალიზი (Hattie, 2009), რომელმაც 50 000 კვლევის მონაცემები შეადარა

დასაშვებია შეფასების დროს გარე შემფასებლის მიერ დადგენილი სტანდარტების, ინდიკატორებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება, თუმცა პროცესის შედეგებზე მთავარ პასუხისმგებლობას სკოლა იღებს.

ერთმანეთს და 138 ფაქტორი გაითვალისწინა, აჩვენებს, რომ სწავლა/სწავლების პროცესში ისეთი საქმიანობები, რომლებიც ფასდება, დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა წარმატებაზე.

დემსკიმ (და სხვ., 2012) და ვურსტერმა (და სხვ., 2013) ასევე აჩვენეს დამოკიდებულება შეფასების სხვადასხვა წყაროს შორის. კერძოდ, გამოთქვეს მოსაზრება, რომ თვითშეფასებისა და შიდა შეფასების დროს მოპოვებულ მონაცემებს გაცილებით მეტი სარგებლობა მოაქვს სკოლისთვის, ვიდრე გარე შეფასების მაჩვენებელს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის შიდა/თვითშეფასების პროცესის გავლენა სკოლის განვითარებაზე ჯერ კიდევ საკამათოა და დადებით ან უარყოფით გავლენაზე დაბეჯითებით საუბარი მიკერძოება იქნებოდა. მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ფაქტორი სფეროში ახალი კვლევების ნაკლებობით და ზოგადად, სფეროს ხანმოკლე ისტორიითაა განპირობებული.

სკოლაში თვითშეფასებისა და შიდა შეფასების ეფექტიანობასთან დაკავშირებული კვლევების სიმრავლით განათლების სფერო ჯერ კიდევ არ გამოირჩევა. თეორიული დისკურსი ეფუძნება პროგრამების, პროექტების შეფასების ჩარჩოსა და ხარისხის უზრუნველყოფისადმი ზოგად მიდგომას (Learn, Do, Check, Act). ლიტერატურის ანალიზი გვაჩვენებს, რომ შიდა შეფასებისა და თვითშეფასების გადაკვეთის წერტილები შეფასების თემასთან დაკავშირებითაც იკვეთება:

- სწავლის შედეგები (სასწავლო მიზნების მიღწევა, ცოდნის ტრანსფერი, სსსმ მოსწავლეებთან მიღწეული შედეგები);
- გაკვეთილი (ცხადი და ნათელი მიზნები, შინაარსი, შეფასება);
- ურთიერთობები (ღირებულებები, უკუკავშირის კულტურა, მკაფიო როლები, ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკა, ლიდერებისა და ადმინისტრირების აღქმა);
- სტრუქტურა და რესურსები (დრო და სასწავლო რესურსების განაწილება, თანამშრომლობის ფორმები, პროფესიული განვითარების პოლიტიკა).

შიდა შეფასების მიმართ დროთა განმავლობაში მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა მიდგომა ჩამოყალიბდა. გამოცდილებამ ცხადყო, რომ ორგანიზაციულ შეფასებას ღრმა მეთოდოლოგიური ცოდნა სჭირდება, რაც არაერთი ქვეყნისა და სკოლის პრობლემაა. იმისთვის, რომ სკოლებს პროცესების

წარმართვა გაუადვილდეთ, შემუშავდა სხვადასხვა მექანიზმი. ერთი მათგანია გერმანულენოვან სივრცეში არსებული SEIS (Selbsevaluation in Schulen). იგი მოიცავს ვრცელ ონლაინკითხვარს, რომელიც ითვალისწინებს სკოლის ადმინისტრაციის, სხვა ადამიანური რესურსების, მოსწავლეთა და მშობელთა მოსაზრებების მოკრებას. მსგავსი ელექტრონული სივრცის შექმნის მიზანია, გაუმარტივოს სკოლის ადმინისტრაციას ისეთი რთული პროცესი, როგორიც მონაცემების შეკრება და ანალიზია.

შიდა შეფასებისა და თვითშეფასებისთვის საერთოა მონაცემთა შეგროვების მეთოდებიც. შიდა შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალი მეთოდი არსებობს. მათი გაერთიანება შეიძლება შემდეგ კატეგორიებად: გამოკითხვა, დაკვირვება, დოკუმენტების ანალიზი, ექსპრესიული და კრეატიული მეთოდები.

გამოკითხვა. გამოკითხვის ნაწილს მიეკუთვნება კლასიკურ, სოციალურ მეცნიერებებში აპრობირებული წერილობითი გამოკითხვის ფორმები ღია და დახურული კითხვებით/შეფასებითი სკალებითა და/ან არჩევითბოლოიანი პასუხებით. გამოკითხვის ერთ-ერთ კრეატიულ მეთოდად მიიჩნევა, **ე.წ. თერმომეტრის/ბარომეტრის** მეთოდი. მისი მიზანია მონაწილეთა მოსაზრებების მოკრება ერთი კონკრეტული საკითხის ირგვლივ. მკვლევარს შეუძლია მისი გამოყენება როგორც ჯგუფში, ისე ინდივიდუალურადაც. ბარომეტრი საკვლევი შეკითხვით იხატება ჯგუფში და მონაწილეებს ევალებათ, პასუხების ვარიანტები სკალას შეუსაბამონ. რაც უფრო პოზიტიურადაა გადმოცემული გამოკითხულთა მოსაზრებები, მით უფრო მაღალ ადგილს იკავებს ის სკალაზე. ამ მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ მონაწილეებს საშუალებას აძლევს, ნათლად დაინახონ გამოკითხვის შედეგი თვალსაჩინოების გამოყენებით. კვლევები მოწმობს, რომ ეს მეთოდი გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე უბრალო წერილობითი გამოკითხვა. თუ გვსურს პოპულაციის მოსაზრებების გაცნობა რამდენიმე საკითხის ირგვლივ, **გამოკითხვის ბლოკში ერთიანდება ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა შავი დაფა, გარდამავალი დღიური, SWOT ანალიზი, სასწავლო წრე, ინტერვიუები, დისკუსია, ჯგუფური დისკუსია (Fischbowl), რეიტინგული შეფასება, Q-დაჯგუფება და უკუკავშირი. დაკვირვების ბლოკი აერთიანებს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა გარე დაკვირვება, თვითდაკვირვება, თვითდაკვირვების სპეციალური ფორმა – ფოკუსირებული დაკვირვება და კოლეგიური ჰოსპიტაცია**. დოკუმენტების ანალიზის ნაწილს მიეკუთვნება პორტფოლიოები, საკლასო სამუშაოებისა და სასწავლო მასალების შესწავლა. ექსპრესიული და კრეატიული მეთოდები აერთიანებს ფოტოშეფასებას და როლურ თამაშს (კობახიძე 2020, Bürger and Schmidt).

შედეგების წარმოდგენისა და ანალიზის თვალსაზრისით მიდგომები აქაც მსგავსია. კვლევები აჩვენებს, რომ სკოლებში ყველაზე დიდ პრობლემას მონაცემთა შეგროვების ადეკვატური მეთოდების შერჩევა და მათი ანალიზი წარმოადგენს. პრობლემა მწვავედ დგას როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებშიც. ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სკოლებში ხარისხის უზრუნველყოფის, კერძოდ, თვითშეფასების კულტურით/რეგულირებით/მიდგომით. უფრო მეტად ცენტრალიზებული სისტემის მქონე ქვეყნებს ზოგადი განათლების ეს სფეროც მეტწილად ცენტრალიზებული აქვთ, თუმცა მათ შორის შეიმჩნევა განსხვავება კონკრეტული სკოლების მაგალითებზე, რომლებიც ანგარიშვალდებულების სისტემის გაძლიერებით ცდილობენ სკოლაში თვითშეფასების კულტურის დამკვიდრებას და მისდამი მასწავლებელთა დამოკიდებულების შეცვლას.

ქვეყნების საერთო პრობლემაა შიდა შეფასების/თვითშეფასების მიმართ მასწავლებელთა დამოკიდებულებაც. ქვეყნებში, სადაც სისტემის მართვა ძირითადად ხელისუფლების მხრივ ძალაუფლების შენარჩუნების, კონკრეტული ღირებულებების გატარებისა და კონტროლის მექანიზმია, ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხებისადმი უნდობლობაც დიდია, ცენტრალიზებული, მეტად დემოკრატიული ქვეყნების პრობლემას კი პროცესის ფორმალური, აუცილებლად შესასრულებელი ვალდებულება წარმოადგენს. ამ შემთხვევაში დიდი როლი ენიჭება სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც პირადი მაგალითით უნდა აჩვენოს სასკოლო საზოგადოებას, რა სარგებლობა მოაქვს გამართულ თვითშეფასების სისტემას სკოლაში, კერძოდ, სასწავლო შედეგების გაუმჯობესება, სასკოლო კულტურის ამაღლება და სსსმ მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება.

მაია ჯალიაშვილი

ვინ გინდა გამოხვიდე?

ყველა ადამიანის არჩევანი უნიკალური და, შესაბამისად, განსხვავებულია. ზოგს ბავშვობიდანვე იტაცებს რომელიმე პროფესია და მერე მართლაც იმას აკეთებს, რაც გულით უნდოდა. ზოგს კი არ უმართლებს.

ბავშვებისთვის დასმულ სტერეოტიპულ, გაცვეთილ კითხვათა სიაში ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი შეკითხვაცაა: „ვინ გინდა გამოხვიდე?“ – რომელიც ხშირად ხუმრობის, სიცილისა თუ ირონიული დამოკიდებულების მიზეზი ხდება, რადგან პატარები სამომავლო პროფესიათა შორის ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულებს ასახელებენ ხოლმე. მაგალითად, მათ უნდათ, ერთდროულად იყვნენ მეხანძრეებიცა და პროფესორებიც, დამლაგებლებიცა და მფრინავებიც, მოცეკვავეებიცა და ექიმებიც. ეს კი უფროსთა ქირქილსა და ხარხარს იწვევს, რაც სრულიად გაუგებარია ბავშვებისთვის. ისინი თავისუფალნი არიან საზოგადოებრივ შეხედულებათა წნეხისაგან და ამიტომ დარწმუნებულნი არიან, რომ ის უნდა გააკეთონ, რაც მოსწონთ და ახარებთ. რა თქმა უნდა, როცა იზრდებიან, მათი წარმოდგენებიც იცვლება. პროფესიებთან დაკავშირებულ არჩევანსაც ხშირად არა თავიანთი ნებით, არამედ სხვათა (დედ-მამის, ბებია-ბაბუის, დაძმის, ახლობლისა და მეგობრის) კეთილი რჩევითა თუ გაუცნობიერებელი მიბაძვით აკეთებენ. ყველა ადამიანის არჩევანი უნიკალური და, შესაბამისად, განსხვავებულია. ზოგს ბავშვობიდანვე იტაცებს რომელიმე პროფესია და მერე მართლაც იმას აკეთებს, რაც გულით უნდოდა. ზოგს კი არ უმართლებს. ცნობილი მსახიობი ჰყვება, რომ ბავშვობიდან ოცნებობდა თეატრის ან კინოს არტისტობაზე, ზოგი დანანებით ამბობს, რომ ექიმობა უნდოდა, მაგრამ მასწავლებელი გახდა და ცხოვრების თავიდან დაწყების საშუალება რომ ჰქონდეს, აუცილებლად აირჩევდა სხვა პროფესიას. თუმცა არიან ადამიანები, რომელთაც მრავალმხრივი ინტერესები აქვთ.

პატარებში რამდენიმე ურთიერთსაპირისპირო გატაცების გამოვლენა ხანდახან უფროსების არაერთგვარ რეაქციას იწვევს. ისინი ცდილობენ, ბავშვი „სწორ გზაზე“ დააყენონ, როგორც წესი, რომელიმე გატაცებას უფრო სერიოზულად მიიჩნევენ მისი სამომავლო კარიერისა თუ კეთილდღეობისთვის, ამიტომ აქტიურად და ხანდახან უხეშადაც ცდილობენ, ხელი ააღებინონ ამა თუ იმ მათთვის მიუღებელ სურვილზე. ეს შეიძლება დამაბნეველი აღმოჩნდეს ბავშვისთვის, რომელსაც ერთი პროფესია კი არ ხიბლავს, არამედ ერთდროულად რამდენიმე.

თუ საზოგადოება ბავშვისგან ასე თუ ისე იტანს მრავალ ინტერესს, დიდისგან ეს უკვე მიუღებლად მიაჩნია. ამან შეიძლება ზოგიერთს სამსახურის პოვნაშიც კი შეუშალოს ხელი, არადა, ადამიანი საყვარელ საქმეს თუ არ აკეთებს, იტანჯება, უბედურია, რაც შეიძლება დეპრესიისა თუ ნევროზის წყაროდ იქცეს. უფრო საფრთხილო და გასათვალისწინებელი ისაა, რომ გარედან უხეში ჩარევის შედეგად მულტიპოტენციურ ადამიანებს შეიძლება გაუჩნდეთ მომავლის შიში, დაკარგონ თავდაჯერება, ეჭვი შეეპაროთ საკუთარ მრავალმხრივ პროფესიულ და შემოქმედებით უნარებში.

სწორედ ამ თემას განიხილავს ემილი ვაპნიკი წერილში „რას ნიშნავს, როცა არ შეგიძლია უპასუხო კითხვას: ვინ გინდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები?“ მისი აზრით, ცნობისმოყვარეობით გამორჩეული მოსწავლე-

ები ერთდროულად რამდენიმე საქმით ინტერესდებიან. ასეთებს ემილი ვაპნიკი „მულტიპოტენციურ“ ადამიანებს უწოდებს. ისინი ამგვარები იბადებიან და, როგორც იტყვიან, სხვაგვარად „არ ძალუძთ“. ემილი ვაპნიკმა თავი მოუყარა პრობლემებს, რომლებსაც მულტიპოტენციური ადამიანები ეჯახებიან, დაახარისხა ისინი და მათი გადაჭრის სტრატეგიებიც შეიმუშავა.

პრობლემა (გამოწვევა) 1 – დანაშაულისა და სირცხვილის შეგრძნება;

პრობლემა 2 – დამწყების როლში ხშირად ყოფნა;

პრობლემა 3 – შიში, რომ ვერ გახდები საუკეთესო;

პრობლემა 4 – თვითმარქვიას სინდრომი;

პრობლემა 5 – საზოგადოების კრიტიკა.

კრიტიკულად მაყურებელ თუ შემფასებელ საზოგადოებას შეიძლება წარმოადგენდეს თანაკლასელი, მშობელი, ნათესავი, მასწავლებელი. მათ არ ესმით, როგორ შეიძლება მიატოვო ის, რაც აქამდე გიყვარდა და დაიწყო რაღაც ახალი, შეიცვალო დასახული მიზანი, რომლისკენ სვლაშიც ამდენი ძალა და ენერგია დახარჯე. სინამდვილეში კი მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს, რომ რადიკალურად შეცვალე სამომავლო გეგმები – რეალურად არც არაფერი მიგიტოვებია, უბრალოდ, სხვა რამემ გაგიტაცა. ემილი ვაპნიკმა წიგნიც გამოსცა ასეთი უცნაური, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი სახელწოდებით: „როგორ ავირჩიო ყველაფერი“ („გზამკვლევი მათთვის, ვინც არ იცის, ვინ უნდა გამოვიდეს“, 2017 წ.). ემილი არის მწერალი, სპიკერი, ბლოგერი, სამოქალაქო ლიდერი და ეხმარება მათ, ვისაც მრავალმხრივი ინტერესები აქვს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი პასაჟი ნაირა გელაშვილის რომანიდან „სარკის ნატეხები“. მთავარი გმირი მსუბუქი იუმორით ჰყვება სკოლაში გატარებული პირველი დღის შესახებ, დეტალურად აღწერს შთაბეჭდილებებს. ყურადღებას იქცევს ფსიქოლოგიური ნიუანსები, რომელთა საშუალებითაც გამოიკვეთება, რა ტრავმულ მოგონებად იქცა ბავშვისთვის დღე, როცა სკოლაში პირველად მივიდა: „დამრიგებელმა“ პასუხის გაცემა მოგვთხოვა კითხვაზე: „ვინ გინდა გამოხვიდე?“ და მთელი უბედურება ის იყო, რომ მე არავინ არ მინდოდა გავმხდარიყავი, ისედაც კარგად ვგრძნობდი თავს (ოღონდ სკოლის გარეთ) და აქამდე სულაც არ მქონდა განცდა, რომ ჯერ არავინ ვიყავი. და ამჯერადაც შინაგანად მომბეზა საკუთარი ნაკლულოვნების შეგრძნებამ, როცა დავინახე, როგორ დგებოდნენ სხვები და სხარტად პა-

სუხობდნენ: „მასწავლებელი!“, „ექიმი!“, „მფრინავი!“ ალბათ, სინამდვილეში არც ამათ უნდოდათ ვინმედ გახდომა, რაკიღა ისედაც იყვნენ და მხოლოდ უფროსებისგან ჰქონდათ თავში ჩაჭედილი მომავალი პროფესიები, მაგრამ ამას რა შეღავათის მოტანა შეეძლო ჩემთვის, როცა უკვე მიახლოვდებოდა პასუხის გაცემის ჯერი“.

როგორც ცნობილია, ამ ასაკში ბავშვები უამრავ უცნაურ შეკითხვას სვამენ და პასუხებს დიდებისგან მოელიან, რომლებიც ხშირად დუმილს არჩევენ, რადგან ან არ იციან, რა უპასუხონ, ან წარმოსახვა ღალატობთ, ამიტომ ეს შეკითხვები აბსურდული ეჩვენებათ. ცხოვრებისეული გამოცდილება ადასტურებს, რომ ზრდასთან ერთად უცნაური შეკითხვებიც იკლებს. ბავშვები კი სხვადასხვა მოვლენას შორის ისეთ აუხსნელ კავშირებს ხედავენ, რომლებიც დიდებს არც დაესიზმრებათ. როგორც ჰამლეტი ეუბნება ჰორაციოს:

„ბევრი რამ ჰხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ“.

ნაირა გელაშვილის გმირიც ასე წარმოიდგენდა მომავალს: „რაც ამ ასაკისთვის ჩემს მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით მქონდა გარკვეული, ეს იყო: დარწმუნებული ვიყავი, დიდი რომ გავხდებოდი, აუცილებლად ვიმოგზაურებდი (თანაც სისტემატურად) წყალქვეშა ნავით, რადგან ვგიჟდებოდი, ისე მაინტერესებდა ზღვის ფსკერი. წყალქვეშეთის გარეშე მიწის ზემოთ ცხოვრება აუტანელი და დაუშვებელი მეჩვენებოდა. და მეორე: აუცილებლად უნდა გამეგო, რა ხდებოდა ცაზე, კერძოდ, ვარსკვლავებზე და საერთოდ, ეს ვარსკვლავები რას წარმოადგენდნენ, რადგან მრავალი საღამოსა და ღამის მანძილზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცის უასაკო, შეუიარაღებელი თვალით ჩხრეკამ ჩემი მუდმივი მონუსხულობა ვერანაირი ცოდნით ვერ გაამდიდრა. ასე რომ, ვარსკვლავებიანი ცის ცოდნის გარეშე მიწაზე ცხოვრება ისევე უაზროდ და შეუძლებლად მიმაჩნდა, როგორც უზღვისფსკეროდ“.

ასეთი მეოცნებე, მრავალმხრივი ინტერესების მქონე ბავშვისთვის, რა თქმა უნდა, მოულოდნელი იქნებოდა რაციონალური, ერთმნიშვნელოვანი შეკითხვა. ამიტომ დაიბნა: „რაღაც მანქანებით ყური მქონდა მოკრული, რომ იმ ადამიანებს, რომლებმაც ცის ამბები იციან, „ასტრონომები“ ჰქვიათ... და აი, შეკითხვა: „ვინ გინდა გახდე?“ – უკვე მე მეხებოდა. მეც ავდექი და, ჩემდა საუბედუროდ, ვუპასუხე: „ასტრონომი“. კლასში სიჩუმე ჩამოწვა და მერე მასწავლებელმა შემისწორა: „აა, აგრონომი, ხომ?“ ეს რაღას ნიშნავდა, არ ვიცოდი, მაგრამ ცასთან არანაირ კავშირში რომ არ იყო, ამაზე თუნდაც დამრიგებლის ფამილარული ინტონაცია მეტყველებდა, რომელიც რაღაც ძალიან გასაგებსა და ჩვეულებრივს გულისხმობდა. „არა, ასტრონომი“ – გავიმეორე მე... და პირველი ხითხითიც გაისმა. „გასტრონომი!“ „გასტრონომი!“ – დაიძახა ვიღაცამ და მერე ყველა აჰყვა, და მთელი კლასი დამრიგებლიანად სიცილსა და მხიარულებას მიეცა“. დამრიგებელს ცოტა მეტი გულისხმიერე-

მასწავლებელმა ბიძგი უნდა მისცეს მოსწავლეს, რომ მან ლაღად იმოგზაუროს წარმოსახულ მიზანთა მშვენიერ სამყაროში, დაეხმაროს და ხელი შეუწყოს შემოქმედებითად დამუხტული, თავისუფალი, უჩვეულო, არასტანდარტული სურვილებისა თუ ოცნებების დაბადებაში.

ბა და განათლება რომ ჰქონოდა, რა თქმა უნდა, კლასის ხარ-ხარს სხვა მდინარებას მისცემდა და ბავშვის ფაქიზ სულს უხეშად არ შეურაცხყოფდა.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ჰოვარდ გარდნერმა მრავალმხრივი ინტელექტის თეორია შექმნა და რვა ტიპის ინტელექტი გამოყო, ყოველ მათგანს კი სწავლის შესაბამისი სტილი მიუსადაგა. ადამიანები გარკვეული ნიჭით, მიდრეკილებით იბადებიან. მათ შეიძლება ჰქონდეთ ლინგვისტური, მათემატიკურ-ლოგიკური, ვიზუალურ-სივრცითი, სხეულებრივ-კინესთეტიკური, მუსიკალური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური, ნატურალისტური ინტელექტი. სწორედ ამ ინტელექტის შესაბამისად შეიცნობენ საკუთარ თავსა და სამყაროს, პროფესიებსაც ამის შესაბამისად ირჩევენ. არიან ადამიანები, რომელთაც შეიძლება რამდენიმე ტიპის ინტელექტი ჰქონდეთ. უამრავი ისტორიაა, როდესაც ცნობილ ფიზიკოსს, მათემატიკოსს, მუსიკოსსა თუ მწერალს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ის პროფესია აერჩია, რომლისკენაც გული მიუწევდა. ამ გზაზე კი სხვადასხვა საქმეს მიმართა, სანამ მიხვდებოდა, რომ გარემოებათა მიზეზით არასწორ არჩევანს აკეთებდა. სასკოლო პერიოდი და სივრცე კი ძიების სულისკვეთებით უნდა იყოს სავსე და ამას, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელი უნდა უწყობდეს ხელს.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ამ საინტერესო და მნიშვნელოვან თემაზე საუბრისას ცნობილ ადამიანთა ცხოვრებისეულ მაგალითებს მოიხმობს. აინშტაინი ბავშვობაში ძნელად ითვისებდა სხვადასხვა საგანს, დედამისს კი სურდა, მუსიკოსი გამოსულიყო და ვიოლინოზე დაკვრას აიძულებდა. ჰაინრიხ შლიმანი ჯერ ვაჭრობით გამდიდრდა, მერე კი თავის საოცნებო საქმეს, არქეოლოგობას მიჰყო ხელი და ლეგენდარული ტროა აღმოაჩინა. მიხეილ ჯავახიშვილი თავის წერილში „როგორ ვმუშაობ“ საინტერესოდ აღწერს პროფესიათა ძიების პროცესს: „მამაჩემი სოფლის მეურნე იყო და მეც ამ ხელობისთვის მამზადებდა. აგრონომიამ რვა წელიწადი წამართვა. მამაჩემი რომ გარდაიცვალა, სკოლის დირექტორმა დამიბარა და მითხრა: „თქვენ აგრონომად არ გამოდგებით, ამიტომ გირჩევთ, სხვა ხელობა აირჩიოთ, მაგალითად, ტელეგრაფისტობა. როგორ მოგწონთ? მშვენიერი საქმეა“. მეც დავეთანხმე და აგრონომობას თავი დავანებე, მაგრამ არც „მშვენიერი საქმე“ მიკისრია. მე სხვა რამე მაწვალებდა. მინდოდა, მხატვარი გამოვსულიყავი, ნამდვილად კი წერას და ლიტერატურის შესწავლას შევუდექი და იმ დღიდან ჩემს მწვალებელ აზრებსა და სურათებს ქაღალდზე ვღვრიდი“. ასეთივე საინტერესო მაგალითია კონსტანტინე გამსახურდიას ზიგზაგებით სავსე არჩევანი: „ერთადერთ კარიერაზე ვოცნებობდი მთელი ჩემი სიჭაბუკის მანძილზე, ეს იყო სამხედრო. 1918-19 წლებში უნივერსიტეტი მინდოდა დამეგდო და პრუსიის გენშტაბის აკადემია მინდოდა დამესრულებინა, მაგრამ – ეს მაგრამ ძალიან ძლიერი იყო – რომანოვების არმიაში ხომ არ შევიდოდი? ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მე უკვე საკმაოდ მოწიფული ვიყავი და შეგირდობას ვეღარ შევძლებდი. 1923 წ. ისევ მომიარა სიჭაბუკის ოცნებამ პარიზში, და ლამის იყო სანსირის სამხედრო აკადემიაში არ შევედი. მაგრამ ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა... სამხედრო კარიერისადმი სიყვარული არც ბარათაშვილს ჩაუნერგია ჩემთვის და არც ლორდ ბაირონს, ოდითგანვე ცხენის კულტი იყო ოდიშის მხარეში. ექვსი წლის ბავშვს განსვენებული მამაჩემი უბელო ცხენზე შემაგდებდა და მათრახს გადაუჭერდა ცხენს“.

ამგვარი მაგალითებით მოსწავლე კარგად გაიაზრებს, რომ არ არის ტრაგედია, თუ ცხოვრების გზაზე რამდენჯერმე შეიცვლის არჩევანს, ან ექიმიც იქნება და მწერალიც ფრანსუა რაბლესა თუ მიხაილ ბულგაკოვივით. მასწავლებელს დაფიქრება და დიდი სიფრთხილე მართებს, როცა კითხვაზე: „ვინ გინდა გამოხვიდე?“ – მოულოდნელ, უცნაურ თუ აბსურდულ პასუხს მიიღებს. მან უნდა იცოდეს მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ და მულტიპოტენციურ მოსწავლეებს ხელი არ შეუშალოს, ენთუზიაზმი არ ჩაუხშოს, ტკივილი არ მიაყენოს. მოსწავლეს თავისი მრავალინტერესიანობა თუ გატაცება ტრავმულ მოგონებად არ უნდა ექცეს. მასწავლებელმა ის ნაკლად არ უნდა მიიჩნიოს, პირიქით, ბიძგი უნდა მისცეს მოსწავლეს, რომ მან ლაღად იმოგზაუროს წარმოსახულ მიზანთა მშვენიერ სამყაროში, დაეხმაროს და ხელი შეუწყოს შემოქმედებითად დამუხტული, თავისუფალი, უჩვეულო, არასტანდარტული სურვილებისა თუ ოცნებების დაბადებაში.

მარიამ გოდუაძე

სპეციალური მასწავლებლისთვის საჭირო დოკუმენტაცია – პროფესიული საქმიანობის ანალიზი

თვითშეფასება სპეციალური მასწავლებლისგან მოითხოვს რეფლექსიის უნარს. რეფლექსია კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია საკუთარი პრაქტიკის ობიექტურ აღქმასთან, გაანალიზებასა და კრიტიკულ ხედვასთან. ცვლილებები იმის აღმოჩენით იწყება, რა არის შესაცვლელი.

სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს[1] ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია სპეცმასწავლებლის თვითშეფასების დოკუმენტი, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, წარმატებული და წარუმატებელი საქმიანობების იდენტიფიცირებას და ორიენტირებულია სუსტი მხარეებისა და წარუმატებელი საქმიანობების გაუმჯობესებაზე. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას. საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ თვითშეფასება სპეციალური მასწავლებლის პრაქტიკისა და საქმიანობის განუყოფელი ნაწილია და ეხმარება მას, დაინახოს საკუთარი ეფექტიანობა, შედეგები და, პირიქით, აღმოაჩინოს, რაში სჭირდება გაძლიერება და ცვლილება.

თვითშეფასება სპეციალური მასწავლებლისგან მოითხოვს რეფლექსიის უნარს. რეფლექსია კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია საკუთარი პრაქტიკის ობიექტურ აღქმასთან, გაანალიზებასა და კრიტიკულ ხედვასთან. ცვლილებები იმის აღმოჩენით იწყება, რა არის შესაცვლელი.

სპეციალური მასწავლებლის საქმიანობა თავისი არსითა და შინაარსით ძალიან მრავალფეროვანია. ამ მრავალფეროვნების კომპონენტებად მოიაზრებენ:

- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თითოეული მოსწავლის უნიკალურობის დანახვას;
- მასზე მორგებული მეთოდებისა და სტრატეგიების შერჩევას, რაც მოითხოვს რეფლექსიის კარგად განვითარებულ უნარს.

რეფლექსია სხვა არაფერია, თუ არა მუდმივი ფიქრი და განსჯა ამ საკითხების შესახებ: რა შეიძლებოდა უკეთესად დამეგეგმა? რატომ არ გაამართლა ჩემმა დაგეგმილმა აქტივობამ? რამ შემიშალა ხელი სასურველი შედეგის მიღებაში? რას შევცვლიდი კონკრეტულ სიტუაციასა და მომენტში, ხელახლა რომ მქონდეს მისი განხორციელების შესაძლებლობა? მაშასადამე, რეფლექსია და თვითშეფასება წარმოადგენს გაუმჯობესებისკენ მიმართულ უწყვეტ პროცესს. მნიშვნელოვანია, რომ თვითშეფასების ინსტრუმენტი სწორად იქნეს აღქმული და გაგებული.

თვითშეფასება სპეციალური მასწავლებლის პერსონალური დოკუმენტია და არა ანგარიშგების სახე. სპეციალური მასწავლებელი თვითშეფასებას მიმართავს საკუთარი პრაქტიკის გასაანალიზებლად და არა სხვა პირისთვის დემონსტრირების მიზნით[2].

სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი სწორედ თვითშეფასებაა, რომლის დოკუმენტირებას ის ახდენს სასწავლო წლის დასაწყისში და დასასრულს. თვითშეფასების კითხვარში სპეციალური მასწავლებელი ფიქრობს, აანალიზებს და აფასებს საკუთარ საქმიანობას შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- სასწავლო გარემო;
- სასწავლო პროცესი;
- სწავლება.

სასწავლო გარემო	სასწავლო პროცესი	სწავლება
• პოზიტიური და თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება; • თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა; • ქცევის პოზიტიური მხარდაჭერა; • თანაბრად ხელმისაწვდომი გარემოსა და რესურსების შექმნა.	• სსსმ მოსწავლის სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირება; • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში მონაწილეობა; • ქცევის პოზიტიური მხარდაჭერა; • თანაბრად ხელმისაწვდომი გარემოსა და რესურსების შექმნა.	• სსსმ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე ზრუნვა – აკადემიური, კოგნიტიური, მოტორული, სოციალური, ემოციური, კომუნიკაციური და ენა-მეტყველების უნარების განვითარების მხარდაჭერა.

კითხვარში თითოეული მიმართულებისა და კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილია დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალური მასწავლებლის საქმიანობასთან, კომპეტენციებსა და უნარებთან. სპეციალური მასწავლებელი საკუთარ პრაქტიკას აფასებს 3-ქულიანი სკალით, სადაც 0 ნიშნავს – „არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას“, 1 – „ვცდილობ, მაგრამ უმეტესად არ გამომდის“, 2 – „ვცდილობ და უმეტესად გამომდის“, 3 – „ყოველთვის ვზრუნავ ამაზე და, ჩვეულებრივ, კარგად გამომდის“. ქულებით შეფასების შემდეგ კი სპეციალური მასწავლებელი ახორციელებს თვითრეფლექსიას, სადაც კონკრეტული მაგალითების, არგუმენტების მოშველიებით აღწერს და განმარტავს მინიჭებულ ქულას[3].

სამოქმედო გეგმა სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება:

- **ძლიერი მხარეები;**
- **გასაუმჯობესებელი მიმართულებები;**
- **გაუმჯობესების სტრატეგია/აქტივობა.**

ძლიერ მხარეებსა და გასაუმჯობესებელ მიმართულებებში გამოკვეთილ ასპექტებს ის სწორედ ამ სამი მიმართულების მიხედვით განიხილავს; აჯამებს თვითშეფასების დოკუმენტში ასახულ ინფორმაციას. გარდა თვითშეფასების დოკუმენტისა, სპეციალური მასწავლებლისთვის ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებისა და გასაუმჯობესებელი მიმართულებების აღმოჩენის საშუალება შესაძლოა იყოს კოლეგისგან, პროფესიული საზოგადოებისგან და/ან ხელმძღვანელისგან მიღებული უკუკავშირი. ამ ყოველივეს აღნიშვნა კი ხდება ცხრილში ცალკე გამოყოფილ სივრცეში – რაზე დაყრდნობით განსაზღვრა სპეციალურმა მასწავლებელმა ძლიერი მხარეები თუ გასაუმჯობესებელი მიმართულებები.

ბუნებრივია, სამოქმედო გეგმა მხოლოდ არსებული რეალობის ასახვას არ გულისხმობს – ყველაზე მნიშვნელოვანია, გეგმაში ნათლად ჩანდეს, რა რეაგირება მოჰყვება გასაუმჯობესებელ მიმართულებათა გამოკვეთას, როგორ დაგეგმავს სპეციალური მასწავლებელი პროფესიულ განვითარებას.

განვითარებასა და კომპეტენციის ამაღლებაში ბევრი რამ შეიძლება დაგვეხმაროს, მაგალითად, ტრენინგი, სუპერვიზიის გავლა, საჭირო ლიტერატურის დამუშავება. მთავარია, სწორად დაიგეგმოს ის სტრატეგია და აქტივობები, რომლებიც წინსვლაში დაგვეხმარება. ამასთანავე, მასწავლებელი საზღვრავს სავარაუდო პერიოდს, რომელიც დაგეგმილ აქტივობათა განსახორციელებლად დასჭირდება. დროის წინასწარ განსაზღვრა მას დროის მენეჯმენტში და გასაუმჯობესებელ მიმართულებებზე რეაგირების რაც შეიძლება დროულად დაგეგმვაში ეხმარება.

გასაუმჯობესებელი მიმართულებების განვითარებაში სპეციალურ მასწავლებელს მხარდაჭერა შესაძლოა გაუწიონ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციამ, კოლეგებმა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურამ/დაწესებულებამ, რომელიც ტრენინგებს, სასწავლო კურსებს სთავაზობს პროფესიულ საზოგადოებას. სწორედ ადმინისტრაციაა ის მხარდამჭერი რგოლი, რომელსაც შეუძლია შეუძინოს სპეციალურ მასწავლებელს შესაბამისი ლიტერატურა, დაარეგისტრიროს სატრენინგო კურსებზე და/ან დაუფინანსოს ისინი და სხვა.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა სპეციალურ მასწავლებლებს საკუთარი საქმიანობის შეჯამებაში, ანალიზსა და სამომავლო აქტივობების ეფექტიანად დაგეგმვაში ეხმარება.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა სპეციალურ მასწავლებლებს საკუთარი საქმიანობის შეჯამებაში, ანალიზსა და სამომავლო აქტივობების ეფექტიანად დაგეგმვაში ეხმარება.

შენიშვნები:

1. file:///C:/Users/user/Desktop/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D.pdf
2. პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016, გვ. 110.
3. ლიკა ქურციკიძე, ბაია კუბლაშვილი, სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს გზამკვლევი, თბილისი, 2022, გვ. 111. წერილში წარმოდგენილი მასალა ეფუძნება აღნიშნულ გზამკვლევს.

თინათინ ზარდიაშვილი

ბიოჩიპი, ნანონაწილაკები, მომავლის მედიცინა

გაეროს ბავშვთა ფონდის 2019 წლის კვლევის დასკვნის მიხედვით, „მედიაზე ბრმად დამოკიდებულება კლავს ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას და სამოქალაქო ვალდებულებას, დასვან კითხვები, იკამათონ, ამიტომაც უკიდურესად მნიშვნელოვანია, მოზარდებმა კრიტიკულად გაიაზრონ მიღებული ინფორმაცია, იმსჯელონ მის ნამდვილობაზე, ამოიცნონ და გააანალიზონ მიკერძოებული გაშუქება“.

როდესაც საქართველოში ელექტრონული პირადობის მოწმობის დამზადება დაიწყეს, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თავს იკავებდა მისი აღებისგან. საბანკო ბარათებზე გადავედით და არც მაშინ წყდებოდა საუბარი მათ საშიშროებაზე. კოვიდპანდემიასთან ბრძოლის ერთადერთ იარაღს – ვაქცინასაც ძირითადად „ჩიპების“ შიშით ერიდებიან. სოციალურ ქსელებსა და პირად საუბრებში ხშირად შემხვედრია მსგავსი რეპლიკები:

„ესენი ჩიპებს გვიდგამენ, ხალხო, არ აიცრათ!“

„ამერიკელები ხორბალში ჩიპებს დგამენ, პური არ ჭამოთ!“

ადამიანების მცდარი წარმოდგენა მსგავს საკითხებზე ცნობიერების დაბალი დონით არის განპირობებული. სამწუხაროდ, საშუალო საფეხურის მოსწავლეებიც პირდაპირ იღებენ სოციალურ ქსელში განთავსებულ ინფორმაციას – მათთვის სათაურიც საკმარისია, რომ ტექსტი საკუთარ კედელზე გააზიარონ ან უბრალოდ სხვებისთვის მისი ვერბალური წარდგენა დაიწყონ. გაეროს ბავშვთა ფონდის 2019 წლის კვლევის დასკვნის მიხედვით, *„მედიაზე ბრმად დამოკიდებულება კლავს ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას და სამოქალაქო ვალდებულებას, დასვან კითხვები, იკამათონ, ამიტომაც უკიდურესად მნიშვნელოვანია, მოზარდებმა კრიტიკულად გაიაზრონ მიღებული ინფორმაცია, იმსჯელონ მის ნამდვილობაზე, ამოიცნონ და გააანალიზონ მიკერძოებული გაშუქება“.*

ბიოჩიპების შესახებ დამკვიდრებულმა მცდარმა წარმოდგენებმა გადამაწყვეტინა, მოსწავლეებთან ნანოტექნოლოგიებზე მესაუბრა. საკითხი მათ მაშინ გავაცანი, როცა მეთერთმეტე კლასში, ქიმიის კურსში ნახშირბადის ატომების თავისებურებებს სწავლობდნენ, თუმცა ამ თემის განხილვა შესაძლებელია საშუალო საფეხურზეც, ფიზიკის, ბიოლოგიის, კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილებზე. გაგიზიარებთ გამოცდილებას. სტანდარტული გაკვეთილის გეგმის წარდგენას ძირითად ასპექტებზე ყურადღების გამახვილება ვამჯობინე.

გრძელვადიანი მიზანი: მოსწავლეებმა შეაფასონ ნანომასალების მნიშვნელობა დაავადებების დიაგნოსტირება-მკურნალობაში და ტექნიკაში; იმსჯელონ ბიოეთიკის საკითხებზე.

მოკლევადიანი მიზანი: მოსწავლეებმა აღწერონ ნანომასალები და ნანონაწილაკები მათი ატომური სტრუქტურის გათვალისწინებით, მოამზადონ 1-წუთიანი ვიდეოები ნანოსტრუქტურებსა და მათ მნიშვნელობაზე.

წინარე ცოდნა და უნარები: მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ:

- ატომებისა და მოლეკულების დახასიათება აღნაგობის მიხედვით;
- ატომებს შორის ქიმიური ბმის ტიპის ამოცნობა;
- სამეცნიერო ტერმინების გამოყენება;
- მეტრული სისტემის გამოყენება;
- უჯრედის სტრუქტურების ამოცნობა და დახასიათება აგებულებისა და ფუნქციის მიხედვით.

თემისადმი ინტერესი რომ აღმეძრა, მოსწავლეებს ვკითხე: „რა არის ბიოჩიპი?“ მათ სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდათ. დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ ეს ადამიანების სამართავი საშიში საშუალებაა და აცრის დროს ჩვენს სხეულში სწორედ ბიოჩიპები შეჰყავთ.

(16-17 წლის ადამიანს უკვე საკუთარი შეხედულებები

აქვს და მათი შეცვლა ძალიან რთულია, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, მოსწავლე ენდობოდეს მასწავლებელს, რათა მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია დაიჯეროს და გაიზიაროს. პირველ ეტაპზე ისიც კი ვიფიქრე, რომ ამ საკითხებზე მსჯელობას აზრი არ ექნებოდა, მაგრამ ასე უცბად ვერ დავნებდებოდი და მუშაობა დიდი იმედით განვაგრძე.)



პირველი აქტივობა ინტერაქციული პრეზენტაცია იყო.

პრეზენტაცია მიზნად ისახავდა მოსწავლეების საკითხით დაინტერესებას. ბოლოს ვისაუბრე მედიცინაში გამოყენებული ნანონაწილაკებისა და ნანოსტრუქტურების შესახებ.

ნანობიოტექნოლოგია ნანოტექნოლოგიის დარგია – ქმნის სტრუქტურებს, რომლებიც დაავადებების დიაგნოსტირებისა და მკურნალობის საშუალებას იძლევა. ნანოტექნოლოგია მეცნიერების მიმართულებაა, რომელიც ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მასალების ქიმიისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ინტეგრირების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ნანორობოტს შეუძლია დაზიანებული უჯრედების ამოცნობა და სამიზნემდე მედიკამენტის მიტანა. განსაზღვრულ სიტუაციაში მისი მეშვეობით ქირურგიული მანიპულაციების განხორციელებაც შესაძლებელია. მის მუშაობას კომპიუტერით მართავენ. რამდენიმე ათეული წლის წინ ადამიანი ვერც წარმოიდგენდა, რომ ლაპაროსკოპიული ქირურგია განვითარდებოდა, სულ მალე კი ნანორობოტი ჩაანაცვლებს ოპერაციისთვის საჭირო აღჭურვილობას. ის ამოიცნობს და ამოკვეთს სიმსივნეებს.

ლიპოსომები მემბრანით შემოსაზღვრული, სფერული სტრუქტურებია, რომელთა შიგნით წყლიანი არეა. ლიპოსომების



მემბრანით ხდება ჰიდროფობური, შიგთავსით კი ჰიდროფილური ნივთიერებების გადატანა სამიზნე უჯრედებამდე. მეტასტაზების მქონე სიმსივნეების გასანადგურებლად გამოიყენება p53 ცილით დატვირთული ლიპოსომები. ისინი უკავშირდებიან სიმსივნურ უჯრედებს და მათში შეაქვთ p53 ცილა, რომელიც აპოპტოზის მექანიზმის გააქტიურებით ანადგურებს გადაგვარებულ ქსოვილს.

ნახშირბადოვანი ნანომილაკი რამდენიმე ნმ დიამეტრის ცილინდრული ფორმის მილაკია, რომელიც ნახშირბადის ატომებისგან (გრაფიტის ფურცლები) შედგება. ის ფოლადზე უფრო მდგრადია და ამავე დროს ძალიან მოქნილი. უჯრედამდე შეუძლია როგორც დაბალმოლეკულური ფორმების, ისე მაკრომოლეკულების მიტანაც. ნახშირბადს ადსორბციის უნარი აქვს და ამ გზით გადააქვს



ბიოჩიპების შესახებ დამკვიდრებულმა მცდარმა წარმოდგენებმა გადამაწყვეტინა, მოსწავლეებთან ნანოტექნოლოგიებზე მესაუბრა. საკითხი მათ მაშინ გავაცანი, როცა მეთერთმეტე კლასში, ქიმიის კურსში ნახშირბადის ატომების თავისებურებებს სწავლობდნენ, თუმცა ამ თემის განხილვა შესაძლებელია საშუალო საფეხურზეც, ფიზიკის, ბიოლოგიის, კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილებზე.

ნივთიერებები ერთი ადგილიდან მეორეზე. ნახშირბადოვანი ნანომილაკი და ანტისხეულები ავთვისებიანი უჯრედების აღმოსაჩენად გამოიყენეს. ანტისხეულები უკავშირდება სიმსივნური უჯრედების ზედაპირზე უხვად წარმოდგენილ ზრდის ფაქტორის რეცეპტორებს. მეცნიერებმა ექსპერიმენტულად დაადგინეს, რომ რაც უფრო მეტი რეცეპტორია უჯრედზე, მით უფრო დიდია ქსოვილის ელექტროგამტარობა ელექტროდებს შორის მოთავსებისას.

დნმ-ის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის დასადგენად გამოიყენება ერთი ატომის სისქის ნახშირბადის ფენა. მასში უნდა გადაადგილდეს დნმ-ი. ელექტრულ ველში მისი გადაადგილების დროს ხდება პოტენციალის ცვლილების დაფიქსირება. ვინაიდან ყველა ნუკლეოტიდს აქვს განსაზღვრული პოტენციალი, ძაბვის გაზომვით დგინდება, რომელმა ნუკლეოტიდმა გაიარა ნანოფორაში.

ბიოჩიპი მატრიცაა, რომელზეც წინასწარაა დატანილი ბიომაკრომოლეკულები. ბიოჩიპის უპირატესობა ის არის, რომ იძლევა რამდენიმე ანალიზის ერთდროულად გაკეთების შესაძლებლობას. ის ამოიცნობს ნივთიერებას. როცა დნმ-ის გამოკვლევაა საჭირო, ბიოჩიპზე დატანილია ოლიგონუკლეოტიდი. ის იკავშირებს გასაანალიზებელ სინჯს. კომპლემენტურ ფუძეებს შორის წყალბადური ბმები ყალიბდება, რისი დადგენაც სიგნალით ხდება. ბიოჩიპით შეიძლება ცილების, დნმ-სა და წყლის ანალიზიც კი.



დენდრიმერები ნახშირბადის დატოტვილი მილაკებია. მათ ღრუებში ჰიდროფილური და ჰიდროფობური ნაერთები თავსდება, რომლებიც დანიშნულების ადგილზე გადააქვთ.

ლიპოსომების, ნახშირბადოვანი ნანომილაკებისა და დენდრიმერების უპირატესობა ის არის, რომ მედიკამენტი ნარჩენების გარეშე მიდის სამიზნე უჯრედამდე, არ აზიანებს ირგვლივ მდებარე ქსოვილებს და დოზირებაც უფრო ზუსტია.

ვერცხლის ნანონაწილაკები შავი ფხვნილია. ნაწილაკების ზედაპირული აქტივობა ძალიან მაღალია. კარგი ელექტროგამტარობის გამო ფართოდ გამოიყენება ელექტრონიკაში. ნანონაწილაკებს აქვს ბაქტერიოციდული თვისება და გამოიყენება ჩვილის ჭურჭლის დასამზადებლად, სარეცხი მანქანის დოლურაც ვერცხლის ნანონაწილაკებს შეიცავს. ამავე თვისების გამო მედიცინაში მათ იყენებენ ოპერაციის შემდგომი ინფექციების თავიდან ასაცილებლად. ვერცხლის ნანონაწილაკებს შესწევთ დაზიანებული ქსოვილის აღდგენისა და ამოცნობის უნარი. მას შემდეგ, რაც დაზიანებულ ადგილზე მოხვდებიან, ირგვლივ მდებარე უჯრედების სტიმულაციას ახდენენ და ისინი გაყოფას იწყებენ.



AuNP – ოქროს ნანონაწილაკი

ვერცხლის ნანონაწილაკების მსგავსად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს **ოქროს ნანონაწილაკებს.** მეცნიერები ფიქრობენ მათ გამოყენებაზე წყლის სადეზინფექციოდ, მზის ბატარეების დასამზადებლად. ოქრო ჟანგბადთან არ ურთიერთქმედებს და არ იჟანგება. ოქროს ნანონაწილაკებს მედიცინაში მედიკამენტის უჯრედამდე მისატანად იყენებენ. მედიკამენტი უკავშირდება ჰიდროსულფიდის ჯგუფს (-SH) და საბოლოოდ კოვალენტური ბმით უკავშირდება ოქროს ნაწილაკს. ოქროს ნანონაწილაკზე სინათლის ზემოქმედებისას მისი ელექტრონები მოძრაობას იწყებენ. იმის მიხედვით, თუ რა სიგრძის ტალღის სინათლე მოქმედებს მასზე, ელექტრონები სხვადასხვა სიხშირით ირხევიან. მეცნიერთა აზრით, პლატინის მსგავსად, ოქროს ნაწილაკებსაც უნდა ჰქონდეთ კატალიზური აქტივობა. უკვე დაამზადეს აირწინაღი, რომელიც ოქროს ნანონაწილაკებით ასუფთავებს ჰაერს, თუმცა ჯერ სერიულ წარმოებაში არ ჩაუშვიათ. მუშაობა მიმდინარეობს ოქროს ნაწილაკების საშუალებით წყლის ორგანული დამაბინძურებლებისგან გასუფთავებაზეც. სიმსივნური უჯრედების გასანადგურებლად გამოიყენება ოქროს ნანონაწილაკებით დაფარული კვარცის კრისტალები ინფრაწითელ

სხივებთან ერთად. კრისტალი ოქროს ნანონაწილაკის ზედაპირზე არსებული ანტისხეულით უკავშირდება სიმსივნური უჯრედის რეცეპტორს, მერე კი მას დაასხივებენ. ოქრო, როგორც კარგი თბოგამტარი, სწრაფად ცხელდება და შლის სიმსივნურ უჯრედს.

ფულერენები ნახშირბადის სინთეზური ალოტროპებია. მედიცინაში გამოიყენება C60. მას სფეროს ფორმა აქვს და ფეხბურთის ბურთის ფორმის ფულერენს უწოდებენ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მას გამოიყენებენ პარკინსონის დაავადების, ალერგიული დაავადებებისა და შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის სამკურნალოდ.

რესპიროციტი 100 ნმ დიამეტრის ალმასის სფეროა. მისი კედლის სისქე 1 ნმ-ზე ნაკლებია. ის ავსებულია ჟანგბადით. ალმასი ძალიან მტკიცე მასალაა და დიდ წნევას უძლებს. როტორის საშუალებით ბრუნავს და გადაადგილდება. მისი ბრუნვის დროს სიჩქარის ცვლილების შესაბამისად ხდება ჟანგბადის გამოთავისუფლება და მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მისი დახმარებით პაციენტებს ჟანგბადის დეფიციტს მოუხსნიან.



რესპიროციტი არ შთანთქავს ფიბრინოგენს და, შესაბამისად, არ იწვევს სისხლძარღვში თრომბის წარმოქმნას. ინფარქტის შედეგად ხშირად ზიანდება მიტოქონდრიები, რასაც უჯრედული სუნთქვის შეფერხება მოსდევს. **ხელოვნური მიტოქონდრიის** საშუალებით შესაძლებელი გახდება უშუალოდ უჯრედებამდე ატფ-ს მიტანა. მიკროფაგოციტები ბაქტერიებსა და ვირუსებს გაანადგურებს.

კვანტური წერტილები ნახევარგანვლადი ნანოკრისტალებია. აგზნების დროს იწყებს მკვეთრი ფერით ნათებას და დაავადებული უჯრედების აღმოჩენას ამარტივებს.

კლოტოციტები კი ხელოვნური თრომბოციტებია. ბუნებრივი სისხლის ყველა თვისება აქვს ვასკულოიდს, რომელიც მიკროფაგოციტის, რესპიროციტისა და კლოტოციტის კომპლექსს წარმოადგენს.



კლოტოციტები

პირველ გაკვეთილზე წარმოდგენილი მასალა მოსწავლეებმა დაამუშავეს. მეორე გაკვეთილი დისკუსიას დავუთმეთ. ამისთვის კლასი დავყავი ორ ჯგუფად, პირობითად – და ნანოსტრუქტურების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. მომხრეების ჯგუფს დავალებული ჰქონდა, მოეძიებინა დამატებითი მასალა, მაგალითად, ხელოვნური ქრომოსომებისა და სხვა ნანოსტრუქტურების შესახებ, რითაც ნანომეცნიერების განვითარების მნიშვნელობას დაამტკიცებდნენ, მოწინააღმდეგე ჯგუფის მიზანი კი კონტრარგუმენტების მოგროვება იყო. მათ ძირითადად ბიოეთიკის კუთხით იმუშავეს. დისკუსიის მოდერატორი შეიძლება იყოს როგორც მასწავლებელი, ისე მოსწავლეც.



ვასკულოიდი

მოსწავლეების უმრავლესობამ კარგად გაიაზრა ბიოჩიპებისა და სხვა ნანონაწილაკების მნიშვნელობა. ისინი 1-წუთიან ვიდეომიმართვებს ამზადებენ სკეპტიკურად განწყობილი ადამიანებისთვის.

გამოყენებული წყაროები:

1. მედიაწიგნიერების უნარების განვითარება ახალგაზრდებში – გაეროს ბავშვთა ფონდი – 2019 წლის ანგარიში https://uni.cf/3GvwZo0
2. https://jnanobiotechnology.biomedcentral.com/articles/10.1186/1477-3155-10-31
3. Microfabricated immunoisolating biocapsules https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/10099185/
4. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/10675681/
5. ბიოეთიკა – ბ.მამულაშვილი, თსუ 2014 წელი https://old.tsu.ge/data/file_db/anthim/15.Geo.pdf
6. ბიოეთიკის განმარტება http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=5852
7. ოქროს ნანონაწილაკების მიღების ექსპერიმენტი https://www.youtube.com/watch?v=1vr4OKlGwPA

თემურ სუყაშვილი

პანდემია და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები ახალგაზრდებში

ჩვენი, პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიზანია, მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები გახდეს სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი.

მსოფლიო პანდემიის დაწყების შემდეგ, სხვა სექტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა განათლების სისტემას. დისტანციურმა თუ ჰიბრიდულმა სწავლებამ, ინტერნეტისა და ტექნიკის არათანაბარმა ხელმისაწვდომობამ მოსწავლეების აკადემიური ჩამორჩენა გამოიწვია. საქართველოში ჩატარებული კვლევის „COVID19-ის გავლენა სასკოლო განათლების სისტემაზე: პანდემიით გამოწვეული სასწავლო დანაკარგების შეფასება“[1] შედეგად გამოვლინდა ისეთი დანაკარგები, როგორიცაა სასწავლო დროის შემცირება, ეროვნული სასწავლო გეგმისგან ჩამორჩენა და მოსწავლეთა მოტივაციის დაქვეითება. ავტორები განათლების სამინისტროს და საგანმანათლებლო დაწესებულებებს რემედიაციის პროცესის დაწყებას ურჩევენ.

პანდემიამ მოსწავლეებზე ღრმა კვალი დატოვა, არამხოლოდ ხილული სასწავლო დანაკარგების[2] სახით, არამედ შედარებით უხილავიც – მენტალური ჯანმრთელობის გაუარესება, სოციალურ-ემოციური და ფსიქოემოციური უნარების დაქვეითება. მუდმივი სტრესი, გაურკვევლობა, ბუნდოვანი მომავალი, სწავლების ფორმათა ცვალებადობა (პირისპირ, დისტანციური თუ ჰიბრიდული), სოციალური ურთიერთობების ნაკლებობა – ეს მოსწავლეებში კოვიდპანდემიის პერიოდში გამოვლენილი სტრესფაქტორების არასრული ჩამონათვალია.

საერთაშორისო მედიაში ხშირად წააწყდებით სიუჟეტს იმის შესახებ, როგორ ცდილობენ ქვეყნები მოსწავლეთა მენტალური ჯანმრთელობის კუთხით სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას. მკვლევრები საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მასწავლებლებს ურჩევენ, საგნის სწავლებასთან ერთად დიდი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ემოციურ მდგრადობას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ჯერ კიდევ 2021 წლის მაისში გამოქვეყნებული კვლევის ანგარიშიდან[3] ირკვევა, რომ 15-24 წლის ახალგაზრდებში მენტალური ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები გაორმაგდა. ახალგაზრდებში გაიზარდა დეპრესიისა და შფოთვის სიმპტომები. ორგანიზაცია რეკომენდაციას[4] აძლევს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განახორციელონ მენტალური ჯანმრთელობის მხარდამჭერი აქტივობები და დაგეგმონ შესაბამისი ინტერვენციები, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც სკოლის ადრეული მიტოვების რისკის წინაშე იმყოფებიან.

აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) მიერ 2021 წლის ზაფხულში გამოქვეყნებულ სტატიაში[5] საუბარია პანდემიის შედეგად ბავშვთა მენტალური ჯანმრთელობის გაუარესებაზე, სტრესისა და შფოთვის შემთხვევების მატებაზე. სტატიაში ნათქვამია, რომ ბავშვებსა და მოზარდებში მუდმივმა სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს:

- შიშის, ბრაზის, სევდის, შფოთვის ან იმედგაცრუების გრძნობა;
- უმადობა, ენერგიის ნაკლებობა, სურვილებისა და ინტერესების შეცვლა;
- კონცენტრაციისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის დაქვეითება;
- ჩაკეტვა და გარე სამყაროსთან კომუნიკაციის სურვილის გაქრობა;
- ჩამორჩენა სწავლაში, სკოლის მიტოვების შემთხვევების მატება;
- ძილის დარღვევა;
- ისეთი ფიზიკური რეაქციები, როგორიცაა თავის ტკივილი, სხეულის ტკივი-

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ბესო პაპასქუა

ჩემი მასწავლებელი

დიდი ხნის წინათ ქუჩაში მოთამაშე ორმა ბავშვმა ხუთ-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის კარიდან გამოსული ჩვენი თანატოლი გოგონა შევნიშნეთ. გოგონა არც ჩაცმულობით, არც აღნაგობით არ გამოირჩეოდა სხვებისგან, თუმცა ის, რაც ხელში ეჭირა, ნამდვილად ანიჭებდა გარეგნულ მომხიბვლელობას. ეს წიგნი იყო, ოღონდ იმ სახელმძღვანელო წიგნებისგან განსხვავებული, რომლებსაც ჩვენი მშობლები წინასასკოლოდ გაჭირვებით ყიდულობდნენ ხოლმე საკანცელარიო მაღაზიებში. ამ წიგნს გახუნებული ყდა ჰქონდა და უფერული ნახატი ამშვენებდა წარწერით: „საიდუმლო კუნძული“.

დღევანდელი ციფრული რესურსი, რომელსაც გამომცემლობები სათავგადასავლო ლიტერატურის გასაფორმებლად იყენებენ, ფაქტობრივად, შესაძლებლობას ართმევს მკითხველს, თავის წარმოსახვას მიენდოს. აქ კი, მუყაოს ამ გახუნებულ და უფერულ ყდაზე გამოტანილი მინიმალიზმი მხოლოდ ფანტაზიის ამარა გტოვებდა და ბუნებრივად გიჩენდა კითხვებს: რა საიდუმლოს მატარებელი შეიძლებოდა ყოფილიყო ან ეს კუნძული, ან ის კარი, საიდანაც გოგონა წიგნით ხელში გამოვიდა? თავსატეხი ამოსახსნელი იყო და ეს ვერაფრით მოხერხდებოდა, თუ კარს მიღმა არ აღმოვჩნდებოდით. ასე შევაბიჯეთ საიდუმლოებისა და ჯადოქრობების დიდ დარბაზში, რომელსაც საბავშვო ბიბლიოთეკა ერქვა და გავიგეთ, რომ ქვეყანაში, სადაც არაფერი იყო უფასო, წიგნებს უფასოდ გვთავაზობდნენ. მას შემდეგ ბიბლიოთეკაში გამომწყვდეული ისტორიების, ორიგინალური ამბების მძარცველები გავხდით, წამოვიღეთ ცოდნა უამრავი თავგადასავლის, ფათერაკებიანი ზღვების, კუნძულების, მთების შესახებ, სამყაროს შესახებ, რომელიც ჩვენ მიღმა, პარალელურ წარმოსახვით ველში არსებობდა.

„საიდუმლო კუნძულამდე“ რაც წავიკითხე, ჟიულ ვერნის „80 000 კილომეტრი წყალქვეშ“ იყო, ამიტომ კაპიტანი ნემოს შესახებ ყველაფერი ვიცოდი. „საიდუმლო კუნძული“ ნამდვილად აღმოჩნდა იმ შთაბეჭდილების წიგნი, რომელმაც დამარწმუნა, რომ კითხვას არასდროს მივანებებდი თავს. წიგნის დასასრულს ნემოს წყალქვეშა ხომალდის პოვნას ლამის პორტალში გასვლის ეფექტი ჰქონდა. ასეთი რამ დამემართა კიშლოვსკის „სამი ფერის“ ყურების დროსაც, როცა სამი სხვადასხვა ფილმის პერსონაჟებმა ფინალში მოიყარეს თავი და თუმცა არავითარი კინემატოგრაფიული ცოდნა არ გამაჩნდა, უცებ გავიფიქრე, რომ ამ გენიალურ რეჟისორს ძალიან უყვარდა ვერნი. ეს ამტკიცებდა, რომ წიგნები, ამბები ჩვენ გარშემო ერთმანეთთან ძალიან ახლოს არსებობდნენ და თავისთავად წარმოადგენდნენ რაღაც მთლიანისა და საინტერესოს ნაწილს, რასაც დასასრული არ აქვს.

მსგავსი აღმოჩენები იმდენად მნიშვნელოვანია ხოლმე, რომ ძალიან გინდა, შთაბეჭდილებები ვინმეს გაუზიარო, ისევე, როგორც ამას, მაგალითად, სპორტულ გაზეთებში ამოკითხული სიახლეების განხილვისას აკეთებ. მაგრამ თანატოლებს შორის სპორტული სიახლეების მიმომხილველთა ნაკლებობას თუ არასდროს ვუჩიოდი, მხატვრული ლიტერატურის ქომაგები სანთლით მყავდა საძებარი. ამიტომ საკუთარ შთაბეჭდილებებთან ინტერაქციის შესაძლებლობის ძიების გზაზე, ხელში კალამმომარჯვებული, მაგიდასთან აღმოვჩნდი. ამ რვეულებში ისეთი გულუბრყვილო რამეები იწერებოდა, როგორების დაწერაც მარტო ბავშვებს შეუძლიათ. იწერებოდა წერილები პორთოსისთვის, მორისისთვის, მარეკ პეგუსისთვის, ჰეკლბერი ფინისთვის, ედმონ დანტესისთვის... გამოხდა ხანი და ამ დიდებული ადამიანების სიას კიდევ ერთი სახელი შეემატა. სახელი, რომელმაც განსაზღვრა ჩემი პროფესიული მომავალი, მომცა რწმენა და მაჩუქა იმედი. მას თეონა თეზელაშვილი ერქვა, ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდა და პორთოსისგან ან ედმონ დანტესისგან განსხვავებით, ზედმიწევნით განიხილავდა თავგადასავლების გამოგონების ჩემეულ მცდელობებს, ყურადღებით ჩაჰკირკიტებდა ტექსტებში ნებისმიერ უზუსტობას და დაუზარლად მიბრუნებდა რეკომენდაციებს. ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ჰქონდა ღირსება, რომელიც მარტო თეორიული ცოდნით არ მოიპოვება. მას შეეძლო დაეხსნა მოსწავლე ყოფითი აპოკალიფსისგან, გამოეცადა ნებისმიერ ასპარეზზე და ეთქვა: შენ ეს შეგიძლია, ამიტომ ამის გაკეთებას ერთად გავაგრძელებთ და ყველაფერი უკეთესად გამოგვივა.

ამ პირობებში მუშაობა ნებისმიერ ბავშვს გაუადვილდება. როგორია, სადღაც, იფის მივარდნილი ციხესიმაგრის ჯურღმულში რომ გდიხარ ტუსაღ აბატ ფარიასა და ედმონ დანტესთან ერთად, რომელიც ჯერ არ გამხდარა გრაფი მონტე-კრისტო, ებრძვი ჭლექს, ნესტს, მზერას სიბნელეს აჩვევ და მოთმინებას სწავლობ; უთავო მხედარს კვალში უდგახარ და ტრამალებში, გაუვალ ეკლებში სუნთქვაგახშირებული მისდევ; ყველგან ხარ და მაინც ვერავინ გხედავს, ყველას აკვირდები და მაინც ვერავინ გამჩნევს. მერე ხურავ წიგნს, შლი რვეულს და ლამპის შუქზე შთაბეჭდილებებს იწერ, აგროვებ, თავს უყრი იმ უჩინმაჩინი მკითხველის ემოციებს, რომელიც აქაცაა, ლამპის შუქით განათებულ ოთახში, და წიგნების უკიდეგანო ფანტაზიის სამყაროშიც და შენი ცხოვრების პერსონაჟის ძერწვას იწყებ. სულერთია, როგორი გამოგივა. მთავარია, სადმე წაიღო ის შეგრძნებები, რომლებიც ამ ჯადოსნურმა წიგნებმა გაგიჩინა, რამე მოუხერხო ამ სევდას და სიხარულს, რადგან ეს კარგი თერაპიაა, მერე მოუკრა თავი შენი შეგრძნებების ხურჯინს და შენი სკოლის მასწავლებელთან მიიტანო, იმიტომ, რომ იცი – ის ყოველთვის დაგელოდება.

არ ვიცი, რამდენი ასეთი რვეული დაგროვდა წლების მანძილზე. ცხადია, მათ არავითარი მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ, ერთადერთი ღირებულება წითელი კალმით შესრულებული შენიშვნები და ქებაა, რომლებიც მათში მრავლადაა, და ისიც – ერთადერთი საიდუმლოს გამო. ეს საიდუმლო მდგომარეობს იმ დამოკიდებულებაში, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლისადმი იჩენს და რამდენჯერაც უნდა მომინდეს ამაზე ლაპარაკი, იმდენჯერვე შევძლებ მათ ნივთმტკიცებად გამოყენებას.

მას შემდეგ თხუთმეტ წელზე მეტი გავიდა. თეონა მასწავლებელი ისევ სკოლაშია და ასწავლის. მას ჰყავს, ჰყავდა და კიდევ ეყოლება ჩემზე უკეთესი მოსწავლეები, რომლებსაც საკუთარი გზის პოვნაში დაეხმარება და რომლებსაც, მათი წინამორბედის მსგავსად, ერთხელაც აუცილებლად მოუწევთ დაფიქრება იმაზე, რა ფორმით შეიძლება დაუბრუნონ ვალი გაწეული ამაგისთვის. და ვერაფერსაც ვერ მოიფიქრებენ, რადგან ამხელა შესაძლებლობები სამყაროში არ არსებობს.

დიანა ანფიმიადი

აუტიზმი და იუმორი

როდესაც აუტიზმის რთულ და საინტერესო სივრცეს ვეხებით, პირველი, რაც გვაოცებს, დეფინიციების, გზამკვლევების, წესების, თეორიისა და პრაქტიკის ერთგვარი პარადოქსულობაა. მაგალითად, გვეუბნებიან, რომ აუტისტური სპექტრის დროს ადამიანებს ორაზროვანი, გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამი სიტყვები არ ესმით. ამ დროს ისინი თავად საუბრობენ მეტაფორებით. ვკითხულობთ, რომ იუმორიც რთული სფეროა მათთვის, არადა, სხვადასხვა სივრცეში ხშირად ვხვდებით აუტიზმის მქონე ბავშვებს, რომლებიც მშვენივრად ხუმრობენ, ამით სიამოვნებას იღებენ და სხვის ხუმრობებზეც იცინიან.

სამეცნიერო კვლევები თუ ექსპერიმენტები ადასტურებს, რომ აუტისტური სპექტრის სხვადასხვა ფორმის აშლილობის დროს იუმორის როგორც სამეტყველო საკომუნიკაციო აქტის წარმოება, გაგება და აღქმა სპეციფიკური, თუმცა ბუნებრივია. შესაძლოა, ზოგჯერ იუმორის გამოხატვა თავისებური იყოს, თუმცა იუმორის როგორც სოციალური ინტეგრაციის, კომუნიკაციის ფორმას აუტიზმის მქონენი ისევე იყენებენ, როგორც ნეიროტიპური ადამიანები.

იუმორის განვითარების ერთგვარ სისუსტეს მკვლევრები სხვადასხვა მიზეზით ხსნიან – კოგნიტიური განვითარების თავისებურება იქნება ეს, განზოგადების უნარის ნაკლებობა, იუმორის ლინგვისტურ სტრუქტურაში წვდომის სირთულე, სოციალური ურთიერთობების ნაკლებობა თუ სხვა.

იუმორს სოციალურ წებოს უწოდებენ. ის ბუნებრივი ურთიერთობის მნიშვნელოვანი ნაწილია. შესაბამისად, სრულყოფილი სოციალური ინტეგრაციისთვის მისი გამორიცხვა შეუძლებელია. ის კომუნიკაციის, სასაუბრო ეტიკეტის აუცილებელი ნაწილია.

იუმორი ენის განსაკუთრებული ფორმა, მისი ერთ-ერთი კოგნიტიური ინსტრუმენტი, მეტაფორული, მხატვრული აზროვნების გამოხატულება, ენის პრაგმატიკის მნიშვნელოვანი ელემენტია. როგორია მისი ლინგვისტური დეფინიცია, ლინგვისტური მოდელი? იუმორი როგორც ნიშანი, იუმორი როგორც ენობრივი მოვლენა? შესაძლებელია თუ არა, დავშალოთ იუმორი ენობრივ შემადგენლებად, სტრუქტურად, წარმოქმნის მექანიზმად და შემდეგ ისევე დავასწავლოთ იგი მეტყველების პრობლემების მქონე ადამიანებს, როგორც, ვთქვათ, ტროპული მეტყველება?

იუმორს როგორც სოციალურ ქცევას, მის ფსიქოლოგიურ და ლინგვისტურ თავისებურებს არაერთი კვლევა და თეორია მიეძღვნა. ამ საკითხებით ჯერ კიდევ ძველი ბერძნული ფილოსოფია, პლატონი და არისტოტელე იყვნენ დაინტერესებული. იუმორის თანამედროვე კვლევები კომპლექსური, მასშტაბური და მულტიდისციპლინურია, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ლინგვისტიკის, კულტუროლოგიის, ანთროპოლოგიის მეცნიერებებს მოიცავს.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, იუმორი ადამიანის თანდაყოლილი მექანიზმია, ზოგი კი ფიქრობს, რომ იუმორის სწავლება შეიძლება. ის უნივერსალური მოვლენაა, თუმცა ამავე დროს განსხვავებული – ენებისა და კულტურების მიხედვით. ზოგიერთი თეორიით, იუმორი არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, არამედ კოგნიტიური განვითარების ფორმაცაა. ზოგიერთი მეცნიერისთვის ის შფოთვისგან გათავისუფლების, ადაპტაციის ფორმაა. ადამიანი ხუმრობს იმისთვის, რომ რაიმე სიტუაციაში, მათ შორის ენობრივში, თავი „შინ“ და „შინაურად“, მიღებულად იგრძნოს. იუმორი კომუნიკაციის საჭირო ფორმაა, ზოგჯერ აუცილებელიც კი.

მნიშვნელოვანია პ. კ. შპიგელის მიერ შექმნილი ტიპოლოგია – იუმორის თეორიის რვა კატეგორია: ბიოლოგიური, უპირატესობის, შეუსაბამობის/შეუსატყვისობის, გაოცების, ამბივალენტობის, განმუხტვის, კონფიგურაციისა და ფსიქოანალიტიკური თეორიები.

იუმორი როგორც გამოხატვის ფორმა სხვადასხვა ტიპისაა – ვიზუალური, ჟესტური, ემოციური, ტექსტური, ვერბალური. მისი აღქმისთვის, ლინგვისტურთან ერთად, პარალინგვისტური ნიშნები, კინესიკური პარალინგვიზმის იდენტიფიცირება და, რასაკვირველია, ექსტრალინგვისტური კონტექსტის გააზრებაა საჭირო.

იუმორის ენობრივი გამოხატულება შედგენილობითაც მრავალფეროვანია. შეიძლება ერთი სიტყვისგან, სინტაქსური წყვილისგან, წინადადებისგან, აბზაცისა თუ უფრო დიდი ზომის ტექსტისგან შედგებოდეს. შედარება, კალამბური, ნონსენსი, სიტყვათა თამაში, ანეკდოტი, ლიტერატურული იუმორი – იუმორი როგორც ტექსტი, როგორც ნიშანი, სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს.

როდესაც აუტიზმის მქონე ცდისპირს ვთხოვე, აღეწერა იუმორი, ხუმრობა, ასეთი საინტერესო დეფინიცია მივიღე:

– ხუმრობა ორნაირია: ერთი, რაც არსებობს და სასაცილოა, და მეორე, რაც არ არსებობს და იმიტომაა სასაცილო, მაგალითად, სკამი რომ დადის.

ეს დეფინიცია არცთუ შორსაა იუმორის ლინგვისტური სახეებისგან, თუ მათ ნიშნის ტიპების მიხედვით აღვწერთ. რაღაც სასაცილოა იმიტომ, რომ აღმნიშვნელი აღსანიშნის მსგავსია (მაგალითად, ადამიანისთვის რამე სასაცილო ზედწოდების მოფიქრება, რამესთან შედარება), რაღაც – იმიტომ, რომ სასაცილო შინაარსს გულისხმობს ან აბსოლუტური პარადოქსი, ნონსენსია, რაღაც კი იმიტომ, რომ სიმბოლოა, კულტურული კონტექსტის გააზრება სჭირდება.

მეორე დეფინიციაც ძალიან საინტერესოა და ლინგვისტური ნაწილის პარალინგვისტურთან კავშირს ასახავს. აუტიზმის მქონე ადამიანებისთვის პარალინგვისტური ნიშნები – ემოცია, ჟესტები – შესაძლოა გაუგებარი იყოს, ვინაიდან ემოციის გაგება და იდენტიფიცირება რთულია, მეორე მხრივ კი ემოციას თან ახლავს ვიზუალური ხატი, თვალსაჩინოება, რაც ამარტივებს მის ამოცნობას. შემთხვევითი არ არის, რომ მეორე აღწერა, რომლითაც აუტიზმის მქონე ცდისპირმა იუმორი დახასიათა, სწორედ ეს იყო: „ნათქვამი, რომლის ბოლოს ადამიანი იღიმის ან იცინის“.

აუტიზმისა და იუმორის ენის მკვლევრები ჯილი, ვაითი და რეიესი (Gill, White, & Reyes, 2010) თავიანთ კვლევაში იუმორის ენობრივად დაკონკრეტებულ, ენობრივად თვალსაჩინო ფორმებს ლექსიკურ იუმორს უწოდებენ და მაღალფუნქციური აუტიზმის მქონე ბავშვების სწავლებისა და თერაპიის საშუალებად განიხილავენ.

„ბუნებრივ ენაზე სამყაროს პროეცირების დროს ადამიანი ერთმანეთს ადარებს კონკრეტულ ობიექტებს და ახდენს მათ იდენტიფიცირებას. ამავე ტიპის ოპერაციები უდევს საფუძვლად მეტაფორულ გადასვლებს, რომლებსაც ენის კოგნიტიურ მოდელში ცენტრალური ადგილი უჭირავს“ (გამყრელიძე, თეორიული ენათმეცნიერების კურსი).

სწორედ იდენტიფიცირების, შედარების გამოკვეთა და ერთგვარი ავტომატიზაცია გამოგვადგება იუმორის ახსნისა და სწავლებისთვის მაშინ, როდესაც სახეზეა განზოგადების, აბსტრაჰირების სუსტი უნარი. ამ მიზნის მისაღწევად სემიოტიკა მოხერხებული იარაღია.

დასასრული იხილეთ www.mastsavlebeli.ge-ზე

ინტეგრირებული გაკვეთილის დღე

ნათია უჩავა

– გინდათ, ერთ გაკვეთილზე რამდენიმე საგანი ერთად ჩავატარო? – ვეკითხები მოსწავლეებს და პასუხის მოლოდინში ვიღიმი.

– დიახ... როგორ? – მთანხმდებიან. თან დაბნეულობას ვატყობ.

– აი, ასე, ძალიან მარტივად. მე ქართულის გაკვეთილზე სხვა საგნებსაც მოვიხმობ: ბუნებას, მათემატიკას, ხელოვნებას და ერთობლივად ჩავატარებ ყველას. ეს იქნება ინტეგრირებული გაკვეთილი, – ვცდილობ, ავუხსნა მოსწავლეებს. ვაჩვენებ დამხმარე რესურსს, რომელსაც აწერია **„სტარტი 4“**. ვიწყებ ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარებას წინასწარ მომზადებული რესურსებით.

მოსწავლეებს ვაცნობ გაკვეთილის მიზანს, რომელიც სხვადასხვა საგანს შორის კავშირის დამყარებაა – ერთი საკითხის ირგვლივ.

მოსწავლეებს ვუკითხავ ტექსტს „ერთგული მეგობრები“ პერიოდულად ვჩერდები, ვსვამ დამაზუსტებელ შეკითხვებს. ვცდილობ, დაამყარონ კავშირი გრამატიკულ მასალასთან. ვკითხულობ წინადადებას ტექსტიდან: „ახალგაღვიძებულმა მზემ თვალები მოიფშვნიტა“. მინდა, მოსწავლეებმა გაიხსენონ ცოტა ხნის წინ შესწავლილი გაპიროვნების თემა. მიზანი მართლდება. ვაგრძელებ კითხვას და ვხსნი უცხო სიტყვებს – იმას, რაც ტექსტში გამუქებულია და დამატებით იმასაც, რაც მგონია, რომ მოსწავლეებისთვის ახალი იქნება. ტექსტი ძალიან საინტერესოა. მასში საუბარია კალიასა და მუხლუხის მეგობრობაზე. კალია ძალიან აქტიური, ენერგიული და მხიარულია, მუხლუხი კი, პირიქით, ზანტი. მათი მეგობრობა ტყეში ყველას უკვირს, თუმცა ეს ხელს არ უშლით, საუკეთესო მეგობრები იყვნენ. კალია დახტის ბუნებაში და მუხლუხს უყვება იმ საოცრებაზე, რასაც გარშემო ხედავს. მუხლუხი ვერაფერს ამჩნევს, რადგან გამუდმებით ფოთოლს კვნეტს. კალიას ძალიან ებრალება მეგობარი, რომელიც სამყაროს სილამაზეს ვერ ხედავს, ამიტომ საღამოობით უყვება მას მზის ოქროსფერ სხივებზე, ტყისა და მინდვრის ამბებზე. ერთ დღესაც მუხლუხი გაუჩინარდება. კალია ძალიან დარდობს და აღარ არის ისეთი მხიარული, როგორიც უწინ. ცდილობს, მოძებნოს მეგობარი, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე დღის შემდეგ მასთან პეპელა მიფრინდება და მიესალმება, თუმცა კალია მას ვერ ცნობს. მოფარფატე პეპელა კი ეუბნება, რომ სწორედ ის მუხლუხია – მისი მეგობარი. გახარებული მეგობრები ერთმანეთს გადაეხვევიან.

სიკეთითა და მეგობრობით გაჯერებული ტექსტის წაკითხვის შემდეგ ჯერი მის გააზრებაზე მიდგება. ვიწყებ ქართულის საგნით და „სტარტში“ მოცემული კითხვების საშუალებით ვცდილობ, მოსწავლეებს გავააზრებინო ტექსტი, გავახსენო მოსმენილი. მინდა, მის შესახებ იმსჯელონ (*შეგიძლიათ მოსწავლეებს დაურიგოთ წინასწარ მომზადებული ასლები „სტარტიდან“; იმუშაონ წერილობით ან ზეპირი პასუხებით შემოიფარგლონ).*

- რომელი მწერებია ჩამოთვლილი ტექსტში?
- დაასახელეთ გაპიროვნების მაგალითები.
- რაზე ოცნებობდა მუხლუხი?
- ჩამოთვალეთ კალიას თვისებები (შეგიძლიათ, გონებრივი იერიშის აქტივობა გამოიყენოთ).
- თქვენი აზრით, რა მოხდა, როგორ აუხდა მუხლუხს ოცნება?

ტექსტის გააზრებისა და სიღრმისეული გაგების შემდეგ მოსწავლეებს ვაყურებინებ ჩემ მიერ მომზადებულ საგანმანათლებლო ვიდეოს, რომელიც მწერების **ოთხსაფეხურიან და სამსაფეხურიან სასიცოცხლო ციკლზეა** და ეხმიანება ტექსტის შინაარსს. ამით ვცდილობ, ბუნებისმეტყველების თემის ფარგლებში მოსწავლეებს მივაწოდო ახალი ინფორმაცია, რათა უკეთ გაიაზრონ, რატომ და როგორ შეძლო მუხლუხმა პეპლად გადაქცევა. მოსწავლეებთან ერთად ვასრულებ „სტარტში“ მოცემულ დავალებას მწერებზე, რომლის ილუსტრაციაც მოცემულია და გვავალებენ ამოვიცნოთ, რომელი არ არის მწერი. ასევე უკეთ გააზრებისთვის მოცემულია ინფორმაცია მეტამორფოზის შესახებ და შესაბამისი დავალება, რომელიც მოსწავლისგან მოსაზრების დასაბუთებას ითხოვს. ვფიქრობ, ჩემ მიერ მიწოდებული საგანმანათლებლო ვიდეოსა და ტექსტის გააზრების შემდეგ მოსწავლე დავალებებს დამოუკიდებლად გაართმევს თავს.

ასევე მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, მიღებული ცოდნა გამოავლინონ სასიცოცხლო ციკლის ეტაპების დავალებაში, სადაც მათ ევალებათ, თანმიმდევრობით დაალაგონ პეპლის განვითარების ეტაპები. ვფიქრობ, მსგავსი დავალება მოსწავლეს ცოდნის ტრანსფერის საშუალებას აძლევს.

ბუნების საგნის თემიდან ბუნებრივად გადავდივართ მათემატიკის საგანზე, სადაც მოცემული დავალება გვთავაზობს ამოცანას სწორედ სასიცოცხლო ციკლის ეტაპებზე:



ვფიქრობ, მოსწავლისთვის ძალიან საინტერესოა, როდესაც ერთ საკითხსა და თემაზე მუშაობს და მას სხვადასხვა საგნის ჭრილში განიხილავს – მუშაობის პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს და განვითარების მრავალმხრივ საშუალებას იძლევა.

მოსწავლეებთან ერთად ვასრულებ „სტარტში“ მოცემულ სხვა დავალებებსაც. შეგიძლიათ, თქვენც შესთავაზოთ მათ დამატებითი აქტივობა.

იქიდან გამომდინარე, რომ გაკვეთილის მიმდინარეობისას მოსწავლეებმა შეიძინეს ახალი ინფორმაცია, მოახდინეს მიღებული ცოდნის ტრანსფერი, მათ დავალებად მივეცი, შეექმნათ სასიცოცხლო ციკლის მაკეტები. დავალების აუცილებელი პირობა იყო მიღებული ცოდნის გამოყენება.

ვფიქრობ, ისეთი სასწავლო რესურსის გამოყენება, როგორიც არის ინტეგრირებული გაკვეთილებისთვის შექმნილი „სტარტი“, იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვა კუთხით შეისწავლონ, პროცესი კი იყოს საინტერესო და აქტიური. ერთი თემის ირგვლივ საგანთა შორის კავშირის დამყარება მოსწავლეს განუმტკიცებს მიღებულ ცოდნას, დაეხმარება მის ტრანსფერში და სინთეზურ აზროვნებას განუვითარებს. რესურსის გამოყენება, რომელიც მზა სახით არის წარმოდგენილი, მასწავლებელს დროის დაზოგვის საშუალებას აძლევს. რა თქმა უნდა, მას შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს ან დაამატოს აქტივობები.

ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის, ძალიან კომფორტული აღმოჩნდა ერთი ინტეგრირებული დღის დაგეგმვა ჩემს მოსწავლეებთან, რომლის შედეგადაც საინტერესო ნამუშევრები შევქმენით და ახალი ცოდნაც შევიძინეთ.

ბოლოს კი გთავაზობთ ერთ-ერთი მოსწავლის შეფასებას:





ქრისტინა სურგულაძე

მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს

ახალბედა დამრიგებლის ხვედრი ასეთია – მუდამ კლასში ეჩქარება და ასეც უნდა იყოს. მით უმეტეს, როცა მისი მოსწავლეები ჯერ კიდევ პატარები არიან და სულ ახლახან დაასრულეს ის ეტაპი, რომელსაც დაწყებითი საფეხური ჰქვია. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები პირველი კლასიდან ერთ მასწავლებელთან არიან, მასთან განშორება კი შეიძლება საკმაოდ სტრესული აღმოჩნდეს. მეოთხეკლასელობას ბევრი სხვა ფაქტორიც ახლავს თან. ამ ასაკიდან ბავშვები ხშირად იწყებენ ვალდებულებების უგულებელყოფას, თუმცა იმავდროულად მათთვის მნიშვნელოვანი ხდება, გარშემო მყოფებმა სრულფასოვან და სრულუფლებიან პიროვნებებად აღიარონ. თავს ხშირად უღრმავდებიან, თავიანთ ბუნებაზე, შესაძლებლობებსა და უნარებზე ფიქრობენ. უფრო ხშირად უჩნდებათ პროტესტის განცდაც. ყველა ამ შინაგან ფაქტორს კი ის გარეფაქტორიც ემატება, რომ მათ ახალი დამრიგებელი ჰყავთ და ამიერიდან ყველა საგანს სხვადასხვა და მათთვის ჯერ კიდევ უცხო მასწავლებელი უნდა გაუძღვეს. დამეთანხმებით, ამდენი სიახლე ათი წლის ბავშვისთვის ნამდვილად დამქანცველია. ამ ასაკის მოსწავლეს ერთი კარგი თვისება აქვს – დაუფარავად შეუძლია ესაუბროს უფროსებს იმაზე, რას გრძნობს, რას ფიქრობს, რას განიცდის და რა უნდა. მაგრამ ვინაიდან ყველაფერი მაინც ინდივიდუალურია, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხშირად შეიძლება დადგეს მომენტი, როცა მეოთხეკლასელი ბავშვიც ვერ იტყვის ყველაფერს გულწრფელად და დაუფარავად.

უკვე მეოთხე თვეა, რაც ახალბედა დამრიგებელი ვარ. ყველა ეტაპი წარმატებით გადავლახეთ, თუმცა ვერაფერი მოვუხერხე საკუთარ შიშს. მეშინია, რომ რაღაც გამომეპარება, რომ ვერ შევამჩნევ ბულინგს, კამათს, გაუგებრობას, აგრესიას, ჯგუფებად დაყოფას, გარიყვას, რადგან ვიცი, რა კარგად შეუძლიათ ბავშვებს დიდებისგან ყველაფრის დამალვა. მახსოვს, როგორ ვახერხებდი ამას მეც ბავშვობაში. ამიტომ ასი თვალი და ასი ყური მაქვს გამობმული, ვუსმენ ყველა სიტყვას, ვაკვირდები ყველა მოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ სიცელქის, უწყინარი თამაშისა და სიყვარულის მეტი ამ დრომდე არაფერი მინახავს. ასეა, სკოლაში ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი და მეგობრული კლასის დამრიგებლობა მომიწია. ილბლიანი აღმოვჩნდი და ამის გამო ბედნიერი ვარ.

თუმცა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშინელება რომც არ ხდებოდეს, კიდევ არის რაღაც, რაც შეიძლება მხედველობის მიღმა დარჩეს: ის, თუ როგორ გრძნობენ თავს ბავშვები, ის, თუ რა ხდება მათი ღიმილის უკან, რა სწყინთ და რას მოელიან, რას ვერ ვამჩნევთ ჩვენ, მასწავლებლები, და როგორ აგრძნობინებთ ეს მათ თავს. უმეტესობამ შეიძლება ამაზე ილაპარაკოს, თუმცა არა ყველამ. ამაზე ფიქრმა ბევრ ადგილას წამიყვანა. ერთ-ერთი ყველაზე სახალისო ქაღალდის ბურთით თამაში იყო. იდეა ასეთია: ბავშვები წრეში დგებიან; მე ხელში მიჭირავს ბურთი და ვყვები, როგორ გავატარე, მაგალითად, შაბათ-კვირა და როგორ ვგრძნობ ახლა თავს; შემდეგი ის არის, ვისაც ბურთს გადავაწოდებ და ასე ბოლომდე. ბავშვებს ეს თამაში ძალიან მოსწონთ, თუმცა რაკი ამდენი ყური ერთდროულად უსმენთ, ხშირად მხოლოდ იმას ჰყვებიან, რაც კარგი იყო და ბოლოს აუცილებლად ამატებენ, რომ თავს კარგად გრძნობენ. საბოლოოდ, მათი სიმართლის შესამოწმებლად ჩემს მაგიდაზე ყუთი დავდგი, რომლის თავიც ყულაბასავითაა გაჭრილი, ისე, რომ მასში პატარა ფურცელი ჩაეტიოს. ეს იდეა პინტერესტმა (https://www.pinterest.com/) მომაწოდა, რომელიც, ვფიქრობ, ყველა მასწავლებლის საუკეთესო მეგობარი უნდა იყოს. თავად ყუთი კი იმ ყვავილებისგან შემომრჩა, ბავშვებმა სწავლის პირველ დღეს რომ მომიტანეს. ამ ყუთს დიდი ასოებით დავაწერე: „მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს“. ბავშვები გავაფრთხილე, რომ ყოველთვის შეეძლოთ, ჩემთვის მოეწერათ წერილი, რომლისთვისაც სახელის მიწერა საჭირო არ იყო, ანონიმურობა დაცული იქნებოდა.

ყუთის დადგმის დღიდან არ წყდება წერილები, სადაც წერია, რა საყვარელი ვარ და როგორ ვუყვარვარ ბავშვებს, თუმცა გულებით სავსე ამ წერილებს შორის არცთუ იშვიათად ჩნდება ისეთებიც, რომლებიც მასევდიანებს და ზოგჯერ მაიძულებს კიდეც, ჩემს საქციელს კარგად დავუფიქრდე. გადავწყვიტე, რამდენიმე მათგანი გაგიზიაროთ; თითოეულის მიღმა მთელი ისტორიაა.





1. 99%-ით ვიცი, ეს წერილი ვისი დაწერილიცაა და მის დაწერამდე რამდენიმე დასვენებით ადრე წერილის ავტორი მკაცრად გავაფრთხილე, რომ პირბადე გაესწორებინა. ის განსაკუთრებით დაუდევრად ეპყრობოდა ამ საკითხს და იმ მომენტში მეგონა, რომ სხვა გზა არ დამიტოვა. დღის ბოლოს ყუთში ეს წერილი ვნახე, ძალიან შემრცხვა და დავფიქრდი იმაზე, რა ძნელია პატარა ყურებისა და სახისთვის მთელი დღე პირბადით ყოფნა, როცა ამას ზოგჯერ მეც კი ვერ ვუძლებ. ამის შემდეგ ყოველთვის ვცდილობ, თავი ვაკონტროლო და ბავშვებს ავუხსნა, რომ მესმის, რა ძნელია, მაგრამ პირბადის სწორად ტარება აუცილებელია.

2. ასეა! მთელი კლასი „ნარუტოს“ ფანები ვართ. საკლასო ოთახში მისი პერსონაჟების მცირე გამოფენაც კი გვაქვს და როგორც ჩანს, ამდენ ფანატიკოსში ერთ-ერთს შერცხვა იმის თქმა, რომ არცერთი სერია არ უნახავს. ან იქნებ უბრალოდ თავი მოვაბეზრეთ?!



3. ეს მარადიული პრობლემის გამოძახილია. ბავშვები ხომ სულ ცდილობენ, დიდები იყვნენ! სკოლაში პირველი სართული კი მუდამ პატარებისაა. როგორც ჩანს, ჩემი ერთ-ერთი მოსწავლე შეაწუხა იმაზე ფიქრმა, რომ დაწყებითი საფეხური დახურა, მაგრამ მაინც პირველ სართულზე დარჩა. ამ კითხვაზე პასუხი არ მქონდა. მე პირველი სართული უფრო მომწონს, კიბეზე ბავშვების სირბილი მუდამ მაშინებს.

4. ამ ერთსიტყვიან წერილზე დიდხანს ვტიროდი მას მერე, რაც მის მიღმა არსებული ამბავი გავიგე.

ერთ დილით კლასში შესულს ერთ-ერთმა მოსწავლემ მითხრა, რომ თავს კარგად არ გრძნობდა. როგორც კი მიზეზი ვკითხე, გულამოსკვნილი ატირდა და მიპასუხა, რომ მიზეზს ვერ მეტყოდა. დღის ბოლოს ყუთში ანონიმური წერილი დამხვდა და ცოტა ხანში გავიგე, რომ მისი მამა მოულოდნელად ძალიან ავად გამხდარა. ახლაც მეტირება, რომ წარმოვიდგენ, რა შეშინებულმა და შეწუხებულმა გაატარა ის დღე სკოლაში. საბედნიეროდ, ახლა მისი მამა კარგადაა, შვილი კი ისევ ისეთი მხიარულია, როგორიც მანამდე.



5. ეს წერილი გადატვირთული გრაფიკის მქონე დამრიგებლისთვის მიწერილ პასიურ აგრესიულ მესიჯს ხომ ჰგავს?! ეს კითხვა პირადადაც ბევრჯერ დამისვეს, მაგრამ რაკი პასუხი ვერ მიიღეს, ბოლოს ყუთშიც დამხვდა. აბა, როგორია, ფილმის დასასრული გაინტერესებდეს და დღეები გაცდევინონ?! ამ წერილის შემდეგ ყურება გააგრძელეს და ბევრი სხვა ანიმეც ნახეს კლასში ერთად. პასიურმა აგრესიამ გაჭრა.



6. უკომენტაროდ! (ნუთუ ეს სიტყვა ამ კონტექსტში მე წამომცდა?!)



7. თქვენც კარგ შაბათ-კვირას გისურვებთ და ორშაბათს კლასში მსგავსი ყუთების დადგმაც არ დაგავიწყდეთ! მენდეთ, ბევრ რამეს ხელახლა აღმოაჩენთ.

ლი, კუჭის პრობლემები და გამონაყარი კანზე;
- ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემების დამძიმება;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- თამბაქოს, ალკოჰოლის და სხვა ნივთიერებების მოხმარების ზრდა;
- სუიციდის რისკის მატება.

სტატიაში გვთავაზობენ სტრესთან გამკლავების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა:
- სხეულზე ზრუნვა – სუნთქვითი ვარჯიშები, ჯანსაღი კვება, რეგულარული ვარჯიში, სტაბილური ძილი და ა.შ.;
- განტვირთვა – დროის გამონახვა საყვარელი საქმიანობისთვის, ნდობით აღჭურვილ პირებთან ხშირი კომუნიკაცია;
- დროული ვაქცინაცია და ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC) მონაცემებითრ, Covid19-ის გავრცელებამდე ყოველი მეხუთე ბავშვიდან ერთს ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიდან[7] ირკვევა, რომ 2020 წლის მარტიდან 2020 წლის ოქტომბრამდე ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გადაუდებელი დახმარების განყოფილებებში ვიზიტების რაოდენობამ 2019 წლის შემდეგ იმატა: 24%-ით 5-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვებთან და 31%-ით 12-დან 17 წლამდე ასაკის მოზარდებთან.

2021 წლის მარტში სპეციალური სამაშველო გეგმის ფარგლებში აშშ-ს სკოლებისთვის 170 მილიარდი დოლარი გამოიყო. აშშ-ს ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) მიერ გავრცელებული ინფორმაციის[8] თანახმად, ბევრმა სკოლამ დამატებითი ფინანსური რესურსი ფსიქიკური ჯანმრთელობის მუშაკების, მათ შორის ფსიქოლოგების დასაქირავებლად გამოიყენა.

პრობლემა მწვავედ დგას ინგლისშიც, სადაც მთავრობა მიზნად ისახავს[9], 2023 წლისთვის ქვეყანას ჰყავდეს მენტალური ჯანმრთელობის მხარდამჭერი 400-მდე გუნდი, რომლებიც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მესამედის საჭიროებებს დაფარავს.

2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოში ამოქმედდა სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხელშემწყობი პროექტი – „გავიღიმოთ“. პროექტს შავი და ბალტიის ზღვათა ალიანსი საქართველო და ფსიქიკური ჯანმრთელობის სტიგმის საწინააღმდეგო მოძრაობა „ღია“ ჩეხეთის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით ახორციელებენ. წამოწყების ინიციატორი ლონდონში მოღვაწე ქართველი ექიმი, სამეფო კოლეჯის (King's College London) კრიზისული სამსახურის ფსიქიატრი სიმონ სურგულაძეა[10]. მას მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო ფინანსურად უზრუნველყოფენ აშშ-ს საელჩო საქართველოში და კერძო სექტორი.

ჩეხეთის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამის „ჩემი გონება“ საფუძველია ფსიქიკური ჯანმრთელობის წიგნიერება და სოციალურ-ემოციური სწავლება. კურიკულუმი 11-13 წლის მოსწავლეთა განვითარების დონეს შეესაბამება. იგი შემუშავდა, რათა:

- მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცოდნას მოზარდ ასაკთან დაკავშირებული საერთო სტრესორების დასაძლევად;
- ფსიქიკური კეთილდღეობის მისღაწევად უზრუნველყოს ჯანმრთელობის ხელშემწყობი ჩვევების ჩამოყალიბება.

კვლევები ცხადყოფს, რომ ამ ასაკში მოსწავლეებს შეუძლიათ იმსჯელონ ფსიქიკური ჯანმრთელობის კონცეფციების შესახებ, ამოიცნონ ფსიქიკურ ჯანმრთელობაში მომხდარი ცვლილებები, დაასახელონ დახმარების ძიების გზები და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები, შეიმუშაონ გამკლავებისა და მედეგობის ჯანსაღი სტრატეგიები.[11]

ამრიგად, პროექტის მიზანია საქართველოს სასკოლო განათლებაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ემოციების მართვისა და სოციალური ურთიერთობების საბაზისო ჩვევების სწავლება.[11]

„ჩემი გონების“ კურიკულუმი 5 თემისგან შედგება, რომლებიც, თავის მხრივ, 20 ურთიერთდაკავშირებულ გაკვეთილს მოიცავს. გაკვეთილები ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა ტვინი და ქცევა, ემოციები და სტრესის

ჩემი გონება

ფსიქიკური ჯანმრთელობის წიგნიერების სასწავლო პროგრამა

სხვადასხვა ტიპის რეგულაციისა და შეზღუდვის გამო სკოლა მხოლოდ საგნის სწავლების ადგილად იქცა. ასეთ ვითარებაში, საგნის სწავლების პარალელურად, მოსწავლეთა ემოციური მდგრადობისადმი ყურადღება შეამცირებს სტრესს, მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სტიგმას და დაგვაზღვევს მოსალოდნელი გართულებებისგან.

ეფექტები, ჯანსაღი ურთიერთობის უნარები და კომუნიკაციის სტრატეგიები, სტრესსა და კონფლიქტებთან გამკლავება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული ნიშნები და სიმპტომები და ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ და სად უნდა მოხდეს დახმარების ძიება.[11]

დავსვათ კითხვა: რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლებში მოსწავლეთა მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა?

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) ფსიქიკურ ჯანმრთელობას განმარტავს[12] როგორც „კეთილდღეობის მდგომარეობას, როდესაც ადამიანს შეუძლია საკუთარი პოტენციალის რეალიზება, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სტრესთან გამკლავება, ნაყოფიერად შრომა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანა“.

მოზარდებს ადრეულ ასაკშივე უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყველას შეძლება ჰქონდეს მენტალური ჯანმრთელობის პრობლემა. მისი გამოვლენა შესაძლებელია სხვადასხვა სახით, შესაძლოა, უხილავადაც კი მიმდინარეობდეს.

როგორ ვიქცევით, როცა რამე გვტკივა? ვირუსი გვაქვს? ხელი მოვიტეხეთ? – ცხადია, ექიმთან მივდივართ. მოსწავლეებთან ღია დისკუსიები და საუბრები მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის მნიშვნელობაზე საშუალებას მოგვცემს, დავამსხვრიოთ სტიგმა და გავააზრებინოთ მათ, რომ ჯანმრთელობა როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ კეთილდღეობასაც გულისხმობს. ამასთან, ადრეულ ასაკში დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები მომავალში პრობლემის გართულების ერთგვარი პრევენციაა.

სამწუხაროდ, ქართულ სკოლებში თითქმის ვერ შეხვდებით მოსწავლეთა მხარდამჭერ აქტივობებს; დაკარგულია აღზრდის, სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვის კომპონენტები. ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა პანდემიის დაწყების შემდეგ. სხვადასხვა ტიპის რეგულაციისა და შეზღუდვის გამო სკოლა მხოლოდ საგნის სწავლების ადგილად იქცა. ასეთ ვითარებაში, საგნის სწავლების პარალელურად, მოსწავლეთა ემოციური მდგრადობისადმი ყურადღება შეამცირებს სტრესს, მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სტიგმას და დაგვაზღვევს მოსალოდნელი გართულებებისგან.

ჩვენი, პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიზანია, მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები გახდეს სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი. მნიშვნელოვანია ჩეხური გამოცდილების ქართულ რეალობასთან მორგება-მისადაგება. ამისთვის პროგრამის პარალელურად დაგეგმილია კვლევა, რომელიც გაზომავს პროექტის შედეგებს და მის გავლენას მოსწავლეებზე.

გამოყენებული წყაროები:

1. http://efageorgia.ge/wp- content/uploads/2021/07/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf
2. http://efageorgia.ge/wp- content/uploads/2021/04/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98..pdf
3. https://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/supporting-young-people-s-mental-health-through-the-covid-19-crisis-84e143e5/
4. https://legalinstruments.oecd.org/en/instruments/OECD-LEGAL-0420
5. https://www.cdc.gov/mentalhealth/stress-coping/cope-with-stress/index.html
6. https://www.cdc.gov/childrensmentalhealth/access.html
7. https://www.cdc.gov/mmwr/volumes/69/wr/mm6945a3.htm
8. https://www.apa.org/monitor/2022/01/special-childrens-mental-health
9. https://www.bbc.com/news/education-60304665
10. ფსიქიკური ჯანმრთელობის კურიკულუმი სკოლებში – როგორ ეხმარება ის მასწავლებლებს? | mastsavlebeli.ge
11. 11-13 წლის ბავშვებისთვის განკუთვნილი ფსიქიკური ჯანმრთელობის წიგნიერების სასწავლო პროგრამა, მასწავლებლის სახელმძღვანელო
12. Mental Health – PAHO/WHO | Pan American Health Organization

ქეთევან ოსიაშვილი

კომპიუტერული თამაშები: ზიანი და სარგებელი

კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში, მშობლები კი საგონებელში ჩაცვივდნენ. მათ აღელვებთ კომპიუტერის გავლენა ბავშვზე, აინტერესებთ, რამდენად უსაფრთხოა ის მოზარდი ორგანიზმისთვის. განუწყვეტლივ მიმდინარეობს დებატები კომპიუტერული თამაშების სარგებელსა და მავნებლობაზე, არ წყდება კამათი იმის შესახებ, აყენებს თუ არა ზიანს ეს თამაშები ბავშვს.

არსებობენ კომპიუტერული თამაშების მოწინააღმდეგეები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ასეთ თამაშებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, თუმცა გვხვდებიან ისეთებიც, რომლებსაც კომპიუტერული თამაშების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ.

ბავშვზე კომპიუტერული თამაშების გავლენა ერთმნიშვნელოვანი არ არის. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ისინი კარგია და ბავშვმა შეიძლება ითამაშოს იმდენ ხანს, რამდენსაც მოისურვებს, თუმცა გაუმართლებელი იქნება იმის მტკიცებაც, რომ ცუდია და მათზე უარი უნდა ვთქვათ. კომპიუტერული თამაშები, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ ჩვენ გარშემო, სასარგებლოც შეიძლება იყოს და საზიანოც.

ვინაიდან კომპიუტერული თამაშები დღეს ფართოდაა გავრცელებული, მათი ზიანისა და სარგებლის საკითხი ეხება ადამიანთა ძალიან დიდ რიცხვს. მათი დადებითი და უარყოფითი ზემოქმედების გამოვლენა დაგვეხმარება, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ამ თამაშების პლუსები და თავიდან ავიცილოთ მინუსები.

დღეს ფართოდ არის გავრცელებული კომპიუტერული ტექნოლოგიები, რომელთა წყალობითაც კომპიუტერული თამაშები იქმნება. მათ შორის ბევრია ისეთი, რომელიც შეიძლება ბავშვის განვითარებისთვის იქნეს გამოყენებული:

- ინტელექტუალური თამაშები (თავსატეხები, რებუსები), რომლებიც ხელს უწყობს ინტელექტის, ლოგიკური აზროვნების, ყურადღების, მეხსიერების, ობიექტების ვიზუალური აღქმის და სხვა უნარ-ჩვევების განვითარებას;
- განმავითარებელი კომპიუტერული თამაშები. ამ თამაშების საშუალებით ბავშვმა შეიძლება ისწავლოს ასოები და ციფრები, გაეცნოს მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს. ასეთი თამაშები ხშირად დადებით გავლენას ახდენს ბავშვის ემოციური სფეროს, ხელის წვრილი მოტორიკის, მხედველობითი მეხსიერების, მუსიკალური სმენის განვითარებაზე;
- საგანმანათლებლო, სასწავლო კომპიუტერული თამაშები, რომლებიც დაეხმარება ბავშვს, აიმაღლოს ცოდნა ამა თუ იმ სფეროში, ასწავლის მას სხვადასხვა სიტუაციაში მოქმედებას, ხელს უწყობს შეუპოვრობის, კონცენტრაციის, რეაქციის სისწრაფის განვითარებას.

თუმცა გვხვდება ისეთი თამაშებიც, რომლებმაც შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთე-

ბავშვზე კომპიუტერული თამაშების გავლენა ერთმნიშვნელოვანი არ არის. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ისინი კარგია და ბავშვმა შეიძლება ითამაშოს იმდენ ხანს, რამდენსაც მოისურვებს, თუმცა გაუმართლებელი იქნება იმის მტკიცებაც, რომ ცუდია და მათზე უარი უნდა ვთქვათ.

არსებობენ კომპიუტერული თამაშების მოწინააღმდეგეები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ასეთ თამაშებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, თუმცა გვხვდებიან ისეთებიც, რომლებსაც კომპიუტერული თამაშების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ.

ლობას. ისინი, წესისამებრ, დინამიკურია, აგრესიისა და ძალადობის შემცველი. სწორედ დინამიკურობის გამო უჭირთ ბავშვებს ამ თამაშებისგან მოწყვეტა. რით გამოიხატება მათი უარყოფითი გავლენა?

- ყველაზე დიდი საფრთხე, რასაც ცალკეული თამაში უქმნის ბავშვს, არის მათზე დამოკიდებულების, მიჯაჭვულობის ჩამოყალიბება. მოზარდი, რომელიც კომპიუტერის ტყვეობაში ექცევა, მასზე დამოკიდებული ხდება, სწყდება რეალობას და ვირტუალურ სამყაროში იწყებს ცხოვრებას. კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება ყველაზე სახიფათო ხდება მაშინ, როდესაც თამაშით გატაცებულ მოზარდს ეკარგება მადა (ჭამისთვისაც კი არ სურს, მოსწყდეს თამაშს) და ერღვევა ძილი (ენანება დრო დასვენებისთვის და თამაშს სიზმარშიც კი აგრძელებს). თამაშდამოკიდებულებაში საგანგაშო ის არის, რომ შეუმჩნევლად იწყება და საფრთხის თაობაზე არავითარ ეჭვს არ ბადებს. ამიტომ არის რთული თამაშდამოკიდებულებასთან ბრძოლა.
- თუ კომპიუტერული თამაშებით გატაცებული მოზარდი ვერ სწყდება მონიტორს და ბევრ დროს ატარებს კომპიუტერთან, დროთა განმავლობაში მას შეექმნება ხერხემალთან, მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, გახდება აგრესიული, ნერვიული, უყურადღებო, დაბნეული, გაუჭირდება სწავლა, სხვა ყოველდღიური მოვალეობების შესრულება.
- მზარდ ორგანიზმს სისტემატური ფიზიკური აქტივობა, ვარჯიში სჭირდება. ხანგრძლივი უმოძრაობის გამო ბავშვის ფიზიკურ განვითარებას შეიძლება სერიოზული ზიანი მიადგეს. არსებობს ჰიპოდინამიის განვითარების საფრთხე.
- როდესაც ბავშვი კომპიუტერულ თამაშებს ბევრ დროს უთმობს, ის ემოციურად საკმაოდ დაძაბულია (ემოციური დაძაბულობა კომპიუტერული თამაშების თანმხლებია) და ეს დაძაბულობა, თავისთავად ცხადია, უკვალოდ არ ქრება. მთელი დღე კომპიუტერთან ჯდომისა და თამაშის შედეგად საღამოსთვის ბავშვი უკვე აღგზნებული, გაღიზიანებული, აგრესიული და უმართავია, უჭირს მშვიდად დაძინება.

- კომპიუტერთან ბავშვები, როგორც წესი, ურთიერთობენ პირისპირ, ერთი-ერთზე, რაც სერიოზულად აფერხებს სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას.
- ძალადობისა და სისასტიკის ელემენტების შემცველი კომპიუტერული თამაშები ნეგა-ტიურ ზემოქმედებას ახდენს მოზარდის ფსი-ქიკაზე. კომპიუტერულ თამაშებში ნაჩვენები ძალადობა პროვოცირებას უწევს აგრესიულ აზრებს, აგრესიულ ქცევას, სისასტიკეს აჩვევს მოზარდს. ასეთ ბავშვებში ხშირად შეუძლებე-ლიც კი ხდება რეალური ადამიანების მიმართ თანაგანცდის, თანაგრძნობის გაღვივება.

კომპიუტერული თამაშების სარგებელსა და მავნებლობაზე მსჯელობა დიდხანს შეიძლება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს თამაშები თავის-თავად არც საზიანოა და არც სასარგებლო, ისევე როგორც ნებისმიერი რამ ჩვენ გარშემო. მაგალი-თად, ჩვენ შეგვიძლია დანით გავჭრათ ვაშლი და ამავე დანით შეიძლება თითიც გავიჭრათ, მაგრამ ამის გამო არავის მოსვლია აზრად დანების აკრ-ძალვა და ხმარებიდან ამოღება. საქმე საგნებში კი არ არის, არამედ იმაში, თუ როგორ და რა მიზნით გამოვიყენებთ მათ. კომპიუტერული თამაშების ზიანი და სარგებელი ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომლებზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია. ერთი რამ ცხადია: ზომიერად ყველაფერი კარგია და თითოეულმა მოზარდმა უნდა იცოდეს, რა არის მისთვის მავნე და რა – სასარგებლო. კომპიუტერული თამაშები ბავშვის განვითარების დამხმარე უნდა იყოს და არა მტერი. ამისთვის საჭიროა, კომპიუტერი არ დარჩეს მოზარდისთვის ინფორმაციის მიღებისა და განვითარების ერთადერთ წყაროდ, კომპი-უტერული თამაშები კი – ერთადერთ გასარ-თობად. ბავშვი თავს უნდა იქცევდეს კითხვით, სამაგიდო თამაშებით, კონსტრუქტორებით, ისე-თი საქმიანობით, რომელიც მოითხოვს რაღაცის საკუთარი ხელით კეთებას, შრომით ძალისხმევას, შემოქმედობითობას, გამომგონებლობას.

დაბოლოს, კარგი იქნება, თუ კომპიუტერულ თა-მაშებში ჩაძირულ ბავშვს ავუხსნით, რომ ყველაზე საინტერესო თამაში რეალური ცხოვრებაა და არ ღირს მისი შეცვლა ეკრანზე მოციმციმე, უსიცოცხ-ლო სურათებით. ვურჩევთ, არჩევანი გააკეთოს რეალური ცხოვრებისა და საყვარელი ადამიანე-ბის სასარგებლოდ. ნუ გადაეშვება ოცნებებისა და ფანტაზიის სამყაროში, ეცადოს, რეალურ და არა ილუზორულ ცხოვრებაში გაიმარჯვოს.

თამთა დოლიძე

ლიდერობა და ლიტერატურა

ლიდერთა ნაწილს სოციალური პოზიცია აძლევს ჯგუფით მანიპულირების უფლებამოსილებას, ზოგი მათგანი კი არაორდინარული თვისებებისა თუ ქარიზმულობის წყალობით მოიპოვებს გავლენას სოციუმზე.

„ლიდერობა“ – ციფრულ ლექსიკონებში ამ სიტყვის მრავალგვარ განმარტებას იპოვით. ამ ლექსიკურ ერთეულს უმეტესად ძალაუფლების, ავტორიტეტის სინონიმად წარმოგვიდგენენ და ორგანიზაციული კიბის სათავეებისკენ მიგვითითებენ, თუმცა საგანმანათლებლო სისტემა, დიდი ხანია, მას ერთ-ერთ კომპლექსურ, მნიშვნელოვან უნარ-ჩვევად განიხილავს.

საინტერესოა, როგორ იბადება ადამიანში ლიდერობის სურვილი, როგორ გარდაიქმნება იგი ეფექტურ უნარად, შესაძლებელია თუ არა ამ უნარ-ჩვევის გამომუშავება და საჭიროების შემთხვევაში ადეკვატურად გამოყენება?

სანამ მოზარდთა ჯგუფში გამოვლენილ ლიდერებსა და მათი გავლენის მნიშვნელობაზე ვისაუბრებდე, შეგახსენებთ, რომ არსებობენ ფორმალური და არაფორმალური ლიდერები. ლიდერთა ნაწილს სოციალური პოზიცია აძლევს ჯგუფით მანიპულირების უფლებამოსილებას, ზოგი მათგანი კი არაორდინარული თვისებებისა თუ ქარიზმულობის წყალობით მოიპოვებს გავლენას სოციუმზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სულაც არ არის საჭირო ფორმალური, პოზიციით განპირობებული ძალაუფლების გამოყენება ადამიანთა ჯგუფებზე გავლენის მოსახდენად. მეტიც, შესაძლოა არაფორმალურმა ლიდერმა ჯგუფი ძალაუფლების ბერკეტის კანონიერი მფლობელის წინააღმდეგაც განაწყოს. მოკლედ რომ ვთქვათ, ძალაუფლების ცნებას გავლენასთან ყოველთვის ვერ დავაკავშირებთ.

სოციალურ ფსიქოლოგიაში გამოყოფენ ძალაუფლების ექვს ძირითად ფორმას:

- კანონიერი ძალაუფლება ინდივიდს სამსახურებრივ იერარქიაში დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე ეძლევა (მინისტრი, დირექტორი, მთავარი რედაქტორი და ა.შ.).
- წახალისების ძალაუფლება ჯილდოების (პრემია, პრიზი, დაწინაურება, შექება/კომპლიმენტი და სხვ.) ეფექტურად გაცემის უნარს და ამ გზით ჯგუფზე კონტროლს გულისხმობს.
- იძულების ძალაუფლება დამსჯელობითი ღონისძიებების (საყვედური, ხელფასის დაქვითვა და სხვა სანქციები) მოყვარული ლიდერების პრეროგატივაა.
- ექსპერტის ძალაუფლებას სპეციფიკური უნარებისა თუ ცოდნის მატარებელი ინდივიდები ფლობენ.
- რეფერენტული ძალაუფლების შემთხვევაში ერთგვარ პიროვნულ სიმპათიასთან გვაქვს საქმე. იგი ჯგუფის განწყობას უკავშირდება – თუ მის წევრებს მოსწონხარ/გაღიარებენ, ესე იგი, გარკვეულ ლიდერულ უნარ-ჩვევებს ნამდვილად ფლობ. რეფერენტული ძალაუფლება ასევე შეიძლება ემყარებოდეს ჯგუფში გარკვეული გავლენის მქონე ადამიანთან კავშირს („იმის“ მეგობარია, ნათესავია და ა.შ.).
- ინფორმაცია რომ ძალაუფლების ერთ-ერთი წყაროა, ამაზე თანამედროვე მედიის გავლენაც მკაფიოდ მეტყველებს. ინფორმაციული ძალაუფლება შესაძლოა არც იყოს დაკავშირებული ინდივიდის პროფესიულ პოზიციასთან, მთავარია, ჯგუფისთვის საჭირო რესურსს ფლობდე და შენ უკვე მისი ლიდერი ხარ.

ლიდერის ამოცნობა არ არის რთული. ჯგუფის ერთგვარი ვექტორის (მიმართულების მიმცემის) ძლიერი მხარეების გრძელი ჩამონათვალიდან გამოვყოფ რამდენიმე თვისებას, რომლებიც გავლენის მქონე ინდივიდებს გამოკვეთს:

სტრატეგიული აზროვნება – კარგი ორგანიზატორული უნარების გარეშე ძნელია ლიდერთა სიაში მოხვედრა.

ორატორული უნარ-ჩვევები – ჯგუფის მიერ ინდივიდისგან წამოსული ინიციატივის მხარდაჭერას ნამდვილად სჭირდება კარგი ორატორისთვის დამახასიათებელი კომპლექსური უნარები (მჭევრმეტყველების, მოლაპარაკება-დარწმუნების, აუდიტორიასთან დიალოგის, სხეულის ენის ეფექტურად გამოყენების და სხვ.), რითაც ლიდერი სამიზნე ჯგუფზე სასურველ გავლენას მოახდენს.

მოსმენის უნარი – მჭევრმეტყველებასთან ერთად, ლიდერს ჯგუფის წევრების მოსმენა, მათი პოზიციის გათვალისწინებაც უნდა შეეძლოს. კომუნიკაციის ზემოაღნიშნული ფორმა ინფორმაციული თვალსაზრისითაც შეაიარაღებს ლიდერს და ჯგუფის განწყობის მართვის სადავეებს ჩაუგდებს ხელში. მოსმენის უნარის მქონე ინდივიდები, წესისამებრ, ასერტიულ ლიდერებად ყალიბდებიან, რაც ორგანიზაციას ეგოცენტრული გადაწყვეტილებების მიღების საფრთხისგან იცავს და ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, ლიდერი უნდა გამოირჩეოდეს გამბედაობით (საჭირო დროს რისკის გაწევის უნარი), ადეკვატური თავდაჯერებულობითა და პროფესიული/პიროვნული თვითგანვითარებისკენ სწრაფვით.

ლიდერული მახასიათებლების სია, რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება, თუმცა ამჯერად ზემოაღნიშნული თვისებებით შემოვიფარგლები და მათ ერთგვარ გამაერთიანებელ ცნებაზე – მანიპულაციაზე გავამახვილებ ყურადღებას.

მანიპულაციას ვერ განვიხილავთ როგორც ერთმნიშვნელოვნად უარყოფით მოვლენას. მთავარია, რა მიზანი ამოძრავებს მანიპულატორს ინდივიდზე/ჯგუფზე ზემოქმედების მომენტში. ადამიანი ბუნებით მანიპულატორია (მცირეწლოვანსაც შესანიშნავად გამოსდის სასურველი სოციუმით მანიპულირება), გააჩნია, ვინ როგორ და რა მიზნით იყენებს ამ თანდაყოლილ უნარს. არსებობს სხვა-

დასხვა გზა იმისთვის, როგორ განვასხვაოთ საზიანო ქცევა სოციუმისთვის სასარგებლო ინიციატივისგან.

აქტიური მანიპულატორი, წესისამებრ, ნიღბავს საკუთარ უნარებს და მზა შაბლონებით ცდილობს ჯგუფზე ეფექტის მოხდენას, საკუთარი თავის ძლიერ, გამორჩეულ ინდივიდად წარმოჩენას. მისი მიზანი გავლენის მოპოვებაა და არა ამ გავლენის საშუალებით საერთო საქმეზე ზრუნვა. უნდა ერიდოთ ისეთი ტიპის მანიპულატორებს, რომლებიც აქტიურად იყენებენ სიტყვას „შენ“ – ეს პასუხისმგებლობის გადაბარების ყველაზე აშკარა ნიშანია. **პასიურ მანიპულატორებს** თავიანთი უსუსურობის განცდის სხვებისთვის თავს მოხვევით არანაკლები ზიანის მოტანა შეუძლიათ (საკუთარი ჯანმრთელობით მანიპულირება, სოციუმში დანაშაულის გრძნობის გაღვივება და ამ გზით გარკვეული პასუხისმგებლობის თავიდან არიდება და სხვ.). **მებრძოლი მანიპულატორები** მუდამ პაექრობით ცდილობენ მიზნის მიღწევას და კონკურენტს პირად მტრად მოიაზრებენ. ბუნებრივია, ამ ტიპის მანიპულატორიც ვერ იქნება ორგანიზაციისთვის სარგებლობის მომტანი პიროვნება. **გულგრილი მანიპულატორი** კი ძირითადად იზოლირებულია სოციუმისგან, ჯგუფის წევრებს თავს აჩვენებს, თითქოს მისთვის ყველაფერი სულერთია, თუმცა ხშირად ჭირვეულობს, აკრიტიკებს სხვადასხვა ინდივიდსა თუ ინიციატივას, რაც სასურველი მიზნის (სხვისი დამცირებით საკუთარი უპირატესობის წარმოჩენა) მისაღწევ ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მანიპულაციის უნარი ლიდერებს სოციუმზე გავლენის მოპოვებაში ეხმარება, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მანიპულატორებს უნდა ვებრძოლოთ. აქვე ამერიკელი ფსიქოლოგის ევერეტ შოსტრომის ტერმინს მოვიშველიებ და მანიპულატორებს წარმატებულ წინსვლას ვუსურვებ თვითაქტუალიზაციის გზაზე (აქტუალიზატორები გამოირჩევიან თვითეფექტურობით და სოციუმისთვის სარგებლობის მომტანი ლიდერული უნარ-ჩვევებით არიან აღჭურვილნი).

ლიდერებს ნებისმიერი ტიპის სოციუმში შეხვდებით, მათ შორის – საკლასო ოთახშიც. როგორ ამოვიცნოთ კლასის ლიდერი? როგორ ვასწავლოთ მოზარდს სოციუმის გონივრულად „მართვა“? ამ და მსგავს

საინტერესოა, როგორ იბადება ადამიანში ლიდერობის სურვილი, როგორ გარდაიქმნება იგი ეფექტურ უნარად, შესაძლებელია თუ არა ამ უნარ-ჩვევის გამომუშავება და საჭიროების შემთხვევაში ადეკვატურად გამოყენება?

კითხვებზე მასწავლებლებს არაერთხელ გვიფიქრია. მოზარდებს, წესისამებრ, უჭირთ ზომიერების დაცვა და უკონტროლო მანიპულაციას მიმართავენ. მათ რიგებში უმეტესად მებრძოლ მანიპულატორებს ვხვდებით, თუმცა არც სხვა ტიპის მანიპულაციის გამოვლენისგან ვართ დაზღვეული (მაგ., საკლასო ოთახში ხშირად შეხვდებით საკუთარ „უუნარობას“ ამოფარებულ ინდივიდებს, რომელთა ანკესზეც არაერთი მასწავლებელი წამოგებულა).

რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ კლასში ლიდერობასთან დაკავშირებული სირთულეები შემექმნა. მთელი ძალით ვცდილობდი ჯგუფზე გავლენის მქონე ინდივიდის უფლება-მოვალეობების შეძლებისდაგვარად დაბალანსებას, რადგან რეფერენტული ძალაუფლების მქონე მოზარდები ხშირად აჭარბებენ და სოციუმზე მოპოვებულ გავლენას ბულინგის იარაღად იყენებენ. ე.წ. სოციალური აქტივობების მარაგი რომ ამომეწურა, საშველად ლიტერატურას მივმართე. ახლაც მახსოვს, როგორ დაიწყო ყინულმა დნობა, როცა მოსწავლეები ფურცლების სარკეში ჩავახედე.

პარალელების გავლება ამა თუ იმ პრობლემის დაძლევის ნაცადი გზაა. ამჯერად გადავწყვიტე, ლიდერული უნარ-ჩვევების მქონე პერსონაჟები სამიზნედ გამომეყენებინა და მათ ქცევაზე დაკვირვებით მოსწავლეებისთვის ძალაუფლების დადებითი და უარყოფითი მხარეები მეჩვენებინა (ზიანისა და სარგებლობის მომტანი ქმედებების ჩამონათვალთა რაოდენობრივი შედარებაც საკმარისია შესაბამისი დასკვნის გამოსატანად). ჯერ სამიზნე პერსონაჟებს ვარჩევდი, მერე კი მკითხველთა კლუბის შეხვედრებზე რჩეული გმირების მონაწილეობით ცალკეულ ეპიზოდებს ვკითხულობდით/განვიხილავდით, სიტუაციას/პერსონაჟის ქცევას ვაანალიზებდით და ა.შ. მალე თავადვე დაეტოლნენ წიგნის გმირებს. დისკუსიის დროს გამოვლენილი მახასიათებლებიდან ჯერ მხოლოდ „ბრჭყვიალა“ უნარები მიითვისეს, თუმცა ფიქრისკენ გაქცეული მზერით ვხვდებოდი, რომ მათ შეუვალ პოზიციას ეჭვის ჭია შეეპარა.

ლიტერატურაში ლიდერ პერსონაჟებს მრავლად შეხვდებით. მოზარდებთან ყველაზე მეტად „გიკი გოგო“ (ჰოლი სმეილი) დამეხმარა. ამ წიგნამდე თავად მოსწავლეებმა მიმიყვანეს. წავიკითხეთ და სადისკუსიო შეხვედრაც დავთქვით. ჰარიეტი ძალიან მომხიბლავი პერსონაჟია – ლამაზი, ჭკვიანი, მშრომელი, მიზანდასახული და ორგანიზებული. მოკლედ, ლიდერული უნარ-ჩვევების ნაკლებობას არ უჩივის. ამ წიგნის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიუანსი ის გახლავთ, რომ გოგონას თავის „ორგანაიზერში“ სულაც არ აქვს გათვალისწინებული გარშემო მყოფთა ინტერესები, რის გამოც ხშირად უსიამოვნო სიტუაციის ინიციატორი ხდება. მას ჯგუფზე ძლიერი გავლენის მოხდენა შეუძლია, თუმცა ცალკეულ ინდივიდებს მაინც ჰყოფნით ძალა, მეგობარს თვალი აუხილონ, რის შემდეგაც ჰარიეტის ლიდერული უნარები სოციუმისთვის გაცილებით სასარგებლო ძალად გარდაიქმნება.

კიდევ ერთი წიგნი, რომელიც ფილმის „თქვენთვის წერილია“ მთავარმა პერსონაჟმა მაპოვნინა, ნოელ სტრიტფილდის „საბალეტო ფეხსაცმელებია“. მასში ლიდერული უნარ-ჩვევებით აღჭურვილ სამ მშვენიერ გოგონას შეხვდებით. დები ფოსილები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, რაც სხვადასხვა ტიპის მოზარდ ლიდერებზე დაკვირვების საშუალებას გვაძლევს და განსახილველად მრავალფეროვან მაგალითებს გვაწვდის.

დაწყებით საფეხურზე პეპისა და კარლსონზე (ასტრიდ ლინდგრენი) უკეთეს „საკვლევ ობიექტს“ სად ნახავთ?! გაიხსენეთ, რა ოსტატურად მანიპულირებს კარლსონი ბიჭუნათი. სახურავის ბინადარ კაცუნას თუ პეპი გრძელწინდას შეადარებთ, ლიდერული უნარების მრავალ დადებით და უარყოფით მხარეს მოუყრით თავს. მათ არც ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი (მარკ ტვენი) ჩამორჩებიან. ტომ სოიერის თავგადასავლებიდან მანიპულაციის მაგალითად ღობის შეღებვის სცენაც კმარა. მოკლედ, ლიდერ პერსონაჟებს რა დალევს; მთავარია, ისინი საჭირო დროს შემოვიპატიჟოთ საკლასო ოთახში და ჩვენი მოსწავლეები თავადვე მიაგნებენ პასუხს კითხვაზე: „როგორი ლიდერი ვარ მე?“

ნათია ფურცელაძე

როგორ გამოვიყენოთ სკოლაში „დაკარგული სიტყვების ლექსიკონი“

„სანამ წიგნის მთავარ ნაწილზე გადახვალ, საიდუმლო უნდა გაგიმხილო. ამ წიგნის მთავარი პერსონაჟი შენ ხარ“.

ჩემთვისაც, ჩემი მოსწავლეებისთვისაც შთამბეჭდავი აღმოჩნდა პირველი სიტყვები. მწერალმა მიზანს მიაღწია, როცა თქვა, რომ ნებისმიერ მკითხველს შეუძლია, იქცეს მთავარ გმირად, ასე შეძლო ჩვენი დაინტერესება და კითხვის გაგრძელება მოგვანდომა.

ბევრი თქმულა და დაწერილა იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია წიგნის დასაწყისი. „დაკარგული სიტყვების ლექსიკონის“ შესავალიც გამოდგება მაგალითად.

ჩემთვისაც, ჩემი მოსწავლეებისთვისაც შთამბეჭდავი აღმოჩნდა პირველი სიტყვები. მწერალმა მიზანს მიაღწია, როცა თქვა, რომ ნებისმიერ მკითხველს შეუძლია, იქცეს მთავარ გმირად, ასე შეძლო ჩვენი დაინტერესება და კითხვის გაგრძელება მოგვანდომა.

ქართულის მასწავლებლები მუდამ ვეძებთ ისეთ კლასგარეშე საკითხავს, სასწავლო რესურსადაც რომ გამოგვადგება. თუ ოდესმე მოსწავლე გკითხავთ, რაში სჭირდება გრამატიკის სწავლა, მიუხედავად თქვენი მცდელობისა, მაინც მობეზრდება, ან ლექსიკონის გამოყენების მოლოდინი მოწყენილობით აავსებს, ან ვერა და ვერ შეელევა ბარბარიზმებს, შეგიძლიათ, „დაკარგული სიტყვების ლექსიკონიც“ დაიმგზავროთ გაკვეთილებზე. ეს 135-გვერდიანი წიგნი მკითხველს დააფიქრებს სიტყვების ძალაზე, ენაზე, რომელშიც ვცხოვრობთ და ხან ვაცნობიერებთ ამას, ხან – ვერა, ენაზე, რომლის ცოდნა ძალიან გვჭირდება, რათა ერთმანეთს გავუგოთ.

გარდა ამისა, ავტორი, დიანა ანფიმიადი, ისე მოულოდნელად შემოგაპარებთ მნიშვნელოვან თემებს, ფურცლიდან ფურცლამდე საფიქრალს არ გამოგილევთ. „დაკარგული სიტყვების ლექსიკონი“ ფენტეზის ჟანრის სათავგადასავლო წიგნია, მაგრამ არც იმან გაგაოცოთ, საკუთარი ისტორია რომ აღმოაჩინოთ სიტყვების ლაბირინთში და მწერლის მიერ გამოგონილი ამბისა ირწმუნოთ.

მთავარი გმირი ცამეტი წლის ბიჭია, გიორგი. ალბათ, მისმა ასაკმაც შთამაგონა, „დაკარგული სიტყვების ლექსიკონი“ საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის შემეთავაზებინა. ჩემი დაკვირვებით, ბავშვებს აინტერესებთ თანატოლი პერსონაჟების ცხოვრება. თუმცა, ცხადია, ეს პირადი გამოცდილებაა. თუ რომელიმე კოლეგა გადაწყვეტს წიგნის გაცნობას, ტექსტი თავად მიანიშნებს, რომელ კლასთან როგორ შეიძლება გამოიყენოს. ამ წიგნს „პატარა უფლისწულს“ შევადარებდი, ნებისმიერი ასაკის მკითხველი რომ თავისას იპოვის, მაგრამ რაც უფრო მოემატება წლები, კიდევ მეტს რომ აღმოაჩენს კითხვისას.

არ ვიცი, სხვებს ემართებათ თუ არა ასე – მე წიგნის კითხვის დროს სხვადასხვა როლს მოვირგებ ხოლმე. მასწავლებელი მკითხველი ამჟამად ყველას ჩაგრავს ჩემში, გამუდმებით ვინიშნავ ფრაზებს, ეპიზოდებს, რა გამომადგება მოსწავლეებთან. ამ წიგნიდან ვერცერთი თავი ვერ გამოვტოვე, მგონი, ყველა ფრაზა მოვინიშნე, თუმცა გამოვყოფ რამდენიმე თემას/საკითხს, რომლებმაც ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო:

დაკარგული მამის ძიება

წიგნს მთავარ ხაზად დაკარგული მამის ძიება გასდევს. მწერალიც „დაკარგული სიტყვების ლექსიკონს“ უძღვნის **„მამას, რომელსაც მხოლოდ სიზმრებში იცნობს“**. ტექსტს ეპიგრაფად ზვიად რატიანის ფრაზა უძღვის: **„აი, ეს ხეა მამაჩემი. გაგიკვირდა?“**, – რომელიც გზადაგზა ჩაგვესმის და ფინალში იხსნება მისი საიდუმლო.

გიოს მშობლის პოვნა დაუსახავს მიზნად და სწორედ მიზნისკენ სავალ გზაზე ვითარდება მოვლენები. წიგნის წაკითხვის მერე ერთმა მოსწავლემ მითხრა, ჩემთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა ფინალი, არა ის, იპოვა თუ არა ბიჭმა მამა, არამედ თავად ძიების პროცესი და იმაზე დაკვირვება, მარტოობამ როგორ გაზარდა ეს ბავშვიო. დავეთანხმე მეც. მამის საძებნელად წასული ბიჭი საკუთარ თავსაც აღმოაჩენს.

დავიწყების ავადმყოფობა

ამ წიგნის ერთი მთავარი პერსონაჟი, ჩემი აზრით, არის ენაც, შეიძლება ასეც ვთქვა: „დაკარგული სიტყვების ლექსიკონი“ არის ენაზე, რომელიც ჰგავს ცხოვრებას და ამ მსგავსების პოვნაში ავტორი გვეხმარება.

დასაწყისში მწერალი წიგნის მთავარი სიტყვების ლექსიკონს გვთავაზობს. ჩამონათვალში პირველივე ენაა და მას ამგვარად განმარტავს – **ენა არის ადამიანის სახლი.** მერე დიანა ანფიმიადი ნელ-ნელა შეგვიძლვება ამ სახლში და გვათვალიერებინებს. ამ თვალიერების თუ წიგნის ფურცვლის დროს კი არაერთხელ დავფიქრდებით იმ ძალაზე, ენის ცოდნა რომ გვანიჭებს.

მგონია, მოსწავლისთვის შთამაგონებელი შეიძლება იყოს ამ ეპიზოდის წაკითხვა და მისი გაანალიზება: გიო უცნობ ქალაქში აღმოჩნდება, მაგრამ მიხვდება, რომ არც ეშინია და არც უცხოდ გრძნობს თავს:

> „იფიქრა, იფიქრა და დაასკვნა, რომ ეს შეგრძნებაც ენის დამსახურება იყო... მხოლოდ იმიტომ არა, რომ ყველაფერი ესმოდა, რასაც გამვლელები ლაპარაკობდნენ ან ყველა წარწერის წაკითხვა შეეძლო; ეს უფრო სხვა სიმშვიდე იყო, სხვა გრნობა, თავდაჯერებულობა, რომ ყველას ყველაფერს გააგებინებდა, რომ ყოველთვის იპოვიდა საჭირო სიტყვას“.

„დაკარგული სიტყვების ლექსიკონი“ მიგვანიშნებს, რა ძვირფასია ყოველი სიტყვა და იმასაც მიგვახვედრებს, რა პასუხისმგებლობა გვეკისრება ამ ენაზე მოსაუბრეთ, რამდენად არის დამოკიდებული თითოეულ ჩვენგანზე ამა თუ იმ სიტყვის სიცოცხლე. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ჩემთვის ერთი თავი აღმოჩნდა – „მკვდარი ენების სასაფლაო“. აქ მითოსი და სინამდვილე ერთმანეთს ერწყმის, თითქოს ზღაპარში ხარ, მაგრამ პერსონაჟების დიალოგი რეალობის შეგრძნებასაც არ გაკარგვინებს.

წიგნის მთავარი გმირი მკვდარი ენების სასაფლაოზე აღმოჩნდება. ურჩხული მის დასახმარებლად ერთ მკვდარ ენას გააღვიძებს, რომელსაც სიფრიფანა გოგოს სახე აქვს. ბავშვები მარტივად გაუგებენ ერთმანეთს, უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის, ბევრს საუბრობენ დამწერლობაზე და სწორედ აქ წარმოჩნდება პრობლემა:

> „ურჩხულის ნათქვამი გაახსენდა. ეს გოგო ბოლოა, ვინც ამ უცნობ ენაზე სიტყვები წარმოთქვაო. ნეტავ რა ამბავია დამალული? რატომ გადაშენდა ხალხი, რომელიც ამ ენაზე საუბრობდა? ან იქნებ კი არ გადაშენდა, ენა შეიცვალა... ნეტავ რა მოხდა?
>
> – დავიწყების ავადმყოფობა, – უთხრა გოგომ, რომელსაც მისი ფიქრიც ესმოდა. – დავიწყების ავადმყოფობამ, რომელიც ჯერ სულ მარტივად, რამდენიმე სიტყვით შეგვეყარა, მერე კი ყველა სიტყვა შეგვიცვალა, დაგვავიწყა ენა, რომელზეც ვლაპარაკობდით, მერე ქვეყანა დაგვავიწყა, სადაც ვცხოვრობდით, ბოლოს კი – საკუთარი თავი. მე მოვკვდი, სხვები გადარჩნენ, მაგრამ აღარ ახსოვდათ, ვინ იყვნენ, საიდან... ისედაც, იმის მერე რამდენიმე ათასი წელი გავიდა. ალბათ, ჩემი ხალხის სახსენებელიც არაა. არადა, სულ ერთი სიტყვით დაიწყო დავიწყება, სულ ერთი სიტყვით...“

ამ მინიშნებამ მაკონდო მომაგონა, გულმავიწყობის ავადმყოფობამ ლამის „თვალსა და ხელს შუა რომ გაუქრო ხალხს სინამდვილე“. შესაძლოა, ავტორიც გაბრიელ გარსია მარკესმა შთააგონა, თუმცა დიანა ანფიმიადთან ამ ვერაგი სენის შედეგსაც ვხედავთ, მერე კი რთული აღარ არის იმის მიხვედრა, რა საფრთხეს უქმნის ერს და მის იდენტობას თუნდაც ერთი სიტყვის დავიწყება. სწორედ ამიტომ მივესალმები ამ თემის ამგვარად წარმოჩენას, ბავშვის თვალი და გული ასე უფრო ხვდება, იმახსოვრებს წაკითხულს და აცნობიერებს თავის წილ პასუხისმგებლობას.

სიდუხჭირე, ემიგრაცია და ომი

გიოს დედა ემიგრანტია. მისი წასვლის მიზეზი ისაა, რის გამოც ათასობით და ასიათასობით

ადამიანი ტოვებს სამშობლოს – სიდუხჭირე. ქალი სამხატვრო სკოლაში ასწავლიდა, შემდეგ სამსახური დაკარგა და ტორტების ცხობას მიჰყო ხელი, **„მერე კი, როცა ყველაფერი გაძვირდა და სულ უფრო და უფრო დაცოტავდა, დედამაც გადაწყვიტა წასვლა, დროებით, სამუშაოდ“**. გიორგის დედაც, ისევე როგორც უთვალავი ქალი საქართველოდან, მიდის, რომ ოჯახი გადაარჩინოს.

ხანდახან გვგონია, რომ ბავშვები ცხოვრებას ძალიან მარტივად უყურებენ, მაგრამ არ არის ასე. არჩა ვიგრაჰა დასის სიტყვებს თუ გავიხსენებთ, „როცა პატარა ხარ, სამყარო ძალიან პატარაა, პრობლემები კი - იმდენად დიდი, რომ ვერც კი ხედავ, როგორც წრუწუნა ვერ ხედავს მთას“. ემიგრაციის თემას ვერ ავუვლით გვერდს, მით უმეტეს, საქართველოში, ვფიქრობ, არ დარჩენილა ოჯახი, მისი წევრი ან ნათესავი წასული რომ არ იყოს საზღვარგარეთ. ჩვენს მოსწავლეებსაც ჰყავთ ემიგრანტი მშობლები, ბებია-ბაბუები, ამიტომაც მნიშვნელოვანი მგონია ამ თემაზე საუბარი ბავშვებთან, რათა:

– ალაპარაკდნენ იმაზე, რა უჭირთ მარტოობისას, ჩვენ კი მოვუსმინოთ, მოვუსმინოთ, მოვუსმინოთ...

– დავეხმაროთ, რომ თანაუგრძნონ, შესაძლოა, ზოგიერთი მოსწავლისთვის ეს სრულიად უცნობი თემა იყოს, მაგრამ ლიტერატურულ პერსონაჟზე დაკვირვებამ მეგობრის, კლასელის ყოფა უფრო ნათელი გახადოს მათთვის.

ეს თემა ძალიან ფაქიზია და ასევე ფაქიზად განსახილველი.

რაც ძალიან მომეწონა – წიგნში იმასაც ამოიკითხავთ, როგორ მოერიოს ბავშვი მარტოობას. ამის წაკითხვა, განსაკუთრებით მოზარდობისას, მეტად საჭირო მგონია.

და ომი, რომელიც ისე მოულოდნელად შემოიჭრება წიგნში, ისე სასხვათაშორისოდ, თავიდან ვერც კი ხვდები მის სისასტიკეს, მაგრამ კვალს ტოვებს და აღარ ქრება: **„იმ უცნაური ომის შემდეგ, რომლის დაწყებისა და დასრულების მიზეზი ყველაზე ცნობილმა სამხედრო ექსპერტებმაც ვერ გაარკვიეს...“**

თუ ოდესმე მოსწავლე გკითხავთ, რაში სჭირდება გრამატიკის სწავლა, მიუხედავად თქვენი მცდელობისა, მაინც მობეზრდება, ან ლექსიკონის გამოყენების მოლოდინი მოწყენილობით აავსებს, ან ვერა და ვერ შეელევა ბარბარიზმებს, შეგიძლიათ, „დაკარგული სიტყვების ლექსიკონიც“ დაიმგზავროთ გაკვეთილებზე.

რამდენიმე დღის წინ დათა თავაძის ინტერვიუს ვუსმენდი. რეჟისორმა აღნიშნა, რომ ერთი სპექტაკლის დადგმის მიზანი და მთავარი სათქმელი მისთვის ის არის, რომ ომი აღარ იყოს. შესაძლოა ძალიან უტოპიური სურვილია, მაგრამ როცა წიგნი მკითხველს ბავშვობიდანვე დააფიქრებს ომზე, მეც მინდა მჯეროდეს, რომ გააცნობიერებინებს მის საშინელებას და იქნებ აღარც იყოს ომი, თანაც იმ ქვეყანაში, სადაც ოკუპანტი ვერა და ვერ გამძღარა.

ფერადი სმენა

როგორია ფერადი სმენა? რა ასოციაციას გიქმნით ეს შესიტყვება?

წიგნში არაჩვეულებრივი გზაა ნაჩვენები, როგორ შეიძლება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრად იგრძნოს, როგორ ქმნის თანასწორ გარემოს მხარდაჭერა და გულწრფელობა და არა სიბრალული. ამ თემის გაშუქება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მგონია, რადგან უამრავი ხილული თუ უხილავი ბარიერი ჯერ კიდევ არსებობს.

გიორგი გოგონას გაიცნობს და დაუმეგობრდება. ბავშვებს ბევრი საერთო ინტერესი აღმოაჩნდებათ.

„გიორგი მიხვდა, რომ ადამიანებს ფერადი სმენა აქვთ, შეუძლიათ ყველაფერი დაინახონ, იგრძნონ, წარმოიდგინონ, მაგრამ მაინც კარგი ახსნაა საჭირო. იმ დღიდან მისი მთავარი მიზანი გახდა, რომ როგორმე, სიტყვების საშუალებით მოეხერხებინა, მის მეგობარს ყველაფერი დაენახა, მიუხედავად იმისა, რომ უცნაურმა დაავადებამ დაბადებისთანავე გაუქრო სამყაროს ხილვის საშუალება.

ჰოდა, იმ დღიდან გიორგიმ თავისი პირველი ენა ისწავლა.

– თეთრი რა ფერია? – ჰკითხავდა გოგონა.
– აი, დილის რიჟრაჟზე გარეთ გამოსულხარ? როცა ძალიან გრილა და ცოტათი გაჟრჟოლებს, ეგ თეთრია.
– წითელი?
– წითელი – ცხელი შუადღის მზე, ან კიდევ ორკესტრის რეპეტიცია, სანამ ინსტრუმენტებს მომართავენ და დაკვრას დაიწყებენ...“

სამყარო ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც ეს სიტყვები. რადგან ლიტერატურა სწორედ ამ

სამყაროს ასახავს, მკითხველს სჭირდება მრავალ-ფეროვანი პერსონაჟები, ისეთები, როგორებიც ვართ, ერთმანეთისგან განსხვავებულები, ამიტო-მაც მისასალმებელია ამ მხატვრული სახის შექმნა.

ალბათ, გამიჭირდება, ერთ წერილში ჩავატიო ყველაფერი, რის თქმაც მსურს წიგნზე. ვფიქრობ, მოსწავლეებთან ერთად მასწავლებ-ლებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს ამ კითხ-ვებზე პასუხების ძიება:

- რატომ სახლობს სიტყვების ტყეში გალაკტი-ონი?
- რა საიდუმლო იმალება გიორგის მეგობრის, სერაფიტას, სახელში?
- გიოს ბაბუა რატომ მიიჩნევს „ვეფხისტყა-ოსანს“ დაკარგული სიტყვების ლექსიკონად?
- მკვდარი სიტყვების მინდორზე 1629 წელს გამოცემულ პირველ ქართულენოვან წიგნ-თან – ქართულ-იტალიურ ლექსიკონთან ერთად კიდევ რას აღმოაჩენს გიორგი?

ეს არ იქნება სიუჟეტში ჩაკარგული ჩვეულებრივი ამბები, ამ წიგნის კითხვისას ქართული კულტუ-რის იდუმალ ისტორიასაც გაეცნობა მკითხველი, პასუხის პოვნას ახალი კითხვის გაჩენა მოჰყვება და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად.

ყოველი წიგნის წაკითხვა ჩემთვის ახალი იდეების დაბადებას უდრის. „დაკარგული სიტყვების ლექსიკონს“ როცა ვკითხულობდი, ვინიშნავდი, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა მოსწავლეებთან ერთად. რამდენიმე იდეას თქვენც გაგიზიარებთ:

წიგნის წაკითხვამდე

ილუსტრაციების გაცნობა

წიგნს სოფო კირთაძის საოცარი ილუსტრა-ციები ამშვენებს.

შეიძლება, Power-Point პროგრამის საშუალებით მოსწავლეებს ნახატები დავათვალიერებინოთ და შევთავაზოთ, ივარაუდონ, რის შესახებ იქნება წიგნი ან ეს ილუსტრაციები ფოტოებად ამოვ-ბეჭდოთ და ბარათებთან ერთად დავურიგოთ ვარაუდების დასაწერად.

სათაურებზე დაკვირვება

წიგნი 23 თავისგან შედგება. ყოველი თავი დასათაურებულია. თვალი გადავავლოთ რამდენიმეს:

- დილა, რომლითაც წიგნი იწყება
- ბაბუას წიგნი
- ოჯახი
- მამა
- პირველი ენა
- სიტყვების ტყე
- მთავარი სიტყვა
- გაქცევა
- გეგმა
- ბავშვობის თამაშები
- გზად
- ხე



საინტერესო იქნებოდა ამ სათაურების დაფაზე ჩამოწერა და თითოეულზე დაკვირვება, იმის გამოცნობა, რას შეიძლება გვიამბობდეს მწერალი.

ორივე აქტივობა დაგვეხმარება მოსწავლეების გამოწვევაში.

წიგნის კითხვისას

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ბუმბულივით მსუბუქ წიგნში იმდენი თემაა მიმოხილული, დისკუსიისთვის მასალა ნამდვილად არ შემოგვაკლდება, ეპიზოდებს კი მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწინებით შევარჩევთ.

„რაც დაკარგე, წიგნებში უნდა მოძებნო“

ერთხელ გიორგი უცნაურ სიზმარს ნახავს. **„რაც დაკარგე, წიგნებში უნდა მოძებნო, სიტყვები, სიტყვები იპოვე, – უკარნახა სიზმრის ხმამ, საკუთარმა გონებამ თუ უხილავმა ძალამ“**. რა ფუნქცია აქვს სიზმარს ლიტერატურაში, ამაზე საუბარი ურიგო არ იქნება, მერე კი ვკითხოთ ბავშვებს, რა უპოვიათ კითხვისას. გამოცდილების გაზიარებისას ახალ-ახალ წიგნებსაც გააცნობენ თანაკლასელებს. ყოველთვის მემახსოვრება ჩემი ერთი მოსწავლის პასუხი ამ კითხვაზე. მან გვიამბო, როგორ წუხდა, რომ მეგობარი დაკარგა და მერე გაიხარა, რადგან წიგნში იპოვა.

დაკარგული სიტყვების დაბრუნება

რამდენიმე დღის წინ აღმოვაჩინე, რომ ჩემმა მოსწავლეებმა არ იცოდნენ, რას ნიშნავს სიტყვა **დაოსებული**. ალბათ, თქვენც მოიგონებთ ასეთ სიტყვებს, მსგავს შემთხვევებს. ვინაიდან ეს წიგნი სწორედ სიტყვების ძიებასა და გადარჩენაზეა, საინტერესო იქნებოდა ისეთი აქტივობის დაგეგმვა, რომლითაც „დაკარგულ“ სიტყვებს აღმოვაჩენინებდით ბავშვებს და „გავაცოცხლებდით“.

წიგნში ასეთი ეპიზოდი შეგხვდებათ: გიორგის „სიტყვების ტყის კიდევ ერთი ბინადარი გაახსენდა, შოთა რუსთაველი და მისი პერსონაჟების ამბები, რომლებსაც ბაბუა უკითხავდა. „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“. გაახსენდა, ერთხელ ბაბუამ რომ უთხრა: „თუ სადმე დაკარგული სიტყვების ლექსიკონი არსებობს, ეს უთუოდ „ვეფხისტყაოსანიაო“.

შეგვიძლია მცირე კვლევითი პროექტი დავგეგმოთ.

1. მოსწავლეებს ვთხოვოთ, წაიკითხონ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი თავი (ან რამდენიმე სტროფი);
2. ამოწერონ სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა არ ესმით, მერე კი გაარკვიონ, რას ნიშნავს თითოეული. ამაში „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი“ დაეხმარებათ.

3. წაუკითხონ ერთმანეთს სტროფები, მერე კი შეადგინონ „ვეფხისტყაოსნის“ დაკარგული სიტყვების საკლასო ლექსიკონი“. ძალიან გაახარებთ იმის შეგრძნება, რომ სიტყვა დაკარგვას გადაარჩინეს.
4. მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ ქართული ენის კორპუსის გამოყენება და კვლევა-ძიება. შეიძლება, ავირჩიოთ „ვეფხისტყაოსნის“ რომელიმე რედაქცია და, მაგალითად, ვეძებოთ, რამდენჯერ ან რა კონტექსტშია გამოყენებული ის სიტყვა, რომლის მნიშვნელობა აქამდე არ იცოდნენ მოსწავლეებმა და ამ აქტივობის შედეგად გაარკვიეს. ამ პლატფორმაზე შესაძლებელია მინაწერების, ხელნაწერების, მინიატურების დათვალიერებაც. თუ აქამდე „ვეფხისტყაოსნის“ ენის კორპუსი არ გამოგიყენებიათ, ეს ვიდეო დაგაკვალიანებთ.

ლექსიკონში მოგზაურობა

სათაურიც მიგვანიშნებს, რომ ამ წიგნის მთავარი და მაგიური სიტყვაა **ლექსიკონი.** ის ერთგვარი პორტალია რეალობიდან წარმოსახვით სამყაროში შესაბიჯებლად. ამ წიგნის დახმარებით სულ სხვა თვალით დავანახებთ მოსწავლეებს ლექსიკონებს, ეს კი იქნებ თვითგანვითარების ახალი გზა აღმოჩნდეს მათთვის.

„ლექსიკონში მოგზაურობა არც ისე მარტივი საქმეა. როგორი სიტყვა არ შეგხვდება აქ: ზოგი - ძალიან საშიში, ზოგი – ისეთი შეუმჩნეველი, ფეხი შეიძლება წამოჰკრა...

ბიჭი მიაბიჯებდა ამ საოცარ ქვეყანაში. წინ რა არ ხვდებოდა, თითქოს ამ ერთ წიგნში ყველა ლექსიკონი გაერთიანებულიყო. უცხო სიტყვათა ლექსიკონი სულ უცხო, უცხო, ზოგჯერ საშიშად უცხო სიტყვებით; საზღვაო ტერმინების ლექსიკონი – ისეთი საინტერესო რამეებით, რომ ბიჭს თავისი საყვარელი წიგნები ახსენდებოდა, სათავგადასავლო, გემებსა და მეზღვაურებზე. სიტყვები სინონიმთა ლექსიკონიდან მინდვრის ყვავილებივით ყვავილობდნენ, სულ ოდნავ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, მხოლოდ მახვილი თვალი თუ შეამჩნევდა; ანტონიმები – კაქტუსის უცნაურ ბუჩქებს ჰგავდნენ...“ – და ასე აგრძელებს გიორგი ლექსიკონებში მოგზაურობას. ამ თავის წაკითხვისას შეგვიძლია, ბავშვებს **არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ელექტრონული ლექსიკონები** გავაცნოთ. აღმოაჩენენ, რამხელა შესაძლებლობა ჰქონიათ, მაგალითად, რამდენიმე წამში მოახერხებენ იმის გარკვევას, როგორ იწერება ესა თუ ის სიტყვა სწორად, უცნობ ფრაზეოლოგიზმებს იპოვიან და ა.შ. თუ ჩვენი მიზანი მართლწერის სწავლებაა, რატომ არ უნდა ვავარჯიშოთ ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოყენებაში?

ძალიან საინტერესოა პირადი ლექსიკონების შედგენაც, მაგალითად, რას ჩაწერდნენ ბედნიერების, მეგობრობის, აკრძალული ან საშიში სიტყვების ლექსიკონში?

გიფიქრიათ თქვენს ყოველდღიურ ლექსიკონზე? წარმოიდგინეთ, რომ ერთი დღის განმავლობაში მხოლოდ 10 სიტყვის გამოყენების უფლება გაქვთ, რას აირჩევდით?

წიგნის წაკითხვის შემდეგ

მას შემდეგ, რაც ბოლო თავში ამ სიტყვებს ამოიკითხავთ: **„ადამიანი ენასავითაა, თუ გახსოვს, ცოცხალია, თუ გავიწყდება, ჯერ გადაშენება ემუქრება, ბოლოს კი კვდება“**, – წიგნი თავად მიგახვედრებთ, რა შეიძლება დაგეგმოთ.

ჩემმა მოსწავლეებმა შთაბეჭდილებები დაწერეს და ბლოგზე გამოაქვეყნეს, მერე დისტანციურად შეხვდნენ ავტორს და ინტერვიუ ჩამოართვეს. წაკითხულის გასააზრებლად, კითხვებზე პასუხების საპოვნელად არაჩვეულებრივი იყო. თუ დაინტერესდებით, მკითხველებისთვის კარი ღიაა – https://avocabularyofthelostwords.blogspot.com/, იქამდე კი „დაკარგული სიტყვების ლექსიკონში“ დაუვიწყარ მოგზაურობას გისურვებთ!

ლელა კოტორაშვილი

ვიქტორინა ეფექტური მოსმენისთვის

ეფექტური მოსმენის სწავლა შესაძლებელია. გამუდმებით ვმუშაობ საკუთარ თავზე, რომ კარგი მსმენელი ვიყო – ვუსმინო გულისხმიერებითა და ინტერესით და არა მოვალეობის მოხდით.

სამყარო სავსეა ხმებით. გვინდა თუ არა, ჩვენ გამუდმებით გვესმის ქარის ზუზუნი, ლიფტის გრუხუნი, შეძახილები ეზოდან... მასწავლებლებს კი იმაზე მეტი სიხშირის ხმის გაძლება გვიწევს, ვიდრე სხვა პროფესიის ადამიანებს. მუდმივად ვუსმენთ და გვისმენენ, ამგვარია ჩვენი ყოველდღიურობა. ხშირად შიში მიპყრობს: იქნება კი ჩემი ხმა ყველა მოსწავლისთვის გასაგონი?

ეფექტური მოსმენის სწავლა შესაძლებელია. გამუდმებით ვმუშაობ საკუთარ თავზე, რომ კარგი მსმენელი ვიყო – ვუსმინო გულისხმიერებითა და ინტერესით და არა მოვალეობის მოხდით. ჩემი დაკვირვებით, ცხოვრების ხარისხიც დიდწილად მოსმენის კულტურაზე დგას. დაკვირვებიხართ, ვის უსმენთ დღის განმავლობაში? რას ისმენთ? როგორ ჟღერს სიტყვები, რომლებითაც სათქმელს ვქსოვთ?

ამერიკელი ენათმეცნიერი ჯონ ვარინერი გრამატიკის სახელმძღვანელოში ერთ თავს უთმობს მოსმენას. ის წერს, რომ დღის განმავლობაში უფრო მეტს ვისმენთ, ვიდრე ვსაუბრობთ; უფრო მეტს ვლაპარაკობთ, ვიდრე ვკითხულობთ და ვკითხულობთ მეტს, ვიდრე ვწერთ. ჯონ ვარინერი ეფექტური მოსმენის სწავლებისთვის პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც გვთავაზობს. მისი აზრით, მოსმენა შეიძლება იყოს გაუცნობიერებელი – როცა გვესმის, მაგრამ არ ვფიქრობთ ამაზე – და გაცნობიერებული – როცა ვაანალიზებთ მოსმენილს, ფაქტებად ვანაწევრებთ, კრიტიკულად ვიაზრებთ, საკუთარ დამოკიდებულებას ვაყალიბებთ. მოსმენა პასიური პროცესია, გაგება (გაცნობიერებული მოსმენა) კი – აქტიური.

მოსწავლეები ზოგჯერ თავს იკატუნებენ, თითქოს ყურადღებით გვისმენენ, ამ დროს კი მათი გონება სხვა საფიქრალს უტრიალებს. ამგვარი სიტუაცია ზრდასრულებისთვისაც ნაცნობია.

იმაზე ფიქრმა და დარდმა, რა რთულია მოსმენა, ერთი სახალისო ვიქტორინა მომაფიქრებინა. ეს აქტივობა მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც თანაბრად უბიძგებს აქტიური მოსმენისკენ.

აქტივობის აღწერა

სახალისო ვიქტორინა შეგვიძლია გამოვიყენოთ საშინაო დავალების კითხვისას, თხრობისას... მოსწავლეებს ვეუბნებით, რომ ყურადღებით უნდა **მოუსმინონ ერთმანეთს.** ხელში გვიჭირავს დღიური და მოსწავლის წაკითხულიდან **ვინიშნავთ** საკვანძო სიტყვებს და ფრაზებს. როდესაც დავალების კითხვას ყველა დაასრულებს, ვიქტორინის დრო დგება. **ვკითხულობთ** ჩვენ მიერ ჩაწერილ სიტყვებს და ფრაზებს, მანამდე კი მოსწავლეებს **ვაფრთხილებთ**, რომ საკუთარი ტექსტიდან ამონარიდის გაგონებისას ჩუმად იყვნენ, რადგან მთავარი ამოცანაა, სხვამ **ამოიცნოს** და **წამოიძახოს** იმ ბავშვის სახელი, ვისაც ეკუთვნის ჩვენ მიერ წაკითხული სიტყვა ან ფრაზა.

დიდი ბედნიერებაა ბავშვების სახეებზე დაკვირვება, როდესაც კლასელები მათ სახელს ამბობენ. ამგვარად, აქტიური მოსმენის პარალელურად, სოციალური ურთიერთობების გაღვივებასაც ვუწყობთ ხელს, მოსწავლეებს ერთმანეთის შემჩნევასა და აღიარებას ვასწავლით.

ვიქტორინისთვის მზადებისას მასწავლებლის ყურადღება წამით ვერ მოდუნდება, რადგან მას რამდენიმე მიმართულებით უწევს მუშაობა:

1. **მოსწავლის მოსმენა;**
2. **მნიშვნელოვანი დეტალების შერჩევა და ჩაწერა;**
3. **ზეპირი განმავითარებელი კომენტარების მოფიქრება და ადრესატისთვის თქმა.**

როდესაც მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მთავარ დეტალზე და ამას ხმამაღლა ამბობს, ბავშვებისთვის პირად მაგალითად იქცევა – ისინიც იწყებენ მოსმენისას მთავარი დეტალების შემჩნევას.

ყველა მოსწავლის მიერ საშინაო დავალების ხმამაღლა წაკითხვას ბევრი დრო სჭირდება, სახალისო ვიქტორინის დაგეგმვისას ეს ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ.

მეტი სიცხადისთვის ჩემი დღიურის ჩანაწერებს მოვიშველიებ. რამდენიმე დღის წინ მესამეკლასელებმა ამირანს პირადი წერილები მისწერეს. ისინი კითხულობდნენ, მე კი ჩემს დღიურში საკვანძო ფრაზებსა და სიტყვებს ვინიშნავდი. ზოგი მოსწავლის სახელის გასწვრივ რამდენიმე ფრაზა და სიტყვა მიწერია, რადგან ხშირად მათი აზრები მეორდება, ვიქტორინის დროს კი არჩევის საშუალება უნდა მქონდეს. თითოეული ჩანაწერის კითხვისას ხმამაღლა ვამბობ იმას, რაზეც ყურადღებას ვამახვილებ. მაგალითად, თაკო სიტყვა „აჯიმანიებს“ ამბობს. კითხვის დასრულების შემდეგ მას ვეუბნები: რა კარგია, ამირანი ვარჯიშის სურვილს რომ აღგიძრავს; ყველა ამბობს სიტყვას „აჯიმანია“, მაგრამ სწორი ფორმაა „აზიდვა“ და გთხოვ, ჩაასწორე-მეთქი. ვიქტორინის დროს ვკითხულობ: აბა, რომელმა მოსწავლემ წარმოთქვა შემდეგი ფრაზა: „აჯიმანიებს“ ვაკეთებ“? – და თითქმის ყველა თაკოს სახელს გაჰყვირის. თაკოს თაფლივით თვალებში სითბო ეღვრება და ღიმილი სახეს უნათებს.

ნატა ერთი და იმავე შინაარსის ფრაზებს იყენებს, ამიტომ მეც დაქანებული ზვავის სისწრაფეს ვუხმობ თითებისთვის და რამდენიმე ფრაზას ვიწერ. „ყოჩაღ, ამირან!“ – საბოლოოდ ამ ფრაზაზე ვამახვილებ ყურადღებას. მეცინება, ნატა მასწავლებელივით რომ აქებს ქალღმერთი დალის ვაჟს.

ჩანაწერების თანმიმდევრობა ასეთია:

თაკო – „აჯიმანიებს“ ვაკეთებ.

ნატა – რა მამაცი ხარ! როგორ დაამარცხე სამთავიანი დევი! ყოჩაღ, ამირან!

ანი – მარტოდმარტო... იმედი მაქვს, შენც მომწერ წერილს.

ნუცა – სხვათა შორის.

გაბო – რატომ შეებრძოლე ღმერთს?

ანდრია – მეც მინდა, სამართლიანი ვიყო!

დათუნა – შენსავით ძალები მქონდეს, მონსტრები დავამარცხო.

სოფი – ძალიან მაგარი ხარ, ალბათ, ვარჯიშობდი.

ცოტნე – გამიხარდა, რომ საქართველოში დაიბადე!

დათუნა – დაამარცხე ბოროტება.

ჩემი დაკვირვებით, ცხოვრების ხარისხიც დიდწილად მოსმენის კულტურაზე დგას. დაკვირვებიხართ, ვის უსმენთ დღის განმავლობაში? რას ისმენთ? როგორ ჟღერს სიტყვები, რომლებითაც სათქმელს ვქსოვთ?

საბა – ამირან, შენ ხარ უშიშარი! გაგიძნელდა სამთავიანი ბაყბაყდევის დამარცხება?

ბარბარე – მეც მინდა, შენსავით ძლიერი ვიყო!

თამარი – ღმერთმა რატომ დაგაბა?

საბა – მე მინდა ერთი ძალა, რომ ადამიანებს დავეხმარო.

გოგა – შენ გადაარჩინე ჩვენი ქვეყანა.

მესამეკლასელი გოგა სომეხია და მისი სიტყვები „ჩვენი ქვეყანა“ გულს მითბობს. მიხარია, საქართველოს თავის ქვეყნადაც რომ მიიჩნევს და ასე უფასებს მითიურ ამირანს დევების განდევნას.

ამგვარად, თითოეულ მოსწავლეს **განმავითარებელ კომენტარს** ვაძლევთ. საკუთარი ნაშრომის კლასელების წინაშე წარდგენით ყველა გახარებულია, ამასთანავე, ხედავენ, რომ სიტყვებით სხვისი ყურადღების მიპყრობა შესძლებიათ. დაბოლოს, სახალისო ვიქტორინა ერთიანობის დაუვიწყარ განცდას ბადებს, შესანიშნავი განწყობა კი საშინაო დავალების დაწერის მოტივაციას ამაღლებს.

სახალისო ვიქტორინა ეფექტურად შეგვიძლია გამოვიყენოთ **თხრობის დროსაც**. მთავარია, მოვიფიქროთ საკვანძო კითხვა და პასუხები ჩავიწეროთ. მაგალითისთვის, მახსენდება მოთხრობა „ფუღურო“. თითოეულ მოსწავლეს მოყოლის შემდეგ ვეკითხებოდი, სად დაასახლებდა ობობას, ბოლოს კი ერთმანეთის თითოსიტყვიანი პასუხები უნდა გამოეცნოთ.

თუ ხმამაღლა ვუკითხავთ, მოვიფიქროთ **ერთი მთავარი კითხვა** და პასუხის წერილობით გაცემა ვთხოვოთ. ჩვენ კვლავ ვინიშნავთ მათ პასუხებს. მაგალითად, ტუვე იანსონის „ჯადოქრის ქუდის“ უკანასკნელ თავში ჯადოქარი მუმინების ხეობის ბინადრებს ერთ სურვილს უსრულებს. ხმამაღლა კითხვასა და მოსმენას წერილობითი აქტივობით ვანაცვლებ და წინადადების დასრულებას ვთხოვ.

„მე ჯადოქარს ვთხოვდი...“ – მათი პასუხები კი ამგვარი იყო:

ბარბარე – ოჯახის ბედნიერებას;

დათო – კარგად სწავლას;

გაბო – ფრთებს;

საბა – მოტოძრავას 125 ძრავით;

ნუცა – ლელა მასი სულ ჩვენთან იყოს;

ნატა – ძაღლს;

ცოტნე – ახალ ტელეფონს;

გოგა – ჩემი ოჯახი არ იყოს მოწყენილი;

თაკო – ოჯახის ჯანმრთელობას;

ანდრია – კავკასიურ ნაგაზს;

დათუნა – მე და საბას ერთად გვეცხოვრა;

ანი – სულ გაზაფხული იყოს;

სოფო – დედას საქმეები აღარ ჰქონდეს;

ნიკო – სოფლის სახლს.

რა არის იმაზე უკეთესი, როდესაც ბავშვები საკუთარ სურვილებს გიზიარებენ, ხმამაღლა გიკითხავენ, ერთმანეთს უსმენენ და ხედავენ, რომ მასწავლებელიც გულდასმით უსმენთ?

სახალისო ვიქტორინას კი მეტი სიცხადისთვის კონკრეტული სახელი სჭირდება. ძვირფასო მკითხველო, დიდი სიხარულით მოვისმენდი თქვენს ვერსიებს: რა შეიძლება დავარქვათ სახალისო ვიქტორინას, რომელიც ეფექტურ მოსმენას გვასწავლის და სასწავლო პროცესს სიხარულით ავსებს?

გამოყენებული წყაროები:

1. John Warriner, English Grammar and Composition, 1965, Listening.

ქეთევან კობალაძე

მასწავლებლობა ანუ როგორ ჩავატაროთ საინტერესო გაკვეთილები

საინტერესო გაკვეთილების ჩატარება, ვფიქრობ, ყველა მასწავლებელს სურს. ჩვენს ქვეყანაში უამრავი პედაგოგი ნამდვილად საინტერესო გაკვეთილებს ატარებს, მაგრამ სტატია ამერიკელი მასწავლებლის დეივ ბერჯესის (Dave Burgess) წიგნიდან „სწავლება როგორც თავგადასავალი: როგორ გავხადოთ გაკვეთილები საინტერესო და მიმზიდველი“ – ვფიქრობ, ყველა პედაგოგს დაინტერესებს (დეივ ბერჯესი კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოს სკოლის ისტორიის მასწავლებელია).

სტატიაში განხილულია სწავლების პროცესში ერთგვარ „კაუჭზე წამოგების“ ხრიკები და სხვა შემოქმედებითი საკითხები. როგორც დეივ ბერჯესი განმარტავს, განსხვავებული, მრავალფეროვანი იდეების ურთიერთგაზიარება მნიშვნელოვანია, რათა მასწავლებლებმა შეძლონ მოსწავლეთა ყურადღების სასწავლო მასალაზე გადატანა. ამერიკელ პედაგოგს იმედი აქვს, რომ მკითხველები მის იდეებს თავიანთ გაკვეთილებზე გამოიყენებენ. მთავარია, დაინტერესებულმა მასწავლებლებმა გამონახონ დრო და მიზანმიმართულად ეძებონ მეთოდები, რომლებიც სწორედ მათი მოსწავლეებისთვის იქნება შესაფერისი.

„როდესაც გადავწყვიტე, ტრენინგები ჩამეტარებინა იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც პროფესიული ზრდისკენ ისწრაფვიან, ყველაზე მეტად იმაზე ვნერვიულობდი, შევძლებდი თუ ვერა სხვებისთვის საკუთარი მეთოდების იმგვარად გადაცემას, რომ მათაც გასჩენოდათ პრაქტიკაში მათი გამოყენების სურვილი. ნებისმიერი მასწავლებლის პედაგოგიურ წარმატებას განაპირობებს მისი დამოკიდებულება სწავლებისა და ბავშვების მიმართ. სხვა დანარჩენი კი დამოკიდებულია პედაგოგის მზაობაზე, მუდმივად ეძებოს ის, რითაც მოსწავლეები დაინტერესდებიან. მინდა, ვუთხრა მასწავლებლებს, რომ ჩემი მეთოდი და გამოცდილება მათ შემოქმედებითობის აღმოჩენაში დაეხმარება. ყველაფერი ეს გიტარაზე დაკვრის სწავლას ჰგავს: ძირითადი აკორდების შესწავლის შემდეგ ყველა თავად წყვეტს, რა ნაწარმოები შეასრულოს.

მოდი, ახლა ჩემს ერთ-ერთ ყველაზე სახალისო და გამორჩეულ გაკვეთილზე გიამბობთ. ისტორიის გაკვეთილების ჩატარება შესაძლებელია გარკვეული კინესთეტიკური აქტივობების დახმარებით, მით უფრო, თუ მასწავლებლის მიზანია, გართობის ელემენტი შეიტანოს გაკვეთილის მსვლელობაში. ერთხელ გაკვეთილზე მოსწავლეებს ვუამბობდი მონობასა და იმ ნაირ-ნაირ ხერხებზე, რომლებსაც მონები იყენებდნენ მჩაგვრელებისგან გასაქცევად. ჰენრი ბრაუნი ისტორიას იმით შემორჩა, რომ საკუთარი თავი ამანათით გაგზავნა, რათა მონობისთვის თავი დაეღწია. ჰოდა, მეც შევთავაზე მოსწავლეებს, შემძვრალიყვნენ ყუთში, რომელიც ჰენრი ბრაუნისაზე მცირე ზომისა იყო. ბავშვები ძალიან გახალისდნენ, განიხილეს შესაძლებლობები, აიღეს დიდი პლასტმასის ყუთი და დაიწყო ექსპერიმენტი. ვერ წარმოიდგენთ, რა საინტერესოდ განვითარდა მოვლენები! როდესაც იგივე გაკვეთილი პარალელურ კლასში ჩავატარე, მათაც მიიღეს გამოწვევა და პრაქტიკულად ყველა მოსწავლემ სცადა ყუთში ისე შეძრომა, რომ მისი დახურვა თავისუფლად ყოფილიყო შესაძლებელი. იგივე მოხდა კიდევ ერთ კლასში და კონკურენციამ პიკს მიაღწია, ოღონდ ამ ყველაფერს თან ახლდა იუმორი და არა აგრესია ან

მინდა, ჩემს გაკვეთილებზე მოსწავლეები კარგ გუნებაზე დგებოდნენ და, ამავე დროს, ცოდნის გარკვეულ მარაგსაც იგროვებდნენ. ასეთი სავარჯიშო სულაც არ მოითხოვს მთელ გაკვეთილს, ამიტომ დროის ფუჭად ხარჯვის მაგალითად ვერ ჩაითვლება.

საკლასო ოთახის გარეთ გაკვეთილის ჩატარება ძალიან უცნაურია/ განსხვავებულია, თანაც უმოკლესი გზაა მოსწავლეთა დასაინტერესებლად, გასახალისებლად და წასახალისებლად.

გაღიზიანება. ხალისი მეორე დღესაც გაგრძელდა. უკვე მთელმა სკოლამ იცოდა ამ ექსპერიმენტის შესახებ და კლასში შემოსულმა მოსწავლეებმა მაშინვე დააპირეს ყუთში შეძრომა, მაგრამ შევაჩერე და ვუთხარი, რომ ჯერ უნდა გაეგოთ, როგორ მოხვდა ყუთი საკლასო ოთახში. მოკლედ, პატარა მხიარული ოინი დიდ კონკურსად გადაიქცა.

> რისთვის მოვყევი ამ ამბავს? დარწმუნებული ვარ, მასწავლებლების არცთუ მცირე ნაწილს გაუჩნდება კითხვები:
> - რატომ უნდა შეძვრეს მოსწავლე ყუთში?
> - მეტისმეტად ბევრი დრო ხომ არ დაიხარჯა ფუჭად ამ აკვიატების გამო?
> - და რომ არავინ გამოთქვას ყუთში შეძრომის სურვილი?

ჩემი პასუხები: „მსგავსი სახალისო აქტივობები ზოგჯერ სავსებით მისაღებია, რადგან ხელს უწყობს კლასში (ზოგჯერ – მთელ სკოლაშიც კი) პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მინდა, ჩემს გაკვეთილებზე მოსწავლეები კარგ გუნებაზე დგებოდნენ და, ამავე დროს, ცოდნის გარკვეულ მარაგსაც იგროვებდნენ. ასეთი სავარჯიშო სულაც არ მოითხოვს მთელ გაკვეთილს, ამიტომ დროის ფუჭად ხარჯვის მაგალითად ვერ ჩაითვლება. სამაგიეროდ, დავინახე, რომ მოსწავლეები ნამდვილად დაფიქრდნენ მონობის მანკიერებაზე და განსაკუთრებით ჰენრი ბრაუნის ამბავზე. ისინი ცდილობდნენ, მის ადგილას წარმოედგინათ თავი. ვხედავდი მათ სიხარულით გაცისკროვნებულ სახეებს. იმ დღეს ბევრჯერ შევამჩნიე, რომ მოსწავლეები ჩემი კაბინეტის წინ ჩერდებოდნენ და ცდილობდნენ დაენახათ, როგორ ართმევდნენ თავს დავალებას სხვები. მე რამდენჯერმე შევთავაზე მათ, სხვა კლასის ბავშვებიც მოეყვანათ ყუთში შესაძრომად. სიხარულით ვადევნებდი თვალს, როგორ ამხნევებდნენ თანაკლასელები ერთმანეთს და ასწავლიდნენ დანარჩენებს, როგორ შემძვრალიყვნენ ყუთში უფრო მოხერხებულად. ვხედავდი, როგორი ხალისით ურთიერთობდნენ ბავშვები, რომლებიც მანამდე არც კი დალაპარაკებიან ერთმანეთს. ისეთი მოსწავლეებიც კი ცდილობდნენ დავალების შესრულებას, რომლებიც მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელაც არ გამოსულან სიტყვით კლასის წინაშე. დავინახე, რამდენი მშვენიერი რამ მოიტანა ამ ერთი შეხედვით სულელურმა წამოწყებამ. და კიდევ, დავინახე მოსწავლეები, რომლებსაც არასდროს დაავიწყდებათ ჰენრი ბრაუნის ისტორია.

თუ გგონიათ, რომ თქვენი მოსწავლეები არასდროს მიიღებენ მონაწილეობას მსგავს აქტივობებში, გეტყვით: პირველი – სავარაუდოდ, ცდებით! მეორე – თუ არ ცდებით, მაშინ აუცილებლად უნდა გააუმჯობესოთ მოსწავლეებთან კომუნიკაცია, შეუქმნათ მათ უსაფრთხო და ნდობით სავსე ატმოსფერო, რათა ბავშვებმა მსგავსი დავალებებით იხალისონ.

გაფრთხილება პირველი: ნუ მოიხდით ბოდიშს იმის გამო, რომ ახალისებთ, ამხიარულებთ მოსწავლეებს. მეტიც – ბოდიში მოსახდელი გექნებათ, თუ ამას არ აკეთებთ. მეორე: სულაც არ არის სავალდებულო, მოსწავლეები ყუთში შეაძვრინოთ; მთავარია არასტანდარტული აზროვნება და შემოქმედებითი იდეების რეალიზება.

კიდევ რამდენიმე კაუჭს გაგიზიარებთ. მაგალითად, **„ადამიანი-რეკვიზიტები“**. ერთხელაც დავფიქრდი: როგორ ჩავატარო გრანდიოზული გაკვეთილი ისე, რომ მოსწავლეები უსულო საგნებივით გამოვიყენო ან რაიმე ცნების როლი დავაკისრო? იქნებ ბავშვებისგან შევქმნა გრაფიკი ან დიაგრამა, რუკა დავხატო ან სულაც განტოლება შევადგინო? იქნებ მოსწავლეთა გარკვეულმა ჯგუფმა რეკვიზიტის როლის შესრულება შეძლოს, სხვებმა კი ეს რეკვიზიტი საჭირო ადგილას გადაიტანონ?

კაუჭი „საფარი“: იქნებ მოვახერხო მოსწავლეების კლასიდან გაყვანა გაკვეთილის ჩასატარებლად? გამოდგება თუ არა ამ აქტივობისთვის სკოლის ტერიტორია? როგორ მოვძებნო სკოლის შენობაში ისეთი ადგილი, რომელიც იდეალური დეკორაციის ფუნქციას შეასრულებს? შევძლებ თუ ვერა მნიშვნელოვანი ნივთების დამალვას შენობის გარეთ, რომ მერე ისინი მოსწავლეებმა მოძებნონ? შევძლებ თუ ვერა, მოსწავლეებთან ერთად დავტოვო სკოლის ტერიტორია და სადმე გავემგზავრო საგაკვეთილო მასალის შესასწავლად? საკლასო ოთახის გარეთ გაკვეთილის ჩატარება ძალიან უცნაურია/ განსხვავებულია, თანაც უმოკლესი გზაა მოსწავლეთა დასაინტერესებლად, გასახალისებლად და წასახალისებლად. ამავე დროს სავსებით ვაცნობიერებ, რომ ამ აქტივობის ჩატარება რთულია. თუმცა არავის დავპირებივარ, რომ ასეთი კრეატიული იდეები მარტივად შეისხამს ხორცს“.

ინა იმედაშვილი

კიდევ ერთი ამბავი იმაზე, რომ სიტყვებს სამყაროს შეცვლა შესძლებია

მასწავლებლის ერთი დღე, რომელიც მთელ ცხოვრებას უდრის

შეუკაზმავ მუსტანგზე ამხედრებული, ყველა დაბრკოლებას ვლახავ, ისე მივქრი, რომ ქარიც ვერ მეწევა. ის-ისაა, ცაში უნდა ავიჭრა, ღრუბლები ქვემოთ მოვიტოვო და მოელვარე ცისარტყელას გადავუფრინო, რომ იოჰანეს ბრამსის „Wiegenlied-ის“ მშვიდი, ზომიერი მელოდია ჩამესმის. მელოდია მეორდება და მეორდება, თითქოს დროის მარყუჟში ჩავრჩი...

მრავალჯერ ნანახ რეკლამასავით ვიცი, რაც მოხდება: ხელის ფათურით ვიპოვი მობილურ ტელეფონს და მაღვიძარას გავთიშავ, ჩემი დროის მარყუჟიც დაიშლება და დილის ჩვეულებრივ რუტინას დავუბრუნდები. ფიქრებიც დაიწყებენ გამოფხიზლებას: იქნებ ჯობდა, მართლა მოვხვედრილყავი დროის მარყუჟში? გამოფხიზლება და ადგომა ისე გამიჭირდება, რომ თანახმა ვიქნები, გამუდმებით აწმყოში ვცხოვრობდე, გამუდმებით დილის 6 საათი იყოს და მუდმივად ჩამესმოდეს სევდიანი, ძალიან მშვიდი მელოდია.

რეკლამა სრულდება და რეალობა მთელი სიცხადით ატყდება თავს ძილ-ბურანით დაბინდულ გონებას: ბავშვები, ბავშვები, მეოთხეკლასელები. დროის მარყუჟი თავისთავად ქრება და წასასვლელად ვემზადები.

დილის ექვსი საათია. ამ დროს, წესით, უკვე ყველა მასწავლებელს ღვიძავს და დილის რუტინის პარალელურად დღეს კიდევ ერთხელ გეგმავს. თუ რაღაც ამოუხსნელი გზით მასწავლებლების გონებაში ჩაიჭყიტებით, განურჩევლად სპეციალობისა და ეროვნებისა, უამრავ სხვა წვრილ-წვრილ მანტრასთან ერთად ერთი მთავარი მანტრაც დაგხვდებათ: „დღემ მშვიდობიანად ჩაიაროს!“

გზა სკოლისკენ

სანამ მეტრომდე მივაღწევ, თბილისის ძველი უბნის ძალიან ძველი ქუჩა უნდა გავიარო. ქუჩა ვიწროა, ტროტუარებიც ვიწრო აქვს, ორი კაცი გვერდს ვერ აუქცევს ერთმანეთს. უნდა გაჩერდე და გაატარო. თითქოს განზრახ გაუკეთებიათ ასეთი, რომ ადამიანებმა ერთი წუთით მაინც ჩავხედოთ თვალებში ერთმანეთს, იქნებ წინა ცხოვრებებსა და რეინკარნაციებში სულაც და-ძმა, ცოლ-ქმარი ან უბრალოდ მეგობრები ვიყავით. იქნებ მოსწავლე-მასწავლებელიც? ასეთი სულელური ფიქრები ზამთრისპირს, ვიწრო ტროტუარსა და თბილისში დილაობით ჩამოწოლილ ბურუსს სცოდნია. ბურუსს, რომელსაც წვიმაც ერთვის, მომაბეზრებლად რომ ცრის.

რეინკარნაციებზე ბოლო დროს დავიწყე კითხვა და მომწონს ეს იდეა, თუმცა ჯერ რწმენამდე არ მივსულვარ. ალბათ ვერც მივალ. შუა გზაში შეწყვეტილი რწმენებით მაქვს გამოტენილი გონება. უჰ, იმდენია ასეთი რწმენა – დაუსრულებელი, მიტოვებული.

ერთი კაცი მხვდება. ვჩერდები. ისიც დგება, თვალს თვალში ვუყრით ერთმანეთს. ნაღვლიანი მზერა აქვს, ამინდივით და საერთოდ ცხოვრებასავით. „ამის მასწავლებელი რომ ვყოფილიყავი“, – მეცინება გულში და მწვანე, კუბოკრული ბოტეებით ჭადრის ხმელი ფოთლების ზღვაში მივცურავ. შხრ, შხრ,

იარლიყების მიკერება ჩვეულებრივი ამბავია სკოლებში, მასწავლებლები ყოველთვის ჩურჩულებენ, რომელი კლასია წყალწაღებული და რომელი – „წყალმოტანილი“. ეს ჩემი კლასი კი უბრალოდ „რთული“ იყო.

შხრ, – ფოთლების მტვრევის ხმა ბავშვობაში მაბრუნებს, როცა სკოლიდან მე და ბებია მივუყვებოდით სახლის გზას. ბებია გაფრინდა, მე მოსწავლე მასწავლებლად ვიქეცი.

მეტროში ჩავდივარ, ფანტაზიას ფართოდ ვუღებ კარს, წარმოვიდგენ, რომ ქვესკნელში ვეშვები და იქიდან ან დავბრუნდები, ან არა. სწავლების ყოველი დღე რაღაცით მართლაც ჰგავს ქვესკნელში ჩასვლას, დღის დასრულება კი დაბრუნებაა – ხარ ახალი გამოცდილებებით სავსე და კიდევ ერთბრძოლამოგებული.

სკოლა

ყველაზე რთული კლასის დამრიგებელი და ქართულის მასწავლებელი ვარ. სულ მეორე წელია, რაც ამ სკოლაში ვმუშაობ. ისეთი კლასი ჩამაბარეს, ჩემამდე რამდენიმე დამრიგებელი რომ ჰყავდა გამოცვლილი. იარლიყების მიკერება ჩვეულებრივი ამბავია სკოლებში, მასწავლებლები ყოველთვის ჩურჩულებენ, რომელი კლასია წყალწაღებული და რომელი – „წყალმოტანილი“. ეს ჩემი კლასი კი უბრალოდ „რთული“ იყო. სხვა მასწავლებლებმა რომ გაიგეს, ამ „რთული კლასის“ დამრიგებელი ვიქნებოდი, თვალები მრავალმნიშვნელოვნად გადაატრიალეს და თავი დანანებით გადაიქნიეს. ვეცოდებოდი, ნამდვილად, გულწრფელად. ჯერ ერთი, ახალგაზრდა და გამოუცდელი ვიყავი, მეორე – ამ კლასის პრობლემებზე უკვე ლეგენდები დადიოდა.

ჰოდა, შევედი პირველად და ოცმა განსხვავებულმა ხასიათმა, ოცმა განსხვავებულმა სამყარომ შემომანათა თვალები. თითოეულს საკუთარი აზრი ჰქონდა აბსოლუტურად ყველაფერზე, ყველა წვრილმანზე, და თითოეული მათგანი თავგამოდებით იცავდა ამ აზრს. თან ეს აზრები არასდროს ემთხვეოდა ერთმანეთს და ყველა გაკვეთილი ხელჩართული ბრძოლით სრულდებოდა. არც შეურაცხმყოფელი ლექსიკა და ფიზიკური შეხება ყოფილა უცხო. ამიტომაც მაქვს ამოჩემებული დილის მანტრა და ამიტომაა სკოლაში წასვლის მეტაფორა ქვესკნელში მოგზაურობა.

ძალიან მიჭირს, ძალიან. ხან მგონია, რომ მორჩა, დავნებდები, დავუსვამ წერტილს, მაგრამ საკმარისია, რომელიმე ბავშვისგან ქაღალდის ნაგლეჯზე გაუმართავი კალიგრაფიით დაწერილი „მიყვარხართ, მას“ და იქვე მიხატული მობრეცილი გული მივიღო, ახალი ენერგიით ვივსები და ისევ ვეკვეთები ხოლმე, ისევ ვგუგლავ, ვეძებ კლასის მართვის საუკეთესო მეთოდებს. „პინტერესტი“ უკვე ავითვისე, უამრავი სამოტივაციო, წამახალისებელი ბარათი დავამზადე. წინ მივიწევთ, მაგრამ ძალიან ნელა, თითქმის შეუმჩნევლად. ყველაზე დიდ პრობლემად ურთიერთობა რჩება. ჩაგრავენ, ურტყამენ ერთმანეთს, მეორე წუთას კი უყვართ და სიყვარულს ეფიცებიან, უჭირთ გრძნობების გამოხატვა, ემოციების კონტროლი. გაბრაზება იციან ისეთი, თითქოს ამერიკის ყველა ქარიშხალს ამ პატარა კლასში მოეყაროს თავი, ბზრიალებს, ბზრიალებს და ითრევს ყველა ნივთსა და ბავშვს, იქით ვარდისფერი ჩანთები ცვივა, აქეთ მწვანე რვეულები მოფრინავს, იატაკზე წიგნები გმინავენ, ჭაღზე საწყლად კონწიალობს ლურჯი პერანგი... ვიღაც ტირის, ვიღაცას სტკივა, ვიღაც იმუქრება, ვიღაცა საერთოდ გარბის სკოლიდან.

ზარი ირეკება. გაკვეთილი იწყება.

გაკვეთილზე

ხშირად მიფიქრია, სად არის პრობლემების სათავე, მაგრამ ამ ბრაზისა და ემოციების მდინარეს მხოლოდ ერთი სათავე არ ექნება. ეს სათავეები კომპლექსურია და მათში ლამის მთელი სამყაროა ჩართული. ყველა დამნაშავე ვართ, მეც, შენც, ისიც. ამას ხვდებიან ბავშვებიც და კიდევ უფრო ბრაზობენ, კიდევ უფრო გამეტებით ურტყამენ ერთმანეთს. მეორე წუთას კი ნანობენ და ბოდიშებს იხდიან, პირობას დებენ, იფიცებიან, რომ ეს გაცხარება უკანასკნელი იყო.

გაკვეთილს კლასის წესების შეხსენებით ვიწყებთ (ეს წესებიც თავად მოიფიქრეს; ესაა, რომ დაცვა ავიწყდებათ, ამიტომ უზარმაზარ ფორმატზე ამობეჭდილები დაფის ზემოთ კონწიალობენ).

ფანჯრიდან მთები მოჩანს, წვიმა ისევ ცრის, ეზოში რამდენიმე ბავშვი გუბეებში დააჭყაპუნებს. წამიერად ფიქრი გუშინდელ დღეს უბრუნდება: ბავშვობის მეგობარი მესტუმრა, ნანა, და შვილის პრობლემა შემომჩივლა. 12 წლის ირაკლი რატომღაც აუთვალწუნებიათ რაიონის სკოლაში, დაცინვა და ჩაგვრა დაუწყიათ. ირაკლი ვარჯიშობს, ჭიდაობს, მშვენივრად შეუძლია აბეზარი მჩაგვრელების მოგერიება, მაგრამ

ჰოდა, შევედი პირველად და ოცმა განსხვავებულმა ხასიათმა, ოცმა განსხვავებულმა სამყარომ შემომანათა თვალები. თითოეულს საკუთარი აზრი ჰქონდა აბსოლუტურად ყველაფერზე, ყველა წვრილმანზე, და თითოეული მათგანი თავგამოდებით იცავდა ამ აზრს.

ფრთხილობს, არ უნდა, ვინმეს ზიანი მიაყენოს. არადა, სიტუაცია დღითი დღე აუტანელი ხდება. დედამისი სხვა სკოლაში გადაყვანაზეც ფიქრობს. იმაზეც ბრაზობს, მისი შვილი მუშტით რომ არ იგერიებს მჩაგვრელებს, ვერ გაუგია, რა სჭირს, ეჭვები ტანჯავს. შევპირდი, რომ ამ საკითხზე ვიფიქრებდი და იქნებ ისეთი გამოსავალი გვეპოვა, რომ ირაკლი არც მოძალადე და არც დაჩაგრული არ გამოსულიყო. სკოლის შეცვლა უკანასკნელ ნაბიჯად მოვიტოვეთ.

ჰოდა, სპონტანურად, ჩემთვისვე მოულოდნელად მინდება, ეს ამბავი ბავშვებს მოვუყვე. დაგეგმილი გაკვეთილი ყირაზე დგება და ვიწყებ.

ირაკლის ამბავი

– აი, ახლა, როგორც არასდროს, ისე მჭირდება თქვენი რჩევა! (ოცი წყვილი თვალი მომაშტერდა, გაისუსნენ) პირველად ჩემს ცხოვრებაში არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ჩემი მეგობარი გასაჭირშია!

– რა მოხდა, მას, რა მოხდა, დროზე გვითხარი! – ერთმანეთს არ აცდიან. წყვეტენ ჩურჩულსა და ფორიაქს, მოსასმენად ემზადებიან. სიმართლე უნდა ითქვას: ამ ჩემს ბავშვებს ძალიან უყვართ, როცა ამბებს უყვებიან, ინტონაციურად, ემოციურად – მთელი არსებით გისმენენ და ზარის ხმაც კი აღარ ესმით.

ამბავი ასეთი გამოვიდა:

– გუშინ საღამოს ბავშვობის მეგობარი მესტუმრა. ჩემთვის ისეთი ახლობელია, ისე მიყვარს! მთელი ბავშვობა ერთად გვაქვს გატარებული, კლასელები ვიყავით, მეზობლები. მთელი დღე ხომ ერთად ვიყავით სკოლაში, გვერდიგვერდ ვისხედით, საღამოობითაც არ გვეთმობოდა ერთმანეთი. ჩვენი სახლების ფანჯრები პირისპირ, ძალიან ახლოს იყო ერთმანეთთან, თოკი გავჭიმეთ და წერილების გაგზავნა-გამოგზავნით ვიქცევდით თავს. ის წერილები დღესაც შენახული მაქვს.

მაგალითად, ასეთი:

„კიტრის მწნილს ხომ არ ინებებდი? დედამ ახლახან გახსნა სამლიტრიანი ქილა, უფ, ისეთი მჟავეაა...“

„ვინებებდი! ნერწყვი მომადგა, მალე გამომიგზავნე!“

გაბმულ თოკზე პატარა სათამაშო სათლი გვქონდა ჩამოკიდებული, მოვაბამდით აქეთ-იქიდან მტკიცე აბრეშუმის ძაფებს და მიდიოდა გაწევ-გამოწევა.

ასეთი წერილიც ყოფილა:

„დღეს ხორბალოში ვიყავი (სოფელია), ფოთლები და რკოები მოვაგროვე, გიგზავნი: რკოები შეინახე სამახსოვროდ, ფოთლები კი აბა გამოიცანი, რომელი ხისაა?“

ბავშვები ხითხითებენ, რაღაცით – გნებავთ, მესამე თვალი დაარქვით, გნებავთ, მასწავლებლის ინტუიცია – ვგრძნობ, რომ მოეწონათ. გაკვეთილის დასაწყისი შედგა. ეს დიდი რამეა! თუ დასაწყისი გამოვიდა, დანარჩენი პროცესიც აეწყობა – მასწავლებლები დამეთანხმებიან.

– ჰოდა, მე რომ ვერ გამოვიცნობდი, ჩემს მეტყეევე პაპას მივადგებოდი ხოლმე, რომელიც შეხედავდა ფოთლებს, ერთს ჩაიღიმებდა და იტყოდა: თელაა! მუხაა, წყალი არ გაუვა! იფანია, რად უნდა მაგას ბევრი ლაპარაკი! – და ასე დაუსრულებლად.

ზაფხულის დღეები – ბურთის დევნაში, საღამოები – „ამის პატრონმა რა ქნას“ თამაშში (მერე მოგიყვებით და გასწავლით ამ თამაშს, ბევრს იხალისებთ), შემოდგომის დღეები – წვიმაში სირბილში, ზამთრისაკი გუნდაობასა და ციგაობაში გავიდა.

ჰოდა, აბა, რა მოხდა შემდეგ?

– გაზაფხული დადგა! – სხარტად მპასუხობს ანა.

მეღიმება.

– ნამდვილად დადგა გაზაფხული, თანაც არაერთი. ბევრი გაზაფხული, ბევრი შემოდგომა, ბევრი ზამთარი, ბევრი ზაფხული გავიდა და ჩვენ გავიზარდეთ!

სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს რაღაც ისეთი ვთქვი, თან ჩვეულებრივი, ვითომ არაფერი, მაგრამ ამავე დროს – ძალიან სევდიანი. ასეცაა – გაზრდას რამხელა ნაღველი ახლავს თან... ბავშვობასთან გამოთხოვება ხომ უდარდელობასთან დამშვიდობებაცაა.

– გავიზარდეთ და ჩემს მეგობარს შეუყვარდა! ისე ძალიან, რომ ოჯახი შექმნა და შვილიც ეყოლა.

– რა კარგია! – ტაში შემოკრა გიომ. გიოს მთელი კლასი აჰყვა. ამ დროს დირექტორმა ჩაიარა, ჩვენი მქუხარე ტაში გაიგონა

და უზარმაზარ ფანჯარაში, რომელიც დერეფანში გადიოდა, მის გაოცებულ სახეს და აწეულ წარბს მოვკარი თვალი. არა უშავს, მერე ავუხსნი.

დაველოდე, სანამ ემოციები ჩაცხრებოდა და ისევ მოსასმენად განეწყობოდნენ.

– ჰოდა, ეს შვილი ბიჭუნა ძალიან საყვარელი, სასაცილო და კეთილია. ბიჭუნას ირაკლი ჰქვია, ახლა კი 12 წლისაა. თურმე ახალ სკოლაში გადასულა და იქ დიდი პრობლემები დახვედრია!

დაძაბულები ისმენენ. ალბათ ჯობია, შევჩერდე და ვკითხო, მათი აზრით, რა პრობლემები დახვდა ირაკლის, რომ მათი მოლოდინი გავიგო, განწყობა შევქმნა, მაგრამ ვჩქარობ, მინდა, ამბის დასრულება მოვასწრო. საათზე ვიყურები - ათი წუთიღა დამრჩა!

– ირაკლი რატომღაც არ მოეწონათ უფროსკლასელებს, დამცინავ და დამამცირებელ სიტყვებს ეუბნებიან, წიხლებს ურტყამენ, ერთხელ ჩანთა გამოსტაცეს და ამ ჩანთით ბურთაობა გააჩაღეს. ამასობაში ჩანთიდან თბილისელი კლასელის, მეგობრის ნაჩუქარი შუშის ბურთი ამოუვარდა და ნამსხვრევებად იქცა. არადა, როგორ უყვარდა! თილისმად მიაჩნდა, იღბლიან ნივთად, სულ თან დაატარებდა. ოთხი წელია, მეგობარი უცხო ქვეყანაში გადასახლდა და მის სახსოვრად ჰქონდა ეს გამჭვირვალე, ცისფერი ბურთი, თითქმის ჯადოსნური – მზეზე რომ გახედავდი, შიგნით აბრჭყვიალდებოდა უამრავი ოქროსფერი ნაწილაკი, წამოვიდოდა ვარსკვლავების წვიმა და ამ დროს ირაკლი ხან რა ამბავს იგონებდა, ხან – რას.

ჰოდა, ეს მშვენიერი ნივთი შუშის ნამსხვრევებად და ოქროსფერ ბრჭყვიალა მძივებად იქცა.

ირაკლიმ თავი ვერ შეიკავა და ცრემლები წამოუვიდა. ამაზე უფრო მეტად დასცინეს, სულ „გოგო, გოგო“ უძახეს.

– რა შუაშია, მას, გოგო, განა ბიჭები არ ტირიან? – ვერ ითმენს ალექსანდრე და მისი დიდი თვალები გაბრაზებას და გაოცებას გამოხატავს.

– რა თქმა უნდა, არ ტირიან! – პასუხობს დემეტრე, მაგრამ ეტყობა, თავისი პასუხის თვითონაც არ სჯერა, სადღაც გაგონილ ფრაზას იმეორებს. დაბნეულია.

ამბავს ცოტა ხნით ვწყვეტ.

– ბიჭებიც ისევე ტირიან, როგორც გოგონები. როგორ გგონიათ, რატომ?

– იმიტომ, რომ გრძნობები და ემოციები ყველას გვაქვს, – დინჯად ხსნის მარიამი.

– დიახ, და მათი გამოხატვა მნიშვნელოვანია, – ვასრულებ. – აი, ამბავი რომ წავიკითხეთ სიყვარულზე და მეგობრობაზე, ხომ გახსოვთ?

ახსოვთ, რა თქმა უნდა. რამდენიმე დღის წინ ახლახან გამოსული „ვეფხისტყაოსნის“ გრაფიკული ვერსია წავუკითხე და ვაჩვენე. ისე მოეწონათ, ისე აღფრთოვანდნენ, რა დაავიწყებთ.

– ჰოდა, იქ რომ იყო, გმირი, მამაცი და ძლიერი ტარიელი, ის სევდასა და დარდს ტირილითაც გამოხატავდა ხოლმე.

გაიხსენეს, დაეთანხმნენ. დემეტრეც კმაყოფილია, უკვე იცის, რა უნდა უპასუხოს იმას, ვინც ეტყვის, გოგო ხომ არა ხარ, რა გატირებსო. ისიც არ დააყოვნებს: ტარიელი რატომ ტიროდაო? გოგო იყოო? აბა, რომელ უფროსს მოუბრუნდება ენა, ასეთ არგუმენტს შეეწინააღმდეგოს?! უფროსებს თავის ენაზე თუ არ დაელაპარაკე, არაფერი გამოვა.

სადაცაა, ზარი დაირეკება. ამბავს ვაგრძელებ:

– რომ იცოდეთ, ირაკლი სულ არ არის სუსტი ბიჭი. პირიქით, ჭიდაობაზეც დადის და დიდი ძალაც აქვს. ირაკლი კარგი მკითხველია, ძალიან ბევრი წიგნი აქვს წაკითხული, ამიტომ მშვენივრად იცის, რომ ძალადობა გამოსავალი არ არის და თუ გადაწყვეტს, ამ უფროსკლასელებს ფიზიკურად გაუსწორდეს, პრობლემა კი არ მოგვარდება, უბრალოდ მიიჩქმალება, იმიტომ რომ ირაკლის ადგილას მათგან ოდნავ განსხვავებული ნებისმიერი სხვა ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს. მიუხედავად ამისა, ბოლოს ისე გაბრაზებულა, რომ ერთი აბეზარი ბიჭისთვის სილა უთავაზებია. ამან სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა, მჩაგვრელები ერთ გუნდად შეიკრნენ და საერთო ძალით დაუწყეს დაცინვა და პანღურები.

როგორ გგონიათ, რატომ ამოიჩემეს ირაკლი?

– იმიტომ, რომ თბილისელია.

– იმიტომ, რომ ალბათ განსხვავებულად აცვია.

– განსხვავებული ვარცხნილობა ექნება.

– განსხვავებული ინტერესები აქვს.

– ჯადოსნური რაღაცები მოსწონს.

– შუშის ბურთი ჰქონდა.

– მათზე ძლიერია.

– მათზე მაგარი.

– იმიტომ, რომ ემოციების გამოხატვა შეუძლია.

ყველა ცდილობს, რაღაც თქვას. ვატყობ, რომ მათი ინტერესი სულ უფრო იზრდება.

– ირაკლი ფიქრობს, რა ქნას, როგორ მოაგვაროს პრობლემა. სკოლიდან წამოსვლასაც გეგმავს.

ჰოდა, როგორც გაკვეთილის დასაწყისში გითხარით, ხომ არ დამეხმარებოდით და ირაკლის წერილებს ხომ არ მისწერდით? იქნებ თქვენი რჩევები სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმაროს.

ჰო, მართლა, საშინაო დავალებები დღეს არ გექნებათ – წერილების წერას დრო ხომ სჭირდება?!

ზარი ირეკება.

ბავშვები კმაყოფილები ჩანან, გაკვეთილი შედგა.

წერილები

წინასწარ არ მიფიქრია, რა გავლენას მოახდენდა ირაკლის ამბავი ბავშვებზე – როგორც ვთქვი, ამ ამბის მათთვის გაზიარება სპონტანური, დაუგეგმავი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მეორე დღეს კლასში რომ შევედი, ბავშვები – რაღაცნაირად გაზრდილები, ხოლო ჩემი მაგიდა თეთრი კონვერტებით გადათეთრებული დამხვდა. ლევანს წერილი ოცივე ბავშვმა მისწერა. რამდენიმე მათგანს, რა თქმა უნდა, ავტორების თანხმობით, თქვენც წაგაკითხებთ:

ნია, 11 წლის

„ოჰ, ირაკლი, შენმა ამბავმა ძალიან ჩამაფიქრა! მასწავლებელი რომ მოგვიყვა, ლამის ვიტირე. ასეთი ბურთი მეც მაქვს და რომ გამიტყდეს, ძალიან დავდარდიანდები, თან შენი მეგობრის სახსოვარი ყოფილა. გადავწყვიტე, რომ ჩემი ბურთი გაჩუქო, ინა მასწავლებელს გამოვატან. იქნებ დაგეხმაროს შენი პრობლემის გადაჭრაში“ *(ბურთიც გადმომცა).*

გიო, 12 წლის

„გამარჯობა, ირაკლი! მე ვფიქრობ, რომ ამ ბიჭებს უნდა დაელაპარაკო, მიდი და პირდაპირ კითხე, რა უნდათ შენგან. თუ პასუხი არ გაგცეს და ისევ ისე გააგრძელეს მოქცევა, იქნებ მასწავლებლისთვის მოგეყოლა, ის აუცილებლად დაგეხმარება. პ.ს. სიამოვნებით ვიქნებოდი შენი მეგობარი“.

მარიამი, 12 წლის

„ირაკლი, არ დაარტყა, არა და არა! აბა დაფიქრდი, ბედნიერი ადამიანი სხვას როგორ დაჩაგრავს? მე მგონია, რომ მათ დიდი პრობლემები აქვთ, შეიძლება მათზე ძალადობენ კიდეც. შენ ჭკვიანი ბიჭი ყოფილხარ (ინა მასწავლებელმა ასე გვითხრა), ჰოდა, არ გაგიჭირდება ამის მიხვედრა.

იქნებ ერთხელ შევხვდეთ კიდეც?!“

ანა, 11 წლის

„ირაკლი, შენს ამბავს რომ მოგვიყვა მასწავლებელი, ჩემი თავი გამახსენდა. იგივე პრობლემები მაქვს მეც, ჩემი რამდენიმე კლასელი დამცინის და ჩემი ჩანთაც უბურთავებიათ, ჰოდა, გადავწყვიტე, ყურადღება აღარ მივაქციო. იქნებ გაჭრას? აბა, შენც სცადე“.

ლაშა, 12 წლის

„ირაკლი, გამარჯობა! გამოგიტყდები, როცა შენი ამბავი მოვისმინე, ძალიან შემრცხვა. მეც ვერთობი ხანდახან ასე, ერთ ბიჭს დავცინი, ოღონდ ეხლა რომ დავფიქრდი, რატომ ვაკეთებ ამას, პასუხი არ მაქვს. არადა, კარგი ბიჭია, არაფერს მიშავებს, უფრო მეტიც, რვეულის ფურცლისგან ორიგამების გაკეთება მასწავლა, თვითმფრინავებისაც. მერე ერთად გავუშვით კიდეც ფანჯრიდან. ნეტა სად წავიდოდა, შენ როგორ ფიქრობ? ვინმემ ხომ არ იპოვა? აი, ზღვაში რომ აგდებენ ბოთლებს და შიგ წერილებს დებენ, ასე. მეც რაიმე უნდა დამეწერა ზედ. ალბათ, იმიტომ დავცინი, რომ სხვები დასცინიან და ამ სხვებთან მეგობრობას ვცდილობ. ჰოდა, შენმა ამბავმა გადამაწყვეტინა, რომ ამ ბიჭს დავუმეგობრდე, ქაღალდის თვითმფრინავებს რომ გავუშვებთ, აუცილებლად დავაწერ ზედ ჩემს ტელეფონის ნომერს, ვინც იპოვის, რომ დამიკავშირდეს. იქნებ შენ იპოვო?

უჰ, ბევრი ვიბოდიალე. მოკლედ, მგონია, რომ ამ ბიჭებს უნდა დაუმეგობრდე. კარგი იქნება, თუ ასწავლი ქაღალდებისგან რაღაცების დამზადებას. თუ არ იცი, იუთუბზე უამრავი ვიდეო დევს, ნახე, გამოგივა აუცილებლად“.

დემეტრე, 12 წლის

„ირაკლი, შენ რომ ცრემლები წამოგივიდა და არ შეგრცხვა ამის, ძალიან გამიკვირდა, რადგან მამა სულ მეუბნება, ბიჭებისთვის ტირილი არ შეიძლება, დიდი სირცხვილიაო. ამაზე ბევრი ვიფიქრე, უძლეველი ტარიელიც კი ტიროდა თურმე! ჰოდა, ახლა უკვე აღარ შემრცხვება ტირილის! არადა, როგორ მომინდა მექვითინა, როცა ავგუსტის ამბავს ვკითხულობდი. ახლა იკითხავ, ეს ავგუსტი ვინააო. ის პერსონაჟია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ რეალურად არსებობს. წიგნს „საოცრება“ ქვია, აუცილებლად წაიკითხე (ინა მასწავლებელმა გვითხრა, რომ კითხვა გიყვარს, ეს საერთო გვქონია). მგონია, ავგუსტის ამბავს რომ გაიგებ, ძალიან დაგეხმარება შენი პრობლემების მოგვარებაში. მიხვდები, რომ მხოლოდ შენ არ გჩაგრავენ. მომწერე აუცილებლად, თუ წაიკითხავ, შენი აზრი. აბა, შეხვედრამდე“.

ნოემბრის შუა რიცხვებია და უკვე მოთოვა. სახლში ვბრუნდები, მივაბიჯებ საღამოს ბინდბუნდში, უზარმაზარ ფიფქებს სახეს ვუშვერ, ავყურებ მოქუფრულ ცას და ისეთი სიმსუბუქის შეგრძნება მეუფლება, ლამისაა ავფრინდე. ჰო, მასწავლებლები ხანდახან ფრენენ და აფრენენ კიდეც. მეცინება ამ აღმოჩენაზე. რა ცოტა გვჭირდება ბედნიერებისთვის მასწავლებლებს! მაგრამ ეს ცოტა შეიძლება ძალიან ბევრიც კი აღმოჩნდეს.

P.S. წერილებმა ირაკლიმდე მიაღწია. საპასუხო წერილებიც დაწერა. კლასშიც მოვიწვიეთ. უამრავი მეგობარი შეიძინა. პრობლემებიც მოაგვარა. რაიონის სკოლაში ძალიან აფასებენ და უყვართ.

როგორ მოაგვარა?
თქვენ როგორ ფიქრობთ?

P.P.S. როგორც იქნა, ჩემს კლასს „რთულის“ იარლიყი მოშორდა. სანაცვლოდ ახალი კი შეიძინა, მაგრამ ეს ახალი მომწონს კიდეც - ახლა „მწერლების“ კლასს ეძახიან და უკვირთ, რა დაემართათ, რამ შეცვალათ ასე. გაიზარდნენ ალბათო. ცხოვრებაში კი არსებობს ისეთი დღეები, ყველაფერს თავდაყირა რომ დააყენებს და ეს თავდაყირა სამყარო ყველაზე ნამდვილი, ყველაზე ხელშესახები აღმოჩნდება ხოლმე.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

„თანამედროვე სკოლის მართვა“



ინტერნეტგაზეთი

10 წლისაა

www.mastsavlebeli.ge

განათლება –
თავისუფლებაა

www.tpdc.ge